# იურიდიული პირის საბანკო მომსახურების პირობები

დამტკიცებულია სს „ლიბერთი ბანკის“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 26 იანვრის ბრძანებით/ბოლო ცვლილებები განხორციელებულია იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 20 ივნისის ბრძანებით

შინაარსი

**1.** შესავალი დებულებები ........ 3

**2.** ტერმინთა განმარტებები ........ 4

**3.** განცხადებები და გარანტიები ........ 6

**4.** მომსახურების საფასური ........ 7

**5.** დავალების მიღების და შესრულების ვადები ........ 7

**6.** მხარეთა პასუხისმგებლობა ........ 8

**7.** პასუხისმგებლობის შეზღუდვა ........ 8

**8.** გადასახადები ........ 9

**9.** პირობების ცვლილება ........ 9

**10.** პირობების მოქმედება და პირობების შეწყვეტა ........ 9

**11.** კომუნიკაცია ........ 10

**12.** კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემების დამუშავება ........ 11

**14.** ფორს-მაჟორი ........ 16

**15.** საბანკო ოპერაციებით მომსახურება ........ 17

15.1. *ანგარიშის გახსნა და ანგარიშით სარგებლობა.* ........ 17

15.4. *ნომინალური მფლობელობის ანგარიშით სარგებლობის პირობები.* ........ 19

**16.** სახელფასო პროგრამით მომსახურება ........ 19

**17.** ბარათი ........ 20

17.1. *ბარათით სარგებლობის ზოგადი პირობები:* ........ 20

17.2. *ბიზნეს ბარათი* ........ 23

17.3. *საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი* ........ 23

**18.** დისტანციური საბანკო მომსახურება ........ 23

18.1. *ინტერნეტ ბანკი.* ........ 23

18.2. *SMS ბანკი და მობაილ ბანკი.* ........ 24

18.4. *უსაფრთხოების პირობები დისტანციური საბანკო მოსახურებისას* ........ 24

**19.** სავალუტო გარიგებით მომსახურება ........ 25

19.1. *სავალუტო გარიგების განხორციელების პირობები:* ........ 25

19.2. *ვაჭრობა ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის გამოყენებით.* ........ 26

19.3. *სავალუტო გარიგების განხორციელება B-match პლატფორმაზე* ........ 26

19.4. *ვაჭრობის დამატებითი პირობები* ........ 27

19.5. *სავალუტო გარიგების მომსახურების საფასური.* ........ 27

**20.** დასკვნითი დებულებები ........ 28

დანართი №1 – მომსახურების ტარიფები და პირობები ........ 30

დანართი №2 – სავალუტო გარიგების მომსახურების ტარიფები ........ 32

დანართი №3 საგადახდო დავალების მიღების და შესრულების ვადები ........ 33

## ნაწილი I

1. **შესავალი დებულებები**

1.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს **იურიდიული პირის საბანკო მომსახურების პირობებს** (შემდგომში - **პირობები**), რომელიც განსაზღვრავს საბანკო ოპერაციების წარმოების აღწერილობას, სხვადასხვა საბანკო პროდუქტის/მომსახურების შინაარსსა და პირობებს და **მხარეთა** უფლება-მოვალეობებს აღნიშნული საბანკო მომსახურებ(ებ)ით/პროდუქტ(ებ)ით სარგებლობის პროცესში.

1.2. **ბანკსა** და **კლიენტს** შორის ურთიერთობები რეგულირდება **ხელშეკრულებით**, რომელიც შედგება:

1.2.1. **მხარეთა** შორის გაფორმებული **საბანკო მომსახურების ხელშეკრულებისაგან** (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

1.2.2. **განაცხად(ებ)ისაგან,** რომელსაც **კლიენტი** ეთანხმება ხელმოწერით ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით;

1.2.3. **ბანკის** მიერ დადგენილი **ტარიფებისაგან**, რომელიც წარმოადგენს **პირობების** დანართს;

1.2.4. წინამდებარე **პირობებისაგან;**

1.2.5. **საბანკო ბარათის** გამოყენების ზოგადი პირობებისა და უსაფრთხოების წესებისაგან, მასში პერიოდულად განხორციელებული ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის ჩათვლით რომელიც ხელმისაწვდომია **ბანკის** ვებ-გვერდზე www.libertybank.ge;

1.2.6. **ბანკის** მონაცემთა დაცვის პოლიტიკისგან, რომელიც განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე www.libertybank.ge

1.2.7. ნებისმიერი დამატებითი პირობებისაგან, დანართისაგან ან/და განაცხად(ებ)ისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შეეხება არსებულ ან/და **ბანკის** მიერ მომავალში შეთავაზებულ მომსახურებას და რომელიც საჭირო იქნება **კლიენტის** მიერ დამატებითი და/ან **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული საბანკო მომსახურებ(ებ)ით სარგებლობისათვის.

1.3. წინამდებარე **პირობებსა** და **ხელშეკრულების** რომელიმე **დანართსა** და/ან მასთან (**ხელშეკრულებასთან**) დაკავშირებული სხვა დოკუმენტის პირობებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, ამგვარი **დანართის** და/ან მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტის პირობებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც დადებულია ამგვარი **დანართი** და/ან მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტი.

1.4. **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მომსახურების მიღების მიზნით, **კლიენტი** ვალდებულია:

1.4.1. ყველა და ნებისმიერი სახის მომსახურების გამოყენებისათვის გაეცნოს **პირობებს;**

1.4.2. სრულად შეავსოს, ხელი მოაწეროს ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით დაეთანხმოს **განაცხადს** ან/და შესაბამის **საბანკო მომსახურების ხელშეკრულებას**, რითაც იმავდროულად ადასტურებს და გარანტიას იძლევა, რომ: (ა) **განაცხადი** ან/და შესაბამისი ხელშეკრულება შევსებულია სრულად; ბ) **ბანკისათვის** წარდგენილი ინფორმაცია არის სწორი და უტყუარი; (გ) შესაბამისი ხელშეკრულების/**განაცხადის** ხელმოწერამდე ან/და თანხმობის გამოხატვამდე სრულად გაეცნო **პირობებს;**

1.4.3. წარმოუდგინოს **ბანკს კანონმდებლობით** ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული ყველა აუცილებელი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია.

1.4.4. განახორციელოს **ბანკის** მიერ **კლიენტის** იდენტიფიცირების მიზნით განსაზღვრული სხვა ქმედება;

1.5. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** შეთავაზებული პროდუქტების, მომსახურებების ან/და **დისტანციური საბანკო მომსახურების არხების** ჩამონათვალი მოცემულია, მაგრამ არ შემოიფარგლება წინამდებარე პუნქტით. **კლიენტის** მიერ აღნიშნული მომსახურებები, პროდუქტები ან/და **დისტანციური საბანკო მომსახურების არხები** შესაძლებელია მიღებულ იქნას როგორც **სატარიფო პაკეტ(ებ)ში ბანკის** მიერ დადგენილი კომბინაციებით, ისე ცალკეული მომსახურების ან/და საბანკო პროდუქტის შეძენის გზით:

1.5.1. **ანგარიშის** გახსნა და საგადახდო მომსახურება;

1.5.2. **ბიზნეს ბარათი;**

1.5.3. **SMS ბანკი;**

1.5.4. **ინტერნეტ ბანკი;**

1.5.5. **მობაილ ბანკი;**

1.5.6. **საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი;**

1.5.7. სახელფასო პროექტით მომსახურება

1.5.8. სავალუტო გარიგებით მომსახურება

1.6. თუ **კლიენტს** არ გააჩნია 1.5 პუნქტში ჩამოთვლილთაგან რომელიმე პროდუქტით ან/და მომსახურებით სარგებლობის უფლება, მას არ შეეხება **პირობებში** ამ პროდუქტის/მომსახურების აღმწერი შესაბამისი პუნქტები. ეს პუნქტები **კლიენტისათვის** ამოქმედდება შესაბამისი პროდუქტით ან/და მომსახურებით სარგებლობის უფლების მინიჭების შემდეგ.

1.7. **ბანკი** იტოვებს უფლებას, უარი განუცხადოს **კლიენტს** მომსახურების გაწევაზე, თუ **კლიენტმა** სათანადო წესით არ შეავსო, ხელი არ მოაწერა (**ბანკის** მიერ განსაზღვრული ფორმით არ დაეთანხმა) ან/და **ბანკს** არ წარუდგინა **ბანკის** მიერ მოთხოვნილი რომელიმე დოკუმენტი/ინფორმაცია **ბანკისათვის** მისაღები ფორმითა და შინაარსით ან/და არ გაიარა იდენტიფიკაციის/ავთენტიფიკაციის პროცესი/პროცედურა **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

1.8. **ბანკი** დაიწყებს **კლიენტის** მომსახურებას **კლიენტის** მიერ შესაბამისი **განაცხადის** ან/და **საბანკო მომსახურების ხელშეკრულების** ხელმოწერისა (**ბანკის** მიერ განსაზღვრული ფორმით თანხმობის გამოხატვის) და **ბანკის** მხრიდან მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის ან/და შესაბამისი პროდუქტის/მომსახურების მისაღებად **ბანკის** მიერ დადგენილი მოთხოვნებისა და პროცედურების სრულად დაკმაყოფილებისა და გავლის შემდეგ. ამასთან, თუ **ბანკის** რომელიმე პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობისათვის არ მოითხოვება შესაბამისი **განაცხადი, კლიენტი** უფლებამოსილია ისარგებლოს აღნიშნული პროდუქტით/მომსახურებით **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, რაზეც ავტომატურად გავრცელდება წინამდებარე **პირობებით** შესაბამისი პროდუქტისთვის/მომსახურებისთვის განსაზღვრული ნორმები. **ბანკს** უფლება აქვს ერთპიროვნულად, საკუთარი შეხედულებისამებრ უარი განუცხადოს **კლიენტს** მომსახურების გაწევაზე, მიზეზის გაცხადების გარეშე.

1.9. **კლიენტისთვის** საბანკო ანგარიში შეიძლება გაიხსნას **ბანკისთვის** დისტანციურად მომართვისას **ბანკის** მიერ დადგენილი პროცედურების გავლის გზით. ამ შემთხვევაში საბანკო **ანგარიშით** სარგებლობა დასაშვებია **კანონმდებლობითა** და **პირობებით** განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.

1.10. **მხარეთა** შორის ელექტრონული ფორმით თანხმობის/ნების გამოხატვას (მათ შორის, ეკრანზე თანხმობის ღილაკის დაჭერას, მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი კოდის **ბანკისთვის** მიწოდებას ან/და სხვა ქმედებას, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს **კლიენტის** ნებას ან **მხარეთა** შორის ელექტრონული ფორმით დადებულ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად აღნიშნული გარიგების დადებაზე ელექტრონული ფორმით ნების გამოვლენას/დათანხმებას) აქვს მატერიალური დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა (მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა).

1.11. **ბანკს** უფლება აქვს შეამოწმოს **კლიენტის** მიერ მისთვის (**ბანკისათვის**) მიწოდებული ან/და **კლიენტის** შესახებ მის ხელთ არსებული ნებისმიერი სხვა საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია, რაზედაც **კლიენტი** აცხადებს ერთმნიშვნელოვან და უპირობო თანხმობას.

1.12. **კლიენტის** მიერ **პირობებში** აღწერილი რომელიმე პროდუქტის ან/და მომსახურების (ან მისი/მათი ნაწილის) **ბანკის** თანხმობით გამოყენება განიხილება, როგორც **კლიენტის** თანხმობა წინამდებარე პირობების შესაბამისად აღნიშნული პროდუქტით ან/და მომსახურებით (ან მისი/მათი ნაწილით) სარგებლობის პირობებზე.

1.13. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცალმხრივად, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე შეაჩეროს ან შეწყვიტოს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული რომელიმე ან ყველა მომსახურების/პროდუქტის **კლიენტისთვის** შეთავაზება/მიწოდება. **ბანკის** მიერ აღნიშნული ქმედების განხორციელება არ ჩაითვლება მის მიერ **ხელშეკრულების** პირობების დარღვევად.

1.14. თუ **კლიენტი** 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არცერთხელ არ ისარგებლებს მოთხოვნილი და გააქტიურებული საბანკო პროდუქტით/მომსახურებით, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეუწყვიტოს/შეუჩეროს **კლიენტს** შესაბამის საბანკო პროდუქტთან დაკავშირებული მომსახურება. ერთ–ერთ საბანკო პროდუქტთან დაკავშირებული მომსახურების შეწყვეტა/შეჩერება არ იწვევს სხვა მოქმედი საბანკო პროდუქტით მომსახურების შეწყვეტას. ამასთან, თუ **კლიენტის** სარგებლობაში დარჩენილია მხოლოდ ერთი საბანკო პროდუქტი, მისი მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვიტოს **ხელშეკრულება.**

1.15. **კლიენტი** უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს** ნებისმიერი **პროდუქტით/მომსახურებით** სარგებლობის შეწყვეტის თაობაზე **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია უარი განუცხადოს **კლიენტს** პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტაზე იმ შემთხვევაში, თუ მას (**კლიენტს**) **ბანკის** მიმართ გააჩნია რაიმე სახის შეუსრულებელი ვალდებულება.

1.16. **ბანკი** იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე **პირობებში** გათვალისწინებული წესები ან/და **ხელშეკრულების** სხვა შემადგენელ დოკუმენტ(ებ)ში მოყვანილი წესები, პირობები ან/და ტარიფები იმისათვის, რომ ისინი (პირობები) შესაბამისობაში მოვიდეს **ბანკში** დადგენილ ახალ წესებთან, შეცვლილ საბაზრო პირობებთან, საბანკო პრაქტიკასთან ან/და მარეგულირებელ კანონმდებლობასთან.

1.17. **პირობების** განახლების/ცვლილების შესახებ **კლიენტს** ეცნობება **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესით, ხოლო თუ **ბანკი** განახორციელებს დამატებითი პროდუქტის პირობების ჩამოყალიბებას/მომსახურების ჩართვას, აღნიშნული პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობა მოხდება შესაბამისი **განაცხად(ებ)ის** შევსების ან/და შესაბამისი **დანართ(ებ)ის კლიენტისთვის** მიწოდების საფუძველზე ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი სხვა წესით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, **კლიენტის** ელექტრონული თანხმობის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ **ბანკი კლიენტს** არ გადასცემს შესაბამის **დანართს** ან **კლიენტი** არ გაეცნობა განახლებულ პირობებს, მაგრამ **კლიენტი** განახორციელებს/გააგრძელებს ახალი ან განახლებული პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობას, იგულისხმება, რომ იგი აღნიშნული ქმედებით ეთანხმება იმ დროისათვის **ბანკში** არსებულ შესაბამისი მომსახურების პირობებს.

## 2. ტერმინთა განმარტებები

2.1. თუ წინამდებარე **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1.1. **ავტორიზაცია** - თანხმობა **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **ოპერაციების** განხორციელებაზე;

2.1.2. **ამონაწერი** - **ბანკში** დადგენილი ფორმით შედგენილი ინფორმაცია, **კლიენტის ანგარიშზე** განხორციელებული **ოპერაციებისა** და ნაშთების შესახებ;

2.1.3. **ანგარიში** - **ბანკში** არსებული **კლიენტის ანგარიშ(ებ)ი;**

2.1.4. **აფილირებული პირ(ებ)ი** - **ბანკთან** დაკავშირებული **პირ(ებ)ი**, რომ(ე)ლ(ებ)იც პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლდება **ბანკის** მიერ ან/და რომლის/რომელთა საშუალებითაც **ბანკი** ახორციელებს **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ მომსახურებას;

2.1.5. **ბანკი** - სს „ლიბერთი ბანკი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304), რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;

2.1.6. **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსი - ბანკის** მიერ ნაღდი და უნაღდო სავალუტო გაცვლითი ოპერაციებისათვის დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსი. სავალუტო გაცვლითი კურსი განსაზღვრავს შესაძენი სავალუტო ერთეულის ღირებულებას იმ სავალუტო ერთეულში, რომლითაც ხორციელდება შესაძენი ვალუტის ყიდვა. **ბანკი** განსაზღვრავს კომერციულ სავალუტო გაცვლით კურსს საკუთარი შეხედულებისამებრ ყოველ კალენდარულ დღეს ერთხელ ან მეტჯერ. ამასთან, **ბანკმა** შესაძლებელია დროის ნებისმიერ მომენტში დაადგინოს განსხვავებული კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსები სხვადასხვა სახის ოპერაციების განხორციელების მიზნით (მაგალითად, კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსი უნაღდო და ნაღდი ანგარიშსწორებისათვის ან საბარათე ოპერაციების ასახვის მიზნით შესაძლებელია დროის ნებისმიერ მომენტში იყოს ერთმანეთისაგან განსხვავებული).

2.1.7. **ბანკომატი** - თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ–ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც **კლიენტს** ან/და **ბარათის მფლობელს** შეუძლია ნაღდი ფულის გატანა/შეტანა, სესხის/ოვერდრაფტის გააქტიურება, თანხის გადარიცხვა, **ანგარიშზე** არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, გადახდების განხორციელება და სხვა, **ბანკის** მიერ ამ არხისათვის დაშვებული ოპერაციების ჩატარება.

2.1.8. **ბარათი** ან **საბანკო ბარათი** - **ბანკის** მიერ ემიტირებული **საბანკო ბარათი** (მათ შორის, ბიზნეს ბარათი ან/და **ბანკის** მიერ მომავალში გამოშვებული სხვა საბანკო ბარათი), საგადამხდელო საშუალება, რომელიც დაკავშირებულია **კლიენტის ანგარიშთან** და რომელსაც **კლიენტი** ან/და **კლიენტის** მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი იყენებს წინამდებარე **პირობების** და **ბანკში** შესაბამისი დროისათვის მოქმედი ბარათების გამოყენების ზოგადი წესების მიხედვით;

2.1.9. **ბარათის მფლობელი** - ფიზიკური პირი, რომლის სახელზეც მზადდება **ბარათი** და რომელსაც მინიჭებული აქვს **ბარათის** და შესაბამისი **ანგარიშ(ებ)ის** განკარგვის უფლებამოსილება.

2.1.10. **განაცხადი** - **ბანკის** მიერ მატერიალური დოკუმენტის, ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებ(ებ)ის გამოყენებით შექმნილი და **კლიენტისათვის** მიწოდებული წერილობითი ინფორმაცია/მიმართვა საბანკო პროდუქტის და/ან საბანკო მომსახურების განხორციელების შესახებ, რომელსაც **კლიენტი** ეთანხმება ხელმოწერით, ელექტრონული ფორმის დადასტურებით (ელექტრონული თანხმობა), **ბანკისთვის** ერთჯერადი კოდის კარნახით/მითითებით ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით, რაც ითვლება **კლიენტის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების/ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ. **განაცხადი** თან ერთვის **ხელშეკრულებას** და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

2.1.11. **განცხადებები და გარანტიები - პირობების** მე-3 მუხლში მოცემული **კლიენტის** განცხადებები და გარანტიები;

2.1.12. **დავალება** - საბანკო პროდუქტის/საბანკო მომსახურების ფარგლებში ნებისმიერი მოთხოვნა ან დავალება, რომელსაც **კლიენტი** ან/და **კლიენტის** მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი აძლევს **ბანკს** უშუალოდ ან/და **დისტანციური საბანკო მომსახურების** გამოყენებით,წინამდებარე **პირობების** შესაბამისად;

2.1.13. **დანართი** - წინამდებარე **პირობებზე** თანდართული ნებისმიერი დანართი, **ბანკის** მიერ განსაზღვრული **განაცხადი** ან **მხარეთა** შორის შეთანხმებული ნებისმიერი დამატებითი დანართ(ებ)ი, რომელიც აზუსტებს, ცვლის ან/და წყვეტს **ხელშეკრულებას** ან/და მის პირობებს და წარმოადგენს **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს;

2.1.14. **დამუშავება** ან **მონაცემთა დამუშავება** - განიმარტება **პირობების** 12.3.1 პუნქტის შესაბამისად;**დისტანციური საბანკო მომსახურება** - საბანკო მომსახურება, რომლის გამოყენებითაც **კლიენტს** ეძლევა საშუალება აწარმოოს საბანკო **ოპერაციები**, მიიღოს მის **ანგარიშთან** დაკავშირებული ინფორმაცია ან ისარგებლოს საბანკო პროდუქტ(ებ)ით/მომსახურებ(ებ)ით **ბანკში** მიუსვლელად (დისტანციური მომსახურება მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) ინტერნეტ ბანკს, SMS ბანკს და სხვ.);

2.1.15. **ვერიფიცირებული ნომერი** - **კლიენტის** მიერ შესაბამის **განაცხადში** მითითებული მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც ვერიფიკაციას გადის **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად და **ბანკის** მიერ საკუთარი **(ბანკის)** შეხედულებისამებრ გამოიყენება **კლიენტთან** კომუნიკაციისას, საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაგზავნის ან/და გაგზავნილი თანხმობის კოდების საფუძველზე საბანკო პროდუქტ(ებ)ის/საბანკო მომსახურ(ებ)ების მისაღებად (მათ შორის ოპერაციების შესასრულებლად).

2.1.16. **თანხის არასანქცირებული გადახარჯვა** ან **ოვერლიმიტი** - **კლიენტის ანგარიშზე** წარმოშობილი სადებეტო ნაშთ(ებ)ი, რომელიც წარმოიშვა **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე;

2.1.17. **ინტელექტუალური პროდუქტი** - არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის მიმართაც არსებობს **კანონმდებლობის** საფუძველზე ინტელექტუალური სამართლის ნორმებით მოწესრიგებული ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები;

2.1.18. **ინტერნეტ ბანკი - კლიენტის განაცხადის** საფუძველზე, **ბანკის** მიერ შეთავაზებული მომსახურება, რომლის მეშვეობითაც **კლიენტს** პირადი კომპიუტერის, მოდემის და/ან სხვა მსგავსი **ბანკისათვის** მისაღები საშუალების გამოყენებით აქვს წვდომა შესაბამის ინფორმაციაზე და **ბანკს** აძლევს **დავალებებს ანგარიშ(ებ)თან** მიმართებაში **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ოპერაციების** განსახორციელებლად;

2.1.19. **ინტერნეტ ბანკის მომხმარებელი -** შესაბამისი **განაცხადის** საფუძველზე რეგისტრირებული/დამატებული **ინტერნეტ ბანკის** მომხმარებელი, რომელიც წარმოადგენს **უფლებამოსილ პირს** და ენიჭება **ინტერნეტ ბანკით** სარგებლობის უფლება, წინამდებარე **პირობებითა** და **განაცხადით** განსაზღვრული წესებისა და უფლება-მოვალეობების შესაბამისად;

2.1.20. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;

2.1.21. **კლიენტი** - იურიდიული პირი, სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური პირი, ან/და **კანონმდებლობის** საფუძველზე შექმნილი სხვა ორგანიზაციული/არარეგისტრირებული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც სარგებლობს საბანკო მომსახურებით ან/და მიმართავს **ბანკს** საბანკო **მომსახურებ(ებ)ით/პროდუქტ(ებ)ით** სარგებლობის დაწყების ან/და საბანკო ოპერაციის განხორციელების მიზნით წინამდებარე **პირობების** შესაბამისად;

2.1.22. **კოდ(ებ)ი -** პაროლი და/ან **კლიენტის** საიდენტიფიკაციო კოდი ან მათი ერთობლიობა ან ნებისმიერი სხვა სახის **კონფიდენციალური ინფორმაცია,** რომელიც **ბანკმა** მიაწოდა/შესაძლოა მიაწოდოს **კლიენტს დისტანციური საბანკო მომსახურებით** სარგებლობისათვის;

2.1.23. **კონფიდენციალური ინფორმაცია** - თუ **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **პირობებით** განსაზღვრული საბანკო მომსახურების შესრულების შედეგად ერთ-ერთი **მხარის** მიერ მეორე **მხარის** შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია **კლიენტის** მიერ განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ, **მხარის** პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, **მხარის** მფლობელი/მმართველი/ურთიერთდაკავშირებული **პირ(ებ)ის**, **მესამე პირ(ებ)თან** არსებული გარიგებ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ობიექტ(ებ)ის, ბიზნეს პროცესის/პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

2.1.24. **მიმდინარე ანგარიში** - **კლიენტის** ანგარიში, რომელზეც აღირიცხება **კლიენტის** ფულადი სახსრები და რომელსაც განკარგავს **კლიენტი გადახდების** განსახორციელებლად ან სხვა მიზნით.

2.1.25. **მობაილ ბანკი** - დისტანციური საბანკო მომსახურების ერთ-ერთი არხი, რომლის მეშვეობითაც **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს **ბანკში** გამოუცხადებლად, **მობილური ტელეფონის** და **ბანკის** შესაბამისი აპლიკაციის საშუალებით, მიიღოს სხვადასხვა ინფორმაცია და აწარმოოს განსაზღვრული **ოპერაციები**;

2.1.26. **მობილური ტელეფონი** - ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელში ჩართული ტელეფონი;

2.1.27. **მესამე პირ(ებ)ი** - ნებისმიერი **პირი**, რომელიც არ წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;

2.1.28. **მხარე/მხარეები** - **ბანკი** ან/და **კლიენტი** კონტექსტის შესაბამისად;

2.1.29. **ნომინალური მფლობელობის ანგარიში** - **ანგარიში**, რომელიც გამოიყენება **კლიენტისათვის** ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული ფულადი სახსრების ერთობლივად აღსარიცხად.

2.1.30. **ონლაინ ოპერაცია -** ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია ემიტენტის ან შესაბამისი საბარათე სქემის მიერ ემიტენტის სახელით;

2.1.31. **ოფლაინ ოპერაცია -** ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია ემიტენტთან დაკავშირების გარეშე;

2.1.32. **ოპერაცია** - **კანონმდებლობით** ნებადართული ნებისმიერი ტიპის საბანკო ოპერაცია, რომელიც უკავშირდება ანგარიშ(ებ)ს **ბანკში** და რომელიც შეიძლება განხორციელდეს, **ბანკში კლიენტის** ან/და **კლიენტის** მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის (მათ შორის, **ბარათის მფლობელის** ან/და **უფლებამოსილი პირის**) მიერ **დავალების**, როგორც უშუალოდ, ასევე **დისტანციური საბანკო მომსახურების** საშუალებით, წარდგენის გზით;

2.1.33. **პერსონალური მონაცემები -** ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით;

2.1.34. **პირგასამტეხლო (ჯარიმა) – პირობებით** განსაზღვრული ფულადი თანხა, რომლის გადახდის ვალდებულებაც **კლიენტს** წარმოეშობა მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შეუსრულებლობისათვის;

2.1.35. **პირდაპირი მარკეტინგი** - ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით ინფორმაციის პირდაპირი და უშუალო მიწოდება ფიზიკური პირის ან /და იურიდიული პირის, საქონლის, იდეის, მომსახურების, სამუშაოს ან /და წამოწყების, აგრეთვე საიმიჯო და სოციალური თემატიკისადმი ინტერესის ფორმირების, შენარჩუნების, რეალიზაციის ან /და მხარდაჭერის მიზნით;

2.1.36. **პირი/პირები** - ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი (მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ი), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ი ან/და **კანონმდებლობის** საფუძველზე შექმნილი სხვა ორგანიზაციული/არარეგისტრირებული წარმონაქმნ(ებ)ი);

2.1.37. **პროფაილინგი** - მონაცემთა ავტომატური დამუშავების ნებისმიერი ფორმა, რომელიც გულისხმობს მონაცემების გამოყენებას ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, იმ მახასიათებლების ანალიზსა და პროგნოზირებას, რომლებიც შეეხება ფიზიკური პირის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხს, მის ეკონომიკურ მდგომარეობას, ჯანმრთელობას, პირად ინტერესებს, სანდოობას, ქცევას, ადგილსამყოფელს ან გადაადგილებას;

2.1.38. **რეკურენტული გადახდები - კლიენტის** მიერ მერჩანტისათვის მიცემული წინასწარი თანხმობის და ერთჯერადად მიწოდებული საბარათე მონაცემების საფუძველზე, მერჩანტის მოთხოვნის/პერმანენტული **საგადახდო დავალების** შესაბამისად **კლიენტის საბარათე ანგარიშიდან,** მერჩანტის მიერ მოთხოვნილი პერიოდულობითა და განსაზღვრული ვადით (არაუმეტეს 1 წლისა) განხორციელებული გადახდები.

2.1.39. **როლი - კლიენტის** მიერ **ინტერნეტ ბანკის მომხმარებლ(ებ)ისათვის განაცხადით** განსაზღვრული უფლებების ერთობლიობა, რომლის ფარგლებშიც ყველა **მომხმარებელს,** რომელსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი როლი, **ინტერნეტ ბანკით** სარგებლობისას ხელმისაწვდომი ფუნქციები განესაზღვრება აღნიშნული როლის შესაბამისად.

2.1.40. **საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი** ან **3D უსაფრთხოება** - მომსახურება, რომლის მიზანია უზრუნველყოს VISA ან MasterCard-ის საერთაშორისო საგადამხდელო სისტემაში ჩართული **ბარათით** ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების უსაფრთხოდ შესრულება;

2.1.41. **საბანკო დღე - ბანკის** მიერ დადგენილი სამუშაო დღის ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც **ბანკი** ახორციელებს საბანკო მომსახურებას;

2.1.42. **საბანკო მომსახურების ხელშეკრულება** - **მხარეთა** მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება **საბანკო მომსახურების** თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლის **დანართსაც** წარმოადგენს წინამდებარე **პირობები**.

2.1.43. **სამუშაო დღე -** კვირის დღეები, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გარდა **ბანკის** მიერ განსაზღვრული დასვენების ანდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეებისა. ამასთან, **ბანკში** დადგენილი **სამუშაო დღეების** და საათების ხანგრძლივობა, როდესაც შესაძლებელია **კლიენტის** საგადახდო **დავალების** მიღება, მოცემულია **პირობების** №3 დანართში;

2.1.44. **სანქციების დამდგენი ორგანო** - ნებისმიერი სახელმწიფოს ან/და სახელმწიფოთა გაერთიანების აღმასრულებელი/საკანონმდებლო/სასამართლო ხელისუფლება, ცენტრალური ბანკი, სახელმწიფო ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თვითმმართველი ორგანო, ზედამხედველი/მარეგულირებელი/მაკონტროლებელი ორგანო, (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური აქტივების კონტროლის სამსახური, გაერთიანებული სამეფოს ფინანსური სანქციების იმპლემენტაციის სამსახური, ევროპის კავშირის ან/და გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო ან/და მათი ნებისმიერი სამართალმემკვიდრე), ასევე, ნებისმიერი საერთაშორისო/ზესახელმწიფო ორგანიზაცია, საერთაშორისო საგახდო სისტემა, ფინანსური ინსტიტუტი ან/და სხვა უფლებამოსილი ორგანო, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში **კლიენტზე/კლიენტთან** დაკავშირებულ პირებზე, ვაჭრობის/მომსახურების ნებისმიერ დარგზე ან/და საქმიანობის სხვა სფეროზე გაავრცელებს რაიმე სახის ფინანსურ სანქცია(ებ)ს ან/და სხვა ტიპის შეზღუდვა(ებ)ს/აკრძალავა(ებ)ს/ემბარგო(ებ)ს.

2.1.45. **სწრაფი გადარიცხვის სერვისი - ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** შეთავაზებული სერვისი, რომელიც გულისხმობს **კლიენტის** მიერ ინიცირებული **ტრანზაქციის** შესახებ ინფორმაციის შესაბამისი საგადახდო სისტემისთვის დაჩქარებულ რეჟიმში გადაცემას;

2.1.46. **უფლებამოსილი პირი** - **კლიენტის** წარმომადგენელი, რომელიც უფლებამოსილია **კლიენტის** სახელით განახორციელოს ოპერაციები **დისტანციური საბანკო მომსახურების არხების** მეშვეობით;

2.1.47. **ფორს-მაჟორი/ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ი** - დაუძლეველი ძალის გარემოებები, სტიქიური მოვლენები, კატაკლიზმები, ომი, სამოქალაქო არეულობა, გაფიცვა, ლოკაუტი, კარანტინი, საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების ან/და თვითმმართველობის ორგანოების, საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების გადაწყვეტილებები, კიბერ შეტევა, შეფერხებები ბანკის მომწოდებლების მხრიდან და ა.შ. რომელიც: (ა) არ არის დაკავშირებული **მხარეთა** მოქმედებასთან ან/და უმოქმედობასთან; და (ბ) შეუძლებელს ხდის **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვადამოსული ვალდებულებ(ებ)ის სრულ და ჯეროვან შესრულებას;

2.1.48. **ხელშეკრულება** - (ა) **მხარეთა** მიერ ხელმოწერილი **საბანკო მომსახურების ხელშეკრულებისა** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მისი **დანართ(ებ)ის**, (ბ) წინამდებარე **პირობების,** ასევე, (გ) ნებისმიერი დამატებითი **განაცხად(ებ)ის, დანართ(ებ)ის** ერთობლიობა, რომელიც დაიდო/დაიდება **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

2.1.49. **B-match** -ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის პლატფორმა, რომლის მეშვეობით **ბანკი** თავისი სახელით ან/და **კლიენტის** დავალებით განათავსებს ვალუტის ყიდვის ან/და გაყიდვის განაცხადს, რომელიც გაცვლითი კურსის თანხვედრის შემთხვევაში სავაჭრო სისტემის მიერ კმაყოფილდება ავტომატურად;

2.1.50. **SMS** - ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით შექმნილი, მიღებული ან/და გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება;

2.1.51. **SMS ბანკი** - დისტანციური საბანკო მომსახურების ერთ-ერთი არხი, რომლის მეშვეობითაც **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს **ბანკში** გამოუცხადებლად, **მობილური ტელეფონის** საშუალებით, მიიღოს სხვადასხვა ინფორმაცია და აწარმოოს განსაზღვრული **ოპერაციები**.

## 3. განცხადებები და გარანტიები

3.1. **კლიენტი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

3.1.1. წარმოადგენს უფლებაუნარიან და ქმედუნარიან **პირს,** რომელსაც **პირობებით** განსაზღვრულ **განაცხად(ებ)ზე** ან/და ნებისმიერ შემადგენელ დოკუმენტზე ნების/თანხმობის გამოხატვის მიზნით მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა, ნებართვა ან/და დავალება (მინდობილობა);

3.1.2. მის მიერ **პირობებზე** თანხმობის გამოხატვა ან/და **პირობებით** გათვალისწინებული რომელიმე მოქმედების შესრულება არ მოდის წინააღმდეგობაში **კანონმდებლობასთან** (მათ შორის, **კლიენტის** იურისდიქციის კანონმდებლობასთან), საერთაშორისო ნორმებთან, **კლიენტის** დებულებებთან, წესდებებთან, გადაწყვეტილებებთან, სადამფუძნებლო ან/და სხვა სახის დოკუმენტებთან, არ იწვევს სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებით ნაკისრი/განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევას და არ წარმოშობს **მესამე პირ(ებ)ისათვის ხელშეკრულებაზე** შეცილების უფლებას;

3.1.3. **პირობებზე** თანხმობის გამოხატვის თარიღისათვის მისთვის არ არის ცნობილი **ფორს-მაჟორის** არსებობის შესახებ, რომელიც შეუძლებელს გახდის **მხარეთა** მიერ **პირობებით** ნაკისრი ვადამოსული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას;

3.1.4. **კლიენტი/კლიენტის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი** მოპასუხის ან მესამე პირის სახით არ მონაწილეობს სასამართლო ან/და საარბიტრაჟო დავაში, ადმინისტრაციულ წარმოებებში, რომელიც ხელს შეუშლის **მხარეთა** მიერ **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

3.1.5. **პირობებზე** თანხმობის გამოხატვის და **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურების მიღების მიზნით, **ბანკისათვის** წარდგენილი ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი, ხოლო დოკუმენტები (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად წესდება, სადამფუძნებლო დოკუმენტ(ებ)ი, დავალება (მინდობილობა) და სხვ.) წარმოადგენს სრულ და მოქმედ რედაქციას;

3.1.6. **კლიენტი/კლიენტის მიერ განსაზღვრული** უფლებამოსილი პირი არ მონაწილეობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე უკანონო საქმიანობაში (მათ შორის, ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში ან/და ტერორიზმში), რომელიც ეწინააღმდეგება/არღვევს ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობას (მათ შორის, **კლიენტის** რეზიდენტი ქვეყნის იურისდიქციის კანონმდებლობას).

3.1.7. წინამდებარე **პირობების** ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს **კლიენტის** მიერ **პირობებით** ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3.1.8. წინამდებარე **პირობების** ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობითაც შესაძლოა **ბანკს** მიადგეს მატერიალური ან სხვა სახის ზიანი/ზარალი და დაიცავს **ბანკს** ამგვარი სახის ზიანისაგან/ზარალისაგან.

3.1.9. წინამდებარე **პირობების** ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების/გარიგების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის არ განახორციელებს იმგვარ ქმედებებს, რომელთა შედეგადაც შესაძლოა **ბანკს** მიადგეს ნებისმიერი სახის ზიანი/ზარალი და ასეთი შედეგის დადგომის შემთხვევაში აცნობიერებს **ბანკის** უფლებამოსილებას გამოიყენოს კანონმდებლობით ან/და წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული ღონისძიებები.

3.1.10. არ წარმოადგენს **სანქციების დამდგენი ორგანოს** მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქციით ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვით/აკრძალვით (მათში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) დასანქცირებულ პირს;

3.1.11. მისი ქმედება არ არის/იქნება მიმართული **ბანკის** მოტყუებისაკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით **პირობების** ან/და **ბანკთან** დადებული სხვა ხელშეკრულების დასადებად ან მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთანავე, მისთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება, **კანონმდებლობის** შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას;

3.1.12. პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუხდია ან მიუღია (ან ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს), ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული გადასახადი, ქრთამი ან ანაზღაურება, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს **ხელშეკრულებას** ან/და **ბანკთან** დადებულ სხვა ნებისმიერ ხელშეკრულებას.

3.1.13. **პირობებზე** თანხმობის გამოხატვისას **ბანკის** ან/და **მესამე პირ(ებ)ის** მხრიდან ადგილი არ ჰქონია, **კლიენტის/კლიენტის მიერ განსაზღვრული** უფლებამოსილი პირის ან/და მასთან/მათთან დაკავშირებული პირ(ებ)ის მიმართ იძულებას, მოტყუებას ან/და მუქარას, **ბანკს** არ უსარგებლია **კლიენტის** მძიმე ფინანსური მდგომარეობით და არ გამოუყენებია ბოროტად **ბანკის** საბაზრო ძალაუფლება;

3.1.14. სრულად გაეცნო და მისთვის მისაღებია **ხელშეკრულების** და მისი შემადგენელი ყველა დოკუმენტის პირობები, მათ შორის მომსახურების ტარიფები და ადასტურებს, რომ **პირობებით** განსაზღვრული **პირგასამტეხლო** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არის შეუსაბამოდ მაღალი;

3.1.15. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** დებს სავალუტო გარიგებას, იგი დამატებით აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ მას აქვს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება ფინანსურ და ბიზნეს საკითხებთან და საკრედიტო რისკის განსაზღვრასთან დაკავშირებით და რომ მას უნარი შესწევს შეაფასოს **კლიენტის** ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე სავალუტო გარიგების არსი, რისკები და შესაფერისობა. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს მასზედ, რომ მან იცის, აცნობიერებს და შეუძლია იკისროს სავალუტო გარიგებასთან დაკავშირებული რისკები. **კლიენტი** ადასტურებს, რომ მას საკმარისად მიუწვდება ხელი ინფორმაციაზე და რომ მან კონსულტაცია გაიარა საკუთარ იურიდიულ, საგადასახადო, ბიზნეს, საინვესტიციო, ფინანსურ მრჩევლებთან და ბუღალტრებთან იმ ოდენობით, რასაც იგი თვლის აუცილებლად და სავალუტო გარიგების დადების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო/მიიღებს საკუთარი (**კლიენტის**) დასკვნებიდან და ასეთი კონსულტანტების რჩევებიდან გამომდინარე და არა **ბანკის** მიერ გამოხატული ნებისმიერი შეხედულებიდან გამომდინარე;

3.1.16. **კლიენტი** აცხადებს და ადასტურებს, რომ გაცნობილია **ბანკის** ვებგვერდზე https://libertybank.ge/ka/samartlebrivi-inpormatsia/monatsemta-datsvis-politika განთავსებულ „მონაცემთა დაცვის პოლიტიკას“ და მის დანართ(ებ)ს.

3.2. აღნიშნული განცხადებები ძალაშია **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

3.3. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** ნებისმიერი გარემოებ(ებ)ის დაწყების ან დადგომის შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს **პირობებში** მითითებული **განცხადებებისა** ან/**და გარანტიების** ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა.
3.4. **მხარეები** აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებას** დებენ **განცხადებებსა და გარანტიებზე** დაყრდნობით და თვლიან მათ **ხელშეკრულების** არსებით პირობებად. შესაბამისად, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **განცხადებების** ან/**და გარანტიების** დარღვევა საკმარის საფუძველს წარმოადგენს **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებაზე** ცალმხრივად უარის სათქმელად.
3.5. **კლიენტი** ყველანაირი საშუალებით უზრუნველყოფს, რომ მასთან დაკავშირებულმა პირ(ებ)მა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **ბარათის მფლობელ(ებ)ს, უფლებამოსილ პირ(ებ)ს** ან/და **კლიენტის** სახელით მოქმედ ნებისმიერ მესამე პირს) **ხელშეკრულების** მოქმედების მთლიანი ვადის განმავლობაში არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილი გარანტიების ან/და ნებისმიერი სხვა ვალდებულების დარღვევას.
3.6. აღნიშნული განცხადებებისა და გარანტიების დარღვევის შემთხვევაში (რითაც არ იზღუდება **ბანკის** უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება გარანტიების ამგვარი დარღვევით), თუ **კლიენტი** ვერ შეძლებს ამ დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) **საბანკო დღის** განმავლობაში, **კლიენტი** თანახმაა **ბანკს** აუნაზღაუროს და დაიცვას **ბანკი** ნებისმიერი ზარალისაგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისაგან, ხარჯისაგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **ბანკი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისაგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისაგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას. წინამდებარე პუნქტის მიზნების უზრუნველსაყოფად **კლიენტი** აცნობიერებს **ბანკის** უფლებამოსილებას წინასწარი შეტყობინების გარეშე უაქცეპტოდ დაბლოკოს/დახუროს **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიში, დაბლოკოს/დაზრონოს/ჩამოწეროს თანხები **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიშიდან და მიმართოს აღნიშნული თანხები მესამე პირების ან **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანებების დასაფარად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## 4. მომსახურების საფასური

4.1. **კლიენტის** და **ბანკის** ფინანსური ურთიერთობა სრულად რეგულირდება **ბანკის** მიერ დადგენილი ტარიფებით.
4.2. **კლიენტი ბანკს** უხდის საკომისიოს **პირობების** 1.5 პუნქტში აღნიშნული რომელიმე პროდუქტის/მომსახურების გამოყენებისას, მათი გამოყენების დროისათვის **ბანკის** მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.
4.3. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მოქმედი ტარიფები. **ბანკის** მიერ დადგენილი ტარიფების ცვლილების შემთხვევაში, **კლიენტს** აღნიშნულის შესახებ ეცნობება წინასწარ, წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული წესის შესაბამისად, პირადად ან **ბანკის** საინფორმაციო მასალების საშუალებით.
4.4. თუ წინამდებარე **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **მომსახურების** საფასური **ბანკის** მიერ უაქცეპტოდ ჩამოჭრილი იქნება **კლიენტის** ანგარიშიდან.
4.5. მომსახურების საფასურის ჩამოწერა/ჩამოჭრა ხორციელდება **კლიენტის მიმდინარე ანგარიშიდან**, ან/და **კლიენტის ბანკში** გახსნილი სხვა ანგარიშ(ებ)იდან, მათ შორის კონვერტაციის გზით, კონვერტაციის დღეს **ბანკის კომერციული გაცვლითი კურსის** შესაბამისად.
4.6. **კლიენტის** მიერ რომელიმე მომსახურების საფასურის გადაუხდელობა **ბანკს** ანიჭებს უფლებას შეუჩეროს ან/და შეუწყვიტოს **კლიენტს პირობებით** განსაზღვრული მომსახურებით სარგებლობის უფლება.
4.7. თუ **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მომსახურების საფასურის გადახდა განხორციელდება შემდეგი პრინციპით:
4.7.1. თუ მომსახურების საფასურის გადახდის თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, მომსახურების საფასურის ჩამოწერა (გადახდა) მოხდება მომდევნო **საბანკო დღეს**.
4.7.2. თუ მომსახურების საფასურის გადახდის თარიღი ემთხვევა კალენდარული თვის ბოლო დღეს, მომსახურების საფასურის ჩამოწერა (გადახდა) განახორციელდება კალენდარული თვის ბოლო **საბანკო დღეს**.
4.7.3. მომსახურების საფასურის ერთი წლის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია შეწყვიტოს **კლიენტის** დავალიანების აკუმულირება.
4.7.4. **კლიენტის** მიერ მომსახურების/პროდუქტის შეძენის შემდეგ მომსახურებაზე/პროდუქტზე უარის თქმის შემთხვევაში **კლიენტს** გადახდილი თანხა არ დაუბრუნდება.
4.7.5. **კლიენტის** მიერ რომელიმე მომსახურების საკომისიოს გადაუხდელობა **ბანკს** ანიჭებს უფლებას შეუჩეროს ან შეუწყვიტოს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული სხვა მომსახურებით სარგებლობის უფლება.
4.8. **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ დავალიანების არსებობის შემთხვევაში, პირველ რიგში ხდება **ბანკის** მიერ **კლიენტის ანგარიშიდან** თანხის ჩამოწერა დავალიანების დასაფარად. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს **კლიენტს** უფლება განკარგოს დარჩენილი თანხა საკუთარი შეხედულებისამებრ.
4.9. **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანებისას, გადასახდელი თანხა იფარება **ბანკის** შეხედულებით განსაზღვრული თანმიმდევრობით. ამასთან, დავალიანების დაფარვის სტანდარტული თანმიმდევრობა შემდეგია:
4.9.1. წიამდებარე **პირობებით** განსაზღვრული მომსახურების საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4.9.2. საკრედიტო დავალიანება (არსებობის შემთხვევაში) – მათ შორის საკრედიტო ბარათის, ოვერდრაფტის და სხვა საკრედიტო პროდუქტის მიხედვით;
4.9.3. **თანხის გადახარჯვის** (ოვერლიმიტის) პროცენტი (არსებობის შემთხვევაში);
4.9.4. **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული სხვა დავალიანება (არსებობის შემთხვევაში).
4.10. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე მუხლის 4.9 პუნქტში მოცემული თანმიმდევრობა არ გამორიცხავს **ბანკის** უფლებამოსილებას ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანების დაფარვის სხვა თანმიმდევრობა თავისი შეხედულებისამებრ.

## 5. დავალების მიღების და შესრულების ვადები

5.1. **ბანკი** გადახდის **ოპერაციას** ახორციელებს გადამხდელის ან მიმღების მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი **დავალების** საფუძველზე. ამასთან, **დავალება** შეიძლება წარდგენილი იქნას მატარიალური ან/და არამატერიალური-ელექტრონული ფორმით.
5.2. **დავალებას ბანკი** მიიღებს და შეასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელის ან მიმღების მიერ სრულად და ჯეროვნად შევსებული იქნება **ბანკის** მიერ მოთხოვნილი რეკვიზიტები.
5.3. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **ბანკის** მიერ **დავალების** მიღება ავტომატურად არ გულისხმობს გადახდის **ოპერაციის** შესრულებას და გადახდის **ოპერაცია** დაკავშირებულია შესაბამის ვადებთან, რომელიც დამოკიდებულია თავად **დავალების** შინაარსზე.
5.4. **ბანკის** მიერ **დავალებ(ებ)ის** მიღებისთვის დადგენილი დროის მონაკვეთი, აგრეთვე მიღებული **დავალებ(ებ)ის** განხორციელებისთვის საჭირო მაქსიმალური ვადები მოცემულია **პირობების დანართში.**
5.5. ეროვნულ ვალუტაში შესრულებული გადარიცხვის შემთხვევაში, **კლიენტი** უფლებამოსილია ისარგებლოს **სწრაფი გადარიცხვის სერვისით** წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული და **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. სწრაფი გადარიცხვის დაინიცირება **კლიენტს** შეუძლია მხოლოდ **სამუშაო დღეებში,** 10:00 საათიდან 17:30-მდე პერიოდში. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **ბანკის** მიერ **კლიენტის ტრანზაქციის** დაჩქარება გამოიხატება **ტრანზაქციის** შესახებ ინფორმაციის საგადახდო სისტემისთვის პრიორიტეტულად მიწოდებაში, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი საგადახდო სისტემის მიერ დავალების შესრულების ან/და მიმღების პროვაიდერის მიერ მიმღების ანგარიშზე თანხის ასახვის ვადებზე. ასევე **ბანკს** არ დაეკისრება პასუხისმგებლობა

გადარიცხვის შესრულების ვადასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ **ტრანზაქციის** შესრულებისთვის საჭიროა დამატებითი დადასტურება (მათ შორის **ბანკის** უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ) ან/და დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა. **სწრაფი გადარიცხვის სერვისის** ტარიფები განისაზღვრება **პირობების** შესაბამისი **დანართით.**

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **პირობების** შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) **კანონმდებლობით** ან/და **პირობებით** დადგენილი წესით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **კლიენტი** პასუხისმგებელია **კლიენტის** სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, **ბარათის მფლობელ(ებ)ის, უფლებამოსილი პირ(ებ)ის** ან/და სხვა მესამე პირ(ებ)ის) მიერ განხორციელებული ქმედებების გამო დამდგარ ნებისმიერ შედეგზე.

6.2. **კლიენტის** მიერ **პირობებით/ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვადამოსული ან ვადამოუსვლელი ვალდებულებ(ებ)ის/გადასახდელ(ებ)ის სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

6.2.1. **კლიენტის ბანკში** არსებული ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** დაბლოკოს და უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად პირგასამტეხლოს, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები და სხვ.) და მიმართოს ყველა და ნებისმიერი არსებული (როგორც ვადამოსული, ისე ვადამოუსვლელი) ფულადი ვალდებულებ(ებ)ის დასაფარად/შესამცირებლად;

6.2.2. თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტის ანგარიშიდან**;

6.2.3. **კლიენტის** მიერ **პირობებით** ან/და **ბანკთან** არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის და არამარტო საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების (მათ შორის, ასეთი საფრთხის არსებობისას) შემთხვევაში შეაჩეროს **პირობებით** განსაზღვრული მომსახურება;

6.2.4. **ბანკის** წინაშე რამდენიმე ვალდებულების/გადასახდელის არსებობისას, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს **ბანკის** წინაშე არსებული ვადამოსული ან ვადამოუსვლელი ვალდებულებ(ებ)ის/გადასახდელ(ებ)ის დაფარვის თანმიმდევრობა და რიგითობა.

6.2.5. **ბანკის** წინაშე არსებული **კლიენტის** ვალდებულებები გაქვითოს **კლიენტის** წინაშე არსებულ **ბანკის** ნებისმიერ ვალდებულებაში, რაც მათ შორის, შეზღუდვის გარეშე მოიცავს უფლებას, **ბანკმა კლიენტის** წინაშე არსებული და მისთვის გადასახდელი ნებისმიერი თანხა შესაბამისი მოცულობით ჩათვალოს (გაქვითოს) **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** შესასრულებელი ვალდებულების/გადასახდელის ანგარიშში.

6.3. თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ბანკი** არ არის ვალდებული გადაამოწმოს მისთვის წარდგენილი **დავალების** შესაბამისობა **კანონმდებლობასთან** (მათ შორის, **კლიენტის** ქვეყნის **კანონმდებლობასთან**). ნებისმიერი ზიანი ან პასუხისმგებლობა, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნას **კანონმდებლობის** დარღვევით გაცემული **დავალების** შესრულებისას, ეკისრება თავად **კლიენტს**.

6.4. ნებისმიერი **მესამე პირის** (მათ შორის **უფლებამოსილი პირ(ებ)ის, ბარათის მფლობელ(ებ)ის, ბანკის სახელფასო პროექტში** ჩართული/ჩასართავი პირ(ებ)ის, ჯგუფური გადარიცხვის შესრულების მიზნით **ბანკისთვის** მიწოდებულ რეესტრში/სიაში აღნიშნული პირ(ებ)ის) შესახებ ინფორმაციის, მათ შორის მათი პერსონალური მონაცემების **ბანკისთვის** მიწოდებისას **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის პერსონალური მონაცემების **ბანკისათვის** გადაცემისა და აღნიშნული მონაცემების **ბანკის** მიერ დამუშავების თაობაზე, ყველა შესაბამისი თანხმობის/ნებართვის მოპოვება. **კლიენტის** მიერ ამგვარი ინფორმაციის **ბანკისთვის** (ან მისი უფლებამოსილი პირისთვის) მიწოდების ფაქტი გულისხმობს **კლიენტის** მიერ ამ პიროვნებისგან თანხმობის მოპოვებას და აღარ საჭიროებს **ბანკის** მიერ ასეთი დასტურის მოპოვებას. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგენს ბანკს **კლიენტის** მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. **კლიენტი** თანახმაა აუნაზღაუროს და დაიცვას **ბანკი** ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **ბანკი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას ამასთან, **კლიენტი** ვალდებულია აუნაზღაუროს **ბანკს** „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევით, მათ შორის წინამდებარე დებულებით განსაზღვრული თანხმობ(ებ)ის არარსებობით გამოწვეული ზედამხედველის მიერ დაკისრებული ნებისმიერი ფინანსური სანქცია.

## 7. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

7.1. იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკი** მოქმედებს **კლიენტის დავალებით** საბანკო მომსახურების გაწევისას, **კლიენტი** აცხადებს თანხმობას იმის შესახებ, რომ აუნაზღაურებს და დაიცავს **ბანკს** ზიანისგან, ზარალისგან, სასამართლო ხარჯებისგან, **კლიენტის** ან მესამე **მხარის** მიერ (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **ბარათის მფლობელ(ებ)ს, უფლებამოსილ პირ(ებ)ს, კლიენტის** თანამშრომლებს) წამოწყებული საჩივრისგან, ქმედებისგან ან სასამართლოში წარდგენილი საჩივრისგან, სარჩელისგან ან განაცხადისგან. ასევე, **კლიენტი** აუნაზღაურებს და დაიცავს **ბანკს** ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიშვა საბანკო მომსახურების გამოყენების შედეგად, ან ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიშვა საბანკო მომსახურების მეშვეობით განხორციელებული **ოპერაციის** შედეგად; **კლიენტი** აღიარებს, რომ აღნიშნული ოპერაცია(ები) განხორციელდება **ბანკის** მიერ მიღებული **დავალებ(ებ)ის** და ავტორიზაციის შესაბამისად ამ **პირობების** მიხედვით და სხვა შესაბამისი განსაკუთრებული პირობების, ხელშეკრულებების, კონტრაქტების ან მსგავსი ინსტრუმენტების მიხედვით. **კლიენტი** აგრეთვე აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ზარალის ანაზღაურების პირობები ძალაში დარჩება და **კლიენტისათვის** მავალდებულებელი იურიდიული ძალა ექნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება საბანკო მომსახურების ნაწილობრივ ან მთლიანად გაუქმება.

7.2. **კლიენტი** აცხადებს და თანახმაა, რომ მას შესაძლოა მოუწიოს ზარალის ანაზღაურების შესახებ დამატებითი ხელშეკრულებების, განცხადებების ან სხვა მსგავსი დოკუმენტების ხელმოწერა და მათი/მისი შესრულება, განსაკუთრებით კი ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებით, რომლებიც **წვდომის კოდ(ებ)ის** გამოყენებით ხორციელდება/განხორციელდა. ამგვარი დამატებითი ხელშეკრულებები, განცხადებები და მსგავსი საშუალებები დაემატება და არ გამორიცხავს აქ მოყვანილ პირობებს ზარალის ანაზღაურების შესახებ.

7.3. წინამდებარე **პირობების** მიუხედავად, **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე ისეთ ზარალზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოიშვა საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით. ასევე, გამორიცხულია **ბანკის** პასუხისმგებლობა ნებისმიერ ზარალზე ან ზიანზე, მოგების, ბიზნესის, შემოსავლის ან დაგეგმილი დანაზოგ(ებ)ის დაკარგვაზე, რომელიც დაკავშირებულია **პირობებით** განსაზღვრულ საბანკო მომსახურებას(ებ)თან.

7.4. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ოფლაინ ტრანზაქცია(ები)** (მათ შორის **რეკურენტული გადახდები**) სრულდება **ბანკის** დადასტურების გარეშე, შესაბამისად, **ბანკს** არ ეკისრება პასუხისმგებლობა **კლიენტის ბარათით ოფლაინ ტრანზაქცი(ებ)ის** შესრულების გამო, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ **ოფლაინ ტრანზაქციები** განხორციელებული **ბარათის** ბლოკირების შემდეგ.

7.5. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის/არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, **კლიენტის** მიერ განხორციელებულ გადარიცხვებთან დაკავშირებით):

7.5.1. თუ ეს გამოწვეულია **კლიენტის საგადახდო დავალებაში** ან სხვა რომელიმე დოკუმენტში მითითებული მიმღები ან შუამავალი ბანკის/პროვაიდერის ნებისმიერი ქმედებით ან/და შეცდომით, ან **ბანკისაგან** დამოუკიდებელი ნებისმიერი სხვა მიზეზით;

7.5.2. **კლიენტის** ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის ან/და სხვა მოწყობილობის/აღჭურვილობის (მისი/მათი რომელიმე ნაწილის ან/და აქსესუარის) ან/და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით;

7.5.3. **კლიენტის** მიერ **განაცხადის** ან/და განცხადების/დოკუმენტის არასწორი ან არასრულყოფილი შევსებით;

7.5.4. **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიწოდებული ინფორმაციის/მონაცემების უსწორობით ან/და უზუსტობით;
7.5.5. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით.
7.6. **ბანკს** არ აქვს ვალდებულება შეამოწმოს/შეაფასოს **კლიენტის უფლებამოსილი პირის** ან/და **კლიენტის** სახელით მოქმედი სხვა პირის ბრძანებების/დავალებების/ქმედებების (მათ შორის შეუზღუდავად, **ბანკში ანგარიშ(ებ)ის** გახსნასთან, **გადარიცხვების** განხორციელებასთან ან/და **ანგარიშებიდან** თანხის გატანასთან დაკავშირებით) უფლებამოსილება ან/და მიზანშეწონილობა ან/და ნებისმიერი სხვა დაკავშირებული საკითხი. **უფლებამოსილი პირისათვის/კლიენტის** სახელით მოქმედი პირისათვის მინიჭებული უფლებამოსილება ჩაითვლება ნამდვილად და უტყუარად მანამ, ვიდრე **ბანკი კლიენტისაგან** მიიღებს სათანადო შეტყობინებას აღნიშნული უფლებამოსილების გაუქმების თაობაზე.
7.6.1. **ბანკს** არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა **უფლებამოსილ პირის** მიერ **ინტერნეტ ბანკის მომხმარებლის** შესაბამისი **როლისთვის** მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ შეიცვალა/გაუქმდა **უფლებამოსილი პირის** წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განმსაზღვრელი დოკუმენტი (მათ შორის, მინდობილობა, ბრძანება, წესება, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან ან/და სხვა დოკუმენტი) ან/და ნებისმიერი სხვა მიზეზით გაუქმდა/შეიცვალა **უფლებამოსილი პირის** წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები და აღნიშნულის თაობაზე **კლიენტს** არ შეუტყობინებია **ბანკისთვის.**
7.7. ზემოაღნიშნული დებულებები ზარალის ანაზღაურების და პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ გავრცელდება **ბანკის** აღმასრულებელ პირებზე, დირექტორებზე, თანამშრომლებზე, წარმომადგენლებსა და აგენტებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი გამოწვეულია **ბანკის** ან ზემოაღნიშნული პირების დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით ან **ხელშეკრულების** პირობების დარღვევით (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ამ **პირობების** დარღვევას).
7.8. **დისტანციური საბანკო მომსახურების არხების** გამოყენებისას **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა **დავალებაზე,** რომელსაც იგი (მათ შორის, **უფლებამოსილი პირ(ებ)ის** მეშვეობით) გასცემს **ბანკზე** სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ, იმ მომენტამდე, სანამ იგი არ შეწყვეტს საბანკო მომსახურებით სარგებლობას. აღნიშნული გულისხმობს პასუხისმგებლობას **დავალებაზე** ან აღნიშნული **დავალების** შევსებისას/გაგზავნისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომაზე, რომელიც გაგზავნილი იყო კლიენტის ან/და მესამე პირის მიერ.
7.9. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტს** შესთავაზოს დამატებითი სერვისები მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის ხელფასის ინდივიდუალური ან ჯგუფური გადარიცხვის ფარგლებში საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო სქემაში გადასარიცხი თანხის გასაანგარიშებელი კალკულატორი. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მიერ შეთავაზებული კალკულატორით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხების დაანგარიშება მოხდება მითითებული მისაღები ხელფასის ოდენობებზე დაყრდნობით და არის საორიენტაციო ხასიათის. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი დეტალურად შეამოწმოს მონაცემები და გადარიცხვა დაადასტუროს მხოლოდ მათ სისწორეში დარწმუნების შემდეგ. **ბანკს** არ დაეკისრება პასუხისმგებლობა საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო სქემაში გადასარიცხი თანხის ნებისმიერი მიზეზით არასწორად გადარიცხვის გამო, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ დაგროვებით საპენსიო სქემაში მოხდება ისეთი პირის შენატანის გადარიცხვა, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით გავიდა დაგროვებითი პენსიის სქემიდან.
7.10. ამ მუხლში აღნიშნული პირობები განგრძობადი ხასიათისაა და ძალაში დარჩება ამა თუ იმ საფუძვლით საბანკო მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაშიც, ვიდრე **მხარეები** ერთმანეთის წინაშე სრულად არ შეასრულებენ **პირობებიდან/ხელშეკრულებიდან,** მათ შორის მისი/მათი რომელიმე **დანართიდან** გამომდინარე წარმოშობილ ვალდებულებებს.

## 8. გადასახადები

8.1. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი გადაიხადოს ნებისმიერი გადასახადი/გადასახდელი (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს), ბეგარა, საბაჟო გადასახადი, რომელიც შეიძლება დაწესდეს ნებისმიერ ვალდებულებაზე და შეიძლება წარმოიშვას **ანგარიშის** მართვასთან ან/და **პირობებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ან ყველა მომსახურებასთან მიმართებით.
8.2. თუ **კანონმდებლობით** გათვალისწინებულია, რომ ნებისმიერი ვალდებულების გადახდა შესაძლებელია თანხების დაკავებით, **ბანკი** ან/და **აფილირებული პირ(ებ)ი** ამგვარი თანხის გადახდას ან/და ჩამოწერას, **კლიენტის** ხარჯზე, მოახდენს იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკი კლიენტს** გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას.
8.3. თუ **კანონმდებლობის** შესაბამისად **ბანკს** ეკისრება რაიმე გადასახადი ან ჯარიმა **კლიენტის** საგადასახადო ვალდებულების გამო, **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს **ბანკს** ყველა ამგვარი ვალდებულება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამგვარი გადასახადის ან ჯარიმის დაწესება გამოწვეულია **ბანკის** რომელიმე თანამშრომლის დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით.

## 9. პირობების ცვლილება

9.1. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, ცალმხრივად (**კლიენტის** დამატებითი შემდგომი თანხმობის გარეშე) შეცვალოს წინამდებარე **პირობები** და აღნიშნული ცვლილება ამოქმედებამდე წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე გახადოს ხელმისაწვდომი **კლიენტისათვის.** ამასთან, წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც:
9.1.1. **პირობებით** განსაზღვრული პროდუქტ(ებ)ის/მომსახურებ(ებ)ის ტარიფ(ებ)ის ცვლილება ხორციელდება **კლიენტის** სასარგებლოდ;
9.1.2. **პირობებში** ხორციელდება ახალი საგადახდო მომსახურების, საბანკო **პროდუქტის**/საბანკო **მომსახურების** ან **დისტანციური საბანკო მომსახურების არხის** დამატება, რომელიც არსებითად არ ანაცვლებს ან/და არ ცვლის **პირობებში** არსებულ აღწერილობას და/ან წესებს.
9.2. თუ **კლიენტი** არ დაეთანხმება **ბანკის** მიერ შეცვლილ პირობებს, იგი ვალდებულია ამ მუხლის 9.1 პუნქტში მითითებული ვადის გასვლამდე და ცვლილებების ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ **ბანკს,** წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ **კლიენტი** ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.
9.3. ცვლილებების მიღებაზე წერილობითი უარის დაფიქსირების შემთხვევაში, **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს **პირობების მოქმედების** დაუყოვნებლივ შეწყვეტა. ამასთან, თუ ასეთი მოთხოვნა არ არის დაფიქსირებული **კლიენტის** მხრიდან წარდგენილ განცხადებაში/მიმართვაში, **ბანკი** უფლებამოსილია თავად შეწყვიტოს **პირობების** მოქმედება ცვლილებების ამოქმედების თარიღიდან.
9.4. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული მიზეზით **პირობების** ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო **კლიენტი** ვალდებულია სრულად დაფაროს **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წინამდებარე **პირობებით** დადგენილი წესით. ამასთან, **კლიენტს** არ დაეკისრება რაიმე სახის საჯარიმო საკომისიო ან/და დამატებითი პირგასამტეხლო **პირობების** ვადამდე შეწყვეტისათვის.
9.5. **პირობებში** ცვლილებების შესახებ **კლიენტის** ინფორმირება (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) განხორციელდება შეცვლილი **პირობების** ტექსტის **ბანკის** ვებგვერდზე - http://libertybank.ge განთავსების გზით. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** ინფორმირება დაგეგმილი ან არსებული/განხორციელებული ცვლილებ(ებ)ის შესახებ მოახდინოს **ბანკის** მიერ განსაზღვრული კომუნიკაციის ერთი ან რამდენიმე, **ბანკისათვის** მისაღები ფორმით. **კლიენტი** თავად არის ვალდებული პერიოდულად შეამოწმოს **ბანკის** ვებ-გვერდი და გაეცნოს და **კლიენტის** სახელით მოქმედ ნებისმიერ პირს (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე **ბარათის მფლობელ(ებ)ს** ან/და **უფლებამოსილ პირ(ებ)ს**) გააცნოს **პირობებში** შესული ცვლილებები.

## 10. პირობების მოქმედება და პირობების შეწყვეტა

10.1. **პირობები** ძალაში შედის **კლიენტის** მიერ შესაბამის განაცხადზე ხელმოწერის ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით თანხმობის გამოხატვის დღიდან და მოქმედებს მის შეწყვეტამდე ამ **პირობებით** განსაზღვრული წესის შესაბამისად.

10.2. **კლიენტის** მიერ რომელიმე პროდუქტის/მომსახურების სარგებლობის შეწყვეტის შემდეგ მისი სარგებლობის განახლების შემთხვევაში, პროდუქტზე/მომსახურებაზე გავრცელდება წინამდებარე **პირობები,** ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე.

10.3. თუ **ბანკი** ან/და **კლიენტი** გადაწყვეტენ შეწყვიტონ ზოგიერთი სახის საბანკო პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობა, შეწყვეტის შესახებ შესაბამისი შეთანხმება ძალაში იქნება მხოლოდ მითითებულ პროდუქტთან/მომსახურებასთან დაკავშირებით.

10.4. თუ წინამდებარე **პირობებით** ან საქართველოს **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ბანკს** უფლება აქვს შეწყვიტოს **ხელშეკრულება** ცალმხრივად, ნებისმიერ დროს. ასეთ შემთხვევაში **ბანკი კლიენტს** გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას, **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე სულ მცირე 1 (ერთი) თვით ადრე.

10.5. თუ **კლიენტი** დაარღვევს **ხელშეკრულების** მნიშვნელოვან პირობას ან მის გადახდისუნარიანობას შეექმნება საფრთხე, **ბანკი** უფლებამოსილია შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით უარი განუცხადოს **კლიენტს** მომსახურების შემდგომ გაწევაზე, კერძოდ, გააუქმოს ამ **პირობებით** განსაზღვრული შესაბამისი საბანკო მომსახურება (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დისტანციური საბანკო მომსახურების არხებს**), გააუქმოს ბარათ(ებ)ი, დახუროს **კლიენტის** ანგარიშ(ებ)ი და მოითხოვოს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანების სრულად დაფარვა ან/და ცალმხრივად დაუყოვნებლივ შეწყვიტოს **ხელშეკრულება** სრულად.

10.6. **კლიენტის** მიერ **ანგარიშით** მომსახურების შეწყვეტის ან ამ **ანგარიშის** დახურვის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია შეუწყვიტოს **კლიენტს** წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული ნებისმიერი ან ყველა მომსახურება.

10.7. **კლიენტს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს **პირობების** მოქმედება **ბანკისთვის** 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ამასთან, **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში **პირობების** მოქმედება შესაძლებელია შეწყდეს აღნიშნულ ვადაზე ადრეც.

10.8. **კლიენტი** აცნობიერებს და თანახმაა, რომ **პირობების** მოქმედება არ შეწყდება მანამ, სანამ **კლიენტი** არ შეწყვეტს ისეთ განგრძობად **ოპერაციებსაც,** რომლებიც **კლიენტის დავალების** საფუძველზე ხორციელდება მისივე ანგარიშ(ებ)იდან.

10.9. თუ **პირობების** შეწყვეტა **კლიენტის** მიერ განხორციელდება **პირობების** ძალაში შესვლიდან 12 (თორმეტი) თვის გასვლამდე, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** დააკისროს **პირობების** შეწყვეტასთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულება იმ მოცულობით, რა მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს **პირობების** შეწყვეტიდან გამომდინარე **ბანკის** მიერ გასაწევ რეალურ ხარჯს.

10.10. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში ან/და **პირობების** მოქმედების ნებისმიერი საფუძვლით შეწყვეტისას, **კლიენტი** ვალდებულია დაუბრუნოს **ბანკს** მოძრავი ნივთები ან/და **ინტელექტუალური პროდუქტი,** რაც მან მიიღო **მომსახურების** შესრულების შედეგად (მათ შორის, პლასტიკური ბარათები, **დისტანციური საბანკო მომსახურებისთვის** განკუთვნილი ხელსაწყოები, სარეკლამო მასალები და სხვ.).

10.11. **პირობების** მოქმედების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **კლიენტს პირობებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებ(ებ)ის სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულებ(ებ)ის იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.

10.12. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ კონფიდენციალურობასთან და **პერსონალურ მონაცემთა** დაცვასთან დაკავშირებული პირობები ძალაში დარჩება და **კლიენტისათვის** მავალდებულებელი იურიდიული ძალა ექნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება საბანკო მომსახურების ნაწილობრივ ან მთლიანად გაუქმება.

10.13. თუ **პირობების** მოქმედების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შედეგები (მათ შორის, **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე პასუხისმგებლობა) არ არის გათვალისწინებული **პირობებით**, მაშინ **მხარეები** იხელმძღვანელებენ შესაბამისი **კანონმდებლობით**.

## 11. *კომუნიკაცია*

11.1. თუ კონკრეტული **საბანკო პროდუქტით/საბანკო მომსახურებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **მხარეთა** შორის ნებისმიერი ურთიერთობა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და შეტყობინება შესაძლოა მიეწოდოს **მხარეს განაცხადში** ან/და **ბანკთან** სხვა ფორმით დაფიქსირებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლე ტექსტური შეტყობინების) ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:

11.1.1. **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;

11.1.2. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტისათვის** ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში **კლიენტის** მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი **პირისთვის** ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;

11.1.3. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტის** ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;

11.1.4. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლე ტექსტური შეტყობინების) ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნის დღეს.

11.2. ***ვერიფიცირებული ნომერი.***

11.2.1. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** კომუნიკაციისა და მისთვის საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით გამოიყენოს **კლიენტის ვერიფიცირებული ნომერი.**

11.2.2. **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომერი ვერიფიკაციას გადის ბანკში დადგენილი წესების/პროცედურების შესაბამისად.

11.2.3. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** მიერ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი კოდის **ბანკისთვის** კარნახის შედეგად აღნიშნული მობილური ტელეფონის ნომერი მიიჩნიოს **კლიენტის ვერიფიცირებულ ნომრად.**

11.2.4. **ბანკში** დადგენილი პროცედურის შესაბამისად ნომრის ვერიფიკაციით **კლიენტი** ადასტურებს, რომ მობილური ტელეფონის ნომერი იმყოფება მის მართლზომიერ მფლობელობაში და ნომერზე მესამე პირ(ებ)ის მიერ წვდომის მოპოვების და ამ გზით საბანკო სერვისებით სარგებლობის შემთხვევაში, **ბანკი** სრულად თავისუფლდება ყოველგვარი ზიანის/ზარალის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

11.2.5. **ბანკში** დადგენილი წესების შესაბამისად, **კლიენტის ვერიფიცირებულ ნომრად** შეიძლება ჩაითვალოს **კლიენტის** წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ან/და **კლიენტის** მიერ განსაზღვრული ნებისმიერ ფიზიკური პირის მობილური ტელეფონის ნომერი. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ან/და **კლიენტის** მიერ განსაზღვრული სხვა ფიზიკური პირის **ბანკში** დაფიქსირებული ტელეფონის ნომერი განსხვავდება **კლიენტთან** საკომუნიკაციოდ განსაზღვრული მობილური ტელეფონის ნომრისგან, **ბანკი** უფლებამოსილია აღნიშნული მობილური ტელეფონის ნომერი (**კლიენტთან** საკომუნიკაციოდ განსაზღვრული მობილური ტელეფონის ნომერი) გამოიყენოს როგორც **კლიენტთან,** ასევე **ვერიფიცირებული ნომრის** მფლობელ ფიზიკურ პირთან კომუნიკაციისთვის.

11.2.6. ნომრის ვერიფიკაციის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია შეცვალოს საბანკო მომსახურების ფარგლებში მანამდე გამოყენებული **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** მომსახურების გაწევისას გამოიყენოს **კლიენტის ვერიფიცირებული ნომერი.**

11.2.7. იმ შემთხვევაში, თუ ნომრის ვერიფიკაცია ხორციელდება **ბანკისთვის** დისტანციური მომსახურების არხებით მომართვის გზით, შესაბამის პროცესში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერი ვერიფიცირებულად ჩაითვლება მხოლოდ **კლიენტის** მიერ შესაბამისი პროცესის სრულად, წარმატებით გავლის შემთხვევაში.
11.2.8. **ვერიფიცირებული ნომრის** სხვა პირის მიერ ვერიფიკაციის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომერს გაუუქმოს ვერიფიცირებულის სტატუსი.
11.2.9. **ვერიფიცირებულ ნომერზე** გაგზავნილი/**ვერიფიცირებული ნომრიდან** მიღებული შეტყობინება ან/და **ვერიფიცირებული ნომრიდან** გაცხადებული ნებისმიერი თანხმობა ჩაითვლება **კლიენტის** მიერ ნამდვილ შეტყობინებად/შეთავაზებად/თანხმობად.
11.2.10. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს ის მომსახურება(ები), რომლ(ებ)ით სარგებლობისთვისაც აუცილებელია **ვერიფიცირებული ნომრის** არსებობა და უარი განუცხადოს **კლიენტს** ამგვარი მომსახურების გაწევაზე, იმ შემთხვევაში თუ ის (**კლიენტი**) არ განახორციელებს ნომრის ვერიფიკაციას **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** შეუზღუდოს ის საბანკო მომსახურებები, რომელთა გამოყენებაც ეფუძნება **ვერიფიცირებულ ნომერს** იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით გაუქმდება **კლიენტის ვერიფიცირებული ნომრის** სტატუსი.
11.2.11. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს ვერიფიცირებული ნომრის** დაკარგვის, მფლობელობის გაუქმების, გასხვისების, მესამე პირ(ებ)ის მიერ წვდომის მოპოვების, ან/და აღნიშნულ ნომერთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს **ბანკის** მხრიდან მომსახურების უსაფრთხო მიწოდებაზე.
11.2.12. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **ვერიფიცირებული ნომრის** შეცვლის, გასხვისების, დაკარგვის, მესამე პირებზე გადაცემის ან/და ნებისმიერი მსგავსი ვითარების შედეგად გამოწვეულ შედეგებზე.
11.2.13. იმ შეთხვევაში თუ **კლიენტი ბანკში** დაფიქსირებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის, **განაცხადში** არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ბანკს** ან/და უშუალოდ ან მისამართზე მყოფი სრულწლოვანი პირის საშუალებით უარს განაცხადებს **პირობების** საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე, **ბანკის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

**12. კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემების დამუშავება**

12.1. **მხარეები** ვალდებულნი არიან, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნონ ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცენ **კონფიდენციალური ინფორმაცია.**
12.2. ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას: (ა) რომელიც **კანონმდებლობის** საფუძველზე არის/გახდება საჯარო ან რომლის მოპოვება შესაძლებელია სხვა წყაროებიდან; (ბ) რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს **კონფიდენციალური ინფორმაციის** გამცემი პირის თანხმობა ან/და **მხარეთა** შეთანხმება; (გ) რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება, **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დაცვით, მათ შორის რომელიმე მხარის მიერ სასამართლო წესით მისი უფლებების რეალიზაციისათვის ან/და მესამე პირ(ებ)ის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად;

12.3. ***<u>მონაცემების დამუშავების ზოგადი პირობები</u>*. კლიენტისათვის** ცნობილია, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, **ბანკი,** როგორც მონაცემთა დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირი ან, **მონაცემთა დამუშავების** კონტექსტის გათვალისწინებით, როგორც მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ან/და თანადამმუშავებელი, უფლებამოსილია, წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული მიზნებით, განახორციელოს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაციის (მათ შორის, **კლიენტის** წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ის, თანამშრომლების, **ბარათის მფლობელ(ებ)ის, უფლებამოსილი პირ(ებ)ის**, **კლიენტის** ბენეფიციარი მესაკუთრის(ეების) **პერსონალური მონაცემების**) დამუშავება.
12.3.1. **ბანკის** მიერ მონაცემთა დამუშავება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, მათ შორის მონაცემების **კლიენტისაგან**, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყარო(ები)დან ან/და წინამდებარე **პირობებში** მითითებულ **მესამე პირ(ებ)ისაგან** მოპოვებას, შეგროვებას, მათზე წვდომას, ფოტოგადაღებას, აუდიომონიტორინგს, ვიდეომონიტორინგს, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, დაბლოკვას, წაშლას, განადგურებას, გამოყენებას ან გამჟღავნებას (მათ შორის ინფორმაციის წინამდებარე პირობებში მითითებული მიზნებით მესამე პირებისთვის გამჟღავნებას) მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით.
12.3.2. **მონაცემთა დამუშავების** კონტექსტის გათვალისწინებით, **ბანკის** ან/და წინამდებარე **პირობებში** ჩამოთვლილი **მესამე პირების** (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, **ბანკის** უფლებამოსილი პირების) მიერ ხორციელდება **კლიენტის**, (მათ შორის, **კლიენტის** წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ის, თანამშრომლების, **ბარათის მფლობელ(ებ)ის, უფლებამოსილი პირ(ებ)ის**, **კლიენტის** ბენეფიციარი მესაკუთრის(ეების) ან/და მის მიერ დასახელებული სხვა მესამე პირ(ებ)ის შესახებ არსებული ინფორმაციის დამუშავება წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული მიზნებისათვის და შესაძლოა მოიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგი ინფორმაციის (მათ შორის **პერსონალური მონაცემების**) დამუშავებით:

(ა) სახელი და გვარი;

(ბ) დაბადების ადგილი და თარიღი;

(გ) პირადი ნომერი ან/და ელექტრონული პირადობის მოწმობის უნიკალური მახასიათებლები (მათ შორის ელექტრონული მოწმობის უკონტაქტო მიკროსქემის იდენტიფიკატორი (UiID), MRZ კოდი, ტექსტური მონაცემები, ფოტოსურათი/ვიზუალური გამოსახულება);

(დ) ხელმოწერის ნიმუში;

(ე) მოქალაქეობა/ბინადრობა;

(ვ) სქესი;

(ზ) რეგისტრირებული (იურიდიული) ან/და ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი;

(თ) ტელეფონის/მობილურის ნომერი;

(ი) ელექტრონული ფოსტის მისამართი;

(კ) ადგილმდებარეობა;

(ლ) ინფორმაცია შემოსავლების შესახებ, საკრედიტო ისტორია (როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური, მათ შორის მიმდინარე ან/და წარსულში არსებული დავალიანების, სესხებისა და მათი დაფარვის დეტალების შესახებ) და გადახდისუნარიანობის სტატუსი (**კლიენტის** გადახდისუნარიანობის შეფასების ქულა, მისი კრიტერიუმები ან/და მეთოდოლოგია);

(მ) საგადახდო ინფორმაცია;

(ნ) ბიომეტრიული ან/და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული განსაკუთრებული კატეგორიის სხვა მონაცემები;

(ო) საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთები და მათი მახასიათებლები, ასევე სხვა აქტივები;

(პ) დამსაქმებლის მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია დასაქმების პირობების შესახებ (დასაქმების ადგილი, ხელფასი, სამუშაო გრაფიკი და სხვა);

(ჟ) **ბანკში** ან/და საქართველოში მოქმედ სხვა კომერციულ ბანკებში ანგარიშ(ებ)ის შესახებ ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ანგარიშებზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთები და კონკრეტულ პერიოდში ამ ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციები;

(რ) **ბანკის** ან/და საქართველოში მოქმედი სხვა კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული ბარათების და შესაბამისი საბარათე ანგარიშების ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ბარათებზე კონკრეტული დროისა და თარიღისთვის არსებული ნაშთები და კონკრეტულ პერიოდში ამ ბარათებზე განხორციელებული ტრანზაქციები, ასევე მათი **წვდომის კოდები**;

(ს) სხვადასხვა საგადახდო პროვაიდერებთან დაფიქსირებული **კლიენტის** ანგარიშის/აბონენტის მონაცემები (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ანგარიშის/აბონენტის ნომერი, მისამართი, სააბონენტო ანგარიშზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთი ან/და დავალიანება, სააბონენტო ანგარიშზე განხორციელებული ტრანზაქციები ან/და ბალანსის შევსება ან/და დავალიანების დაფარვა და სხვა);

(ტ) სხვადასხვა ელექტრონულ არხებში ან/და ინტერნეტ სივრცეში გამჟღავნებული ნებისმიერი მონაცემი (მათ შორის და არამარტო მზა ჩანაწერების ე.წ. cookies მეშვეობით შეგროვებული მონაცემები) და **კლიენტისა** ან/და მას მიერ მითითებული მესამე პირ(ებ)ის აქტივობა აღნიშნულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ასეთ არხ(ებ)ში დალოგინებისა და ჩატარებული ქმედებებისა თუ ტრანზაქციების ისტორია, მოწყობილობის მახასიათებლები);

(უ) ინფორმაცია ოჯახის წევრების, **კლიენტის** მისამართზე მცხოვრები სხვა პირების, ასევე საკონტაქტო ან/და **კლიენტთან** დაკავშირებული სხვა მესამე პირ(ებ)ის შესახებ;

(ფ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული ადმინისტრაციულ სახდელდადებული ფიზიკური და იურიდიული პირებისა ან/და შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებების (ადმინისტრაციული სახდელების ან/და დაკისრებული ჯარიმებისა და დარიცხული საურავების) შესახებ მონაცემები **კლიენტის** თაობაზე;

(ქ) საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია;

(ღ) ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც უკავშირდება **კლიენტს** და რომლითაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება, დახასიათება ან/და დაჯგუფება პირის ეკონომიკური, სოციალური ან/და სხვა ნიშნებითა თუ ზემოთ მოყვანილ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ან ნაგულისხმები ტრანზაქციული აქტივობით.

12.3.3. **ბანკის** მიერ დისტანციურ ან/და ელექტრონულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, **ციფრული ბანკი**, **ბანკის** მობილური აპლიკაციები, **LB PAY აპარატები, ბანკომატები** ან/და მონაცემთა გადაცემისა და მიღების სხვა ტექნიკური საშუალებები და არხები) **კლიენტის** შესახებ მონაცემების **დამუშავება**, ასევე მოიცავს **კლიენტის** აქტივობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით სარგებლობისას **კლიენტის** ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, ძიების ველში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქციის არჩევანის სიხშირის ან/და სხვა ნებისმიერი სტატისტიკური მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და **კლიენტის** მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ. **კლიენტის** ან/და მესამე პირთა საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას.

12.3.4. **ბანკი** უფლებამოსილია საბანკო მომსახურების გაწევისა და სერვისების ოპტიმიზაციის მიზნით, სწრაფი გადახდის ტერმინალის (**LB Pay აპარატის**) ან/და დისტანციური მომსახურების სხვა არხ(ებ)ის საშუალებით, **კლიენტის** პირადი ნომრით ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი სხვა მეთოდით იდენტიფიკაციის შემთხვევაში, **კლიენტისათვის** ხელმისაწვდომი გახადოს შეზღუდული ინფორმაცია მის (**კლიენტის**) საბანკო პროდუქტებზე, სესხ(ებ)ის მიმდინარე (ყოველთვიურ) დავალიანებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მთლიანი სასესხო დავალიანების ჩვენების გარეშე, ასევე **ანგარიშ(ებ)ის/პლასტიკური ბარათ(ებ)ის** შესახებ ინფორმაცია, **ანგარიშ(ებ)ის/პლასტიკური ბარათების მონაცემების** არასრული ინფორმაციის ჩვენებით;

12.3.5. **ბანკი** პასუხს არ აგებს მესამე პირ(ებ)ის მიერ სწრაფი გადახდის ტერმინალის (**LB Pay აპარატის**)/**ბანკომატ(ებ)ის** ან/და **დისტანციური მომსახურების** სხვა **არხ(ებ)ის** მეშვეობით, **კლიენტის** იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი ინფორმაციის სწრაფი გადახდის ტერმინალში (**LB Pay აპარატში**)/**ბანკომატში** შეყვანით, **კლიენტის** შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე.

12.3.6. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** დაკავშირებით მიიღოს **კლიენტისთვის** სამართლებრივი ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის შედეგის მქონე გადაწყვეტილება, მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის პროფაილინგის საფუძველზე, **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დაცვით, მათ შორის, თუ ეს აუცილებელია **კლიენტსა** და **ბანკს** შორის ხელშეკრულების დასადებად ან ხელშეკრულების შესასრულებლად, გათვალისწინებულია კანონით ან კანონის საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

12.4. ***<u>საავტორო უფლებები</u>.*** **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ **ბანკის** ვებ-გვერდზე, **ციფრულ ბანკში,** მობილურ აპლიკაციებსა და სხვა ელექტრონულ არხებში განთავსებული **კლიენტის** მონაცემები (ბეჭდვითი, აუდიო ან/და ვიზუალური) თუ ის არ განეკუთვნება **კლიენტის პერსონალურ მონაცემებს** ჩაითვლება **ბანკის** საკუთრებად და **ბანკი** აღნიშნული მონაცემების განთავსებისთანავე სრულად მოიპოვებს მათზე საავტორო ქონებრივ უფლებებს.

12.5. ***<u>მონაცემების დამუშავების საფუძვლები.</u>*** **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, **ბანკის** მიერ **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის (მათ შორის **პერსონალური მონაცემების**) დამუშავება ხორციელდება სულ მცირე ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლით:

12.5.1. **კლიენტის** თანხმობით მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებასთან დაკავშირებით;

12.5.2. **კლიენტთან** დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მისი მოთხოვნით გარიგების დასადებად;

12.5.3. **კლიენტის** განცხადების განსახილველად ან/და მისთვის მომსახურების გასაწევად;

12.5.4. **ბანკის** ან/და **მესამე პირ(ებ)ის** კანონიერი ინტერესების დასაცავად;

12.5.5. **ბანკის** მიერ **კანონმდებლობით** დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

12.5.6. საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის;

12.5.7. **კანონმდებლობით** განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

12.6. თუ მონაცემთა დამუშავებისთვის, **კანონმდებლობა** ითხოვს **კლიენტის** თანხმობის არსებობას, აღნიშნულ თანხმობად ჩაითვლება აქტიური მოქმედებით ნებისმიერი ელექტრონული ან/და არაელექტრონული ფორმით გამოხატული ნება/გაკეთებული **განაცხადი**, რომლითაც **კლიენტი** ეთანხმება შესაბამის პირობებს და რომელიც ამ განაცხადთან ერთად წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას. სხვადასხვა დისტანციური მომსახურების არხების / ციფრული/ ელექტრონული საკომუნიკაციო არხების საშუალებებით (ბანკომატი, სწრაფი გადახდის ტერმინალი, **ციფრული ბანკი, ბანკის** დისტანციური მომსახურების სერვისი (ცხელი ხაზი), **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი SMS კოდით და სხვ.) კლიენტის მიერ გაცხადებულ თანხმობას მისი **პერსონალური მონაცემების** დამუშავებასთან დაკავშირებით (მათ შორის საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსიპ შსს მომსახურების სააგენტოს, სსიპ შემოსავლების სამსახურის, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და სხვა შესაბამის ბაზებში დაცული **კლიენტის** პერსონალური მონაცემების **ბანკის** მიერ მიღებასთან და დამუშავებასთან დაკავშირებული თანხმობა, თანხმობა **პირდაპირი მარკეტინგის** მიზნებისათვის **მონაცემების დამუშავებაზე** და სხვ.) გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი, **კლიენტის** მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა. ამასთან, **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ მონაცემთა დამუშავებაზე შესაბამისი თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში, აღნიშნული არ მოახდენს გავლენას მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე და არ გამოიწვევს თანხმობის გამოხმობამდე და თანხმობის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

12.7. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი ბანკს** აწვდის მესამე პირების (**დამატებითი ბარათის** მფლობელი, თავდები პირი, ოჯახის წევრები, დამსაქმებელი, საკონტაქტო პირი, თანამშრომელი და სხვა) შესახებ ინფორმაციას, მათ შორის და არამარტო მათ **პერსონალური მონაცემებს**, ინფორმაციას გადახდისუნარიანობის, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და სხვა (შემდგომში ერთობლივად - **პერსონალური მონაცემები**), **კლიენტი** თავად არის ვალდებული ამ მონაცემების **ბანკისთვის** გადაცემამდე მოპოვებული ჰქონდეს ზემოაღნიშნულ პირთა თანხმობა მათი **პერსონალური მონაცემების ბანკის** მიერ წინამდებარე **პირობებით** და **ბანკის** მონაცემთა დაცვის პოლიტიკით განსაზღვრული მიზნებით და პირობებით დამუშავებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ბანკისთვის** ამგვარი ინფორმაციის მიწოდების ფაქტი გულისხმობს **კლიენტის** მხრიდან ამ პირ(ებ)ისგან თანხმობის წინასწარ მოპოვებას, მათთვის წინამდებარე **პირობების**, ასევე **ბანკის** ვებ-გვერდზე [www.libertybank.ge](http://www.libertybank.ge) განთავსებული მონაცემთა დაცვის პოლიტიკ(ებ)ის გაცნობის და დათანხმების უზრუნველყოფას და აღარ საჭიროებს **ბანკის** მიერ დამატებითი დასტურის მიღებას. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს **ბანკს კლიენტის** მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში და ის (**კლიენტი**) თანახმაა აუნაზღაუროს და დაიცვას **ბანკი** ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **ბანკი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

12.8. ***მონაცემების დამუშავების მიზნები.*** **მონაცემთა დამუშავების** კონტექსტის გათვალისწინებით, **ბანკის** ან/და წინამდებარე **პირობებში** ჩამოთვლილი **მესამე პირ(ებ)ის** მიერ **კლიენტის** ან მის მიერ მითითებული მესამე პირ(ებ)ის **პერსონალური მონაცემების დამუშავება** შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიზნით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე:

12.8.1. საბანკო მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;

12.8.2. პროდუქტების და სერვისის მისაწოდებლად, მათ შორის დისტანციური საბანკო/საგადახდო მომსახურების არხების/საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებებით (სწრაფი გადახდის ტერმინალი, ბანკომატი, დისტანციური მომსახურების სერვისი (ცხელი ხაზი) და ა.შ.) **კლიენტისათვის** შესაბამისი მომსახურების გაწევისთვის/შეთავაზებების უზრუნველსაყოფად;

12.8.3. **კლიენტის** სათანადო წესით იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციისთვის და მის შესახებ მონაცემთა პერიოდული განახლების უზრუნველსაყოფად;

12.8.4. **კლიენტის** გადახდისუნარიანობის შემოწმებისთვის, მათ შორის საკრედიტო რისკების შეფასების მიზნით;

12.8.5. **კლიენტთან** კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვისათვის, მათ შორის, მისი განაცხადების, მომართვების თუ პრეტენზიების სათანადო და დროული მოკვლევისა და რეაგირების უზრუნველსაყოფად;

12.8.6. **კლიენტის** საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ან სხვა მსგავსი საკრედიტო-სარეიტინგო კომპანიის მონაცემთა ბაზაში აღრიცხვის ან/და საკრედიტო სარეიტინგო ქულის გამოთვლის მიზნით, რომელიც დაკავშირებულია გადაუხდელი სესხებისა და სხვა შეუსრულებელი/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან და ასევე ინფორმაციის შეგროვებასთან, დამუშავებასა და გავრცელებასთან ფიზიკური და იურიდიული პირების მიმდინარე და გადახდილი კრედიტების/ვალდებულებების შესახებ;

12.8.7. **კლიენტის** მიერ **eMoney ელექტრონული საფულით** სარგებლობისთვის (ასეთის არსებობისას), რომელიც წარმოადგენს **ბანკის** და **eMoney**-ს ერთობლივ მომსახურებას;

12.8.8. **კლიენტის** მიერ VISA Concierge (ვიზა კონსიერჟ) ან სხვა მოთხოვნილი მომსახურებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად;

12.8.9. **ბანკის** ან/და **მესამე პირის** კანონიერი ინტერესის დაცვის მიზნით, შესაბამისი სახელშეკრულებო პირობებით განსაზღვრულ ან/და **კანონმდებლობით** დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის, მათ შორის **კლიენტის პერსონალური,** ასევე საბანკო საიდუმლოებას მიკუთვნებული **მონაცემების**, პოტენციური ცესიონერის ან ცედენტის, ასევე მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;

12.8.10. იურიდიული ძალის მქონე მტკიცებულების შექმნისათვის;

12.8.11. **ბანკის** კანონიერი ინტერესის დაცვისა და სამართლებრივი უფლებების რეალიზაციის მიზნით, მათ შორის **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დროულად ან/და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში;

12.8.12. **ბანკის** მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც **ბანკი** ახორციელებს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;

12.8.13. სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და პრეზენტაციების მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ;

12.8.14. ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და დანაშაულის აღმკვეთი ღონისძიებების უზრუნველყოფასა და ხელშეწყობისათვის, თაღლითობის ან/და შესაძლო თაღლითობის, ფულის გათეთრების და სხვა დანაშაულის პრევენციისათვის, გამოვლენისთვის, მოკვლევისთვის, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ხელშესაწყობად;

12.8.15. არსებული კრედიტის ფარგლებში, კრედიტის თანხის ოდენობის გაზრდის, ან/და კრედიტის სხვა პირობების (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, მისი ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთის) ცვლილების შეთავაზებისთვის, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის **კლიენტის** საკრედიტო ისტორიის/გადახდისუნარიანობის/შემოსავლების გადამოწმება წამოადგენს;

12.8.16. ახალი ან/და დამატებითი საკრედიტო ან არასაკრედიტო **პროდუქტების** შეთავაზების მიზნით, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის **კლიენტის** საკრედიტო ისტორიის/გადახდისუნარიანობის/შემოსავლების გადამოწმება წარმოადგენს;

12.8.17. **პირდაპირი მარკეტინგის** მიზნებისათვის;

12.8.18. სხვა ნებისმიერ ისეთ შემთხვევაში, თუ მონაცემთა შემდგომი დამუშავების მიზანი თავსებადია თავდაპირველ მიზანთან;

12.8.19. სხვა კანონიერი მიზნებისთვის ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად.

12.9. *<u>პერსონალური მონაცემების გადაცემა ან/და გამოთხოვა მესამე პირ(ებ)ისგან.</u>*

12.9.1. **ბანკი** მკაცრად იცავს **კლიენტის** და მის მიერ დასახელებული მესამე პირების (**დამატებითი ბარათის** მფლობელი, თავდები, საკონტაქტო პირი, თანამშრომელი და სხვა) შესახებ ინფორმაციის, მათ შორის **პერსონალური მონაცემების**, კონფიდენციალურობას, ამასთან, **კლიენტი** აცნობიერებს და ეთანხმება, რომ იმისათვის, რომ **ბანკმა** შეასრულოს **კანონმდებლობით** დაკისრებული მოვალეობები, დაიცვას საკუთარი ლეგიტიმური ინტერესები, ასევე სრულად და ჯეროვნად განახორციელოს **კლიენტის** მომსახურება, **მონაცემთა დამუშავების** კონტექსტისა და მიზნებიდან გამომდინარე, **ბანკი** უფლებამოსილია წინამდებარე **პირობებში** ჩამოთვლილ **მესამე პირებს** გადასცეს ან/და თავად ასეთი პირ(ებ)ისაგან **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების შესახებ გამოითხოვოს ინფორმაცია იმ მოცულობით რაც საჭიროა წინამდებარე **პირობებით** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრული მიზნებისათვის, მათ შორის და არამხოლოდ:

12.9.1.1. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** საბანკო მომსახურების გაწევის, ასევე საბანკო მომსახურებით სარგებლობის პერიოდში მოთხოვნილი სხვადასხვა სერვისის ფარგლებში, **ბანკმა კანონმდებლობით** დადგენილი წესით, მრავალჯერადად მიიღოს და დაამუშავოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, **კლიენტის პერსონალური მონაცემები,** მათ შორის, საჭიროებისამებრ, **კლიენტის** პირადობის (ბინადრობის) მოწმობის უკონტაქტო ჩიპის იდენტიფიკატორის (UiID) შესახებ მონაცემები და **კლიენტის** ხელმოწერის ნიმუში.

12.9.1.2. **ბანკი**, **კლიენტის** გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის, უფლებამოსილია სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს (ს/ნ 204470740) მეშვეობით მრავალჯერადად მიიღოს და დაამუშაოს **კლიენტის** შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული ადმინისტრაციულ სახდელდადებული ფიზიკური და იურიდიული პირებისა ან/და შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებების (ადმინისტრაციული სახდელების ან/და დაკისრებული ჯარიმებისა და დარიცხული საურავების) შესახებ მონაცემები, მათ შორის **ბანკის** მიმართ აქტიური საკრედიტო/სასესხო, გარესაბალანსო (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) ვალდებულებების მოქმედების პერიოდში[1].

12.9.1.3. **ბანკმა** სსიპ შემოსავლების სამსახურს (შემდგომში - შემოსავლების სამსახური) მიაწოდოს **კლიენტის** საიდენტიფიკაციო (პირადი ნომერი) და საკონტაქტო (ტელეფონის ნომერი) მონაცემები და შემოსავლების სამსახურსა და ბანკს შორის გაფორმებული მემორანდუმით გათვალისწინებულ ფარგლებში შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვოს და დაამუშავოს შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში **კლიენტის** შესახებ დაცული ნებისმიერი ინფორმაცია, სესხის გაცემამდე ან/და სესხის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში **კლიენტის** გადახდისუნარიანობის შეფასების, საკრედიტო პორტფელის შეფასებისა და ანალიზის, პრობლემური საკრედიტო პორტფელის მართვის და საბანკო პროდუქტის/მომსახურების შეთავაზების მიზნებისათვის.

12.9.2. **კლიენტისათვის** ცნობილია, რომ **კლიენტის** გადახდისუნარიანობის შეფასების გარეშე, **ბანკი** მოკლებული იქნება შესაძლებლობას სრულფასოვნად განახორციელოს **კლიენტის** შემოსავლების, ხარჯებისა და ვალდებულებების ანალიზი, რაც აუცილებელია არსებული ვალდებულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მონიტორინგის ან/და ახალი საკრედიტო/სასესხო, გარესაბალანსო (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) ვალდებულების გადახდისუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის, მათ შორის **კანონმდებლობით** გათვალისწინებული წესით პასუხისმგებლიანი დაკრედიტების უზრუნველსაყოფად.

12.9.3. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **კლიენტის** გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის **ბანკი** შეაგროვებს/დაამუშავებს მის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება **კლიენტის**

---

[1] აღნიშნული არ გულისხმობს ბანკის უფლებასილებას გამოითხოვოს ბიუროდან კლიენტის საკრედიტო მონაცემები საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს #195/04 ბრძანებით დამტკიცებული დანართი #5 ან/და #5.1-ით განსაზღვრული თანხმობის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი საფუძვლის გარეშე;

გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები). მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

12.9.4. ბიუროსათვის გადასაცემი და ბიუროდან მისაღები ინფორმაცია განისაზღვრება **კანონმდებლობით** და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შეიძლება მოიცავდეს: **კლიენტის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხელშეკრულებისა და კრედიტის მონაცემებს, ინფორმაციას **კლიენტის** მიმდინარე, შესრულებული/შეუსრულებული ვალდებულებების მოცულობის და ვადების შესახებ, ინფორმაციას უზრუნველყოფის საშუალებების თაობაზე, თავდებობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სხვა ინფორმაციას, რომელიც განსაზღვრულია **კანონმდებლობით** ან/და **ბანკსა** და ბიუროს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

12.9.5. გარდა ზემოაღნიშნულისა, **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს **ბანკს** უფლებამოსილებას, **კლიენტის** დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე, წინამდებარე **პირობებით** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრული მიზნებისათვის, **მონაცემთა დამუშავების** კონტექსტიდან გამომდინარე, ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის პირ(ებ)ისგან მოიპოვოს ან/და მათ გადასცეს **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების პერსონალური და საბანკო ინფორმაცია (მათ შორის და არამარტო ანგარიშებზე ნაშთები ან/და დავალიანება, ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია და სხვა):
(ა) **ბანკის** პარტნიორი, მათ შორის სხვადასხვა მომსახურების მიმწოდებელი საერთაშორისო ან/და ადგილობრივი კომპანიები, რომელთან ერთადაც **ბანკი** კომერციული კუთხით თანამშრომლობს და რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(ბ) **ბანკის** კონტრაქტორები ან/და კორპორატიული კლიენტები, რომლებიც იყენებენ **ბანკის** საგადახდო მომსახურებას საკუთარი კლიენტების (აბონენტების) გადასახდელების მისაღებად (ე.წ. ბილინგი);

(გ) საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)ი და სხვა **მესამე პირები,** რომლებიც **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** დისტანციური საბანკო/საგადახდო მომსახურების არხების/საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებებით (სწრაფი გადახდის ტერმინალი, ბანკომატი და ა.შ.) საბანკო/საგადახდო მომსახურების მიწოდებისთვის/გაწევისთვის, საქართველოს **კანონმდებლობით** დადგენილი წესით, ახორციელებენ პირის იდენტიფიკაციას/ვერიფიკაციას და რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(დ) საჯარო დაწესებულებები, როგორიცაა საზედამხედველო, დამოუკიდებელი, სასამართლო, საგამოძიებო და სხვა დაწესებულებები, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მათ მიერ შექმნილი იურიდიული პირები;

(ე) ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ორგანიზაციები/სამსახურები (როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ);

(ვ) საკრედიტო საინფორმაციო სააგენტოები, რომლებიც ახორციელებენ საკრედიტო ინფორმაციის შეგროვებას და იდენტიფიცირებისათვის, ასევე საკრედიტო მონაცემთა შემოწმებისთვის აუცილებელი ინფორმაციის გაზიარებას;

(ზ) პრობლემური აქტივების მართვის კომპანიები ან/და კოლექტორული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პრობლემური მოთხოვნებიდან გამომდინარე გადახდების შესრულებას ან/და აღნიშნული პრობლემური მოთხოვნების შეძენას (ცესია);

(თ) საერთაშორისო და ადგილობრივი საგადახდო მომსახურების ოპერატორები, მათ შორის საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების ოპერატორები;

(ი) **ბანკისათვის** მომსახურების გამწევი პროფესიონალი კომპანიები, მათ შორის გარე ფინანსური და იურიდიული მრჩევლები, აუდიტორული, კვლევითი, სარეკლამო კომპანიები, საკონსულტაციო, კვლევითი, მარკეტინგული და სხვა შესაბამისი მომსახურების მიღების მიზნით და რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(კ) სადაზღვევო კომპანიები **კლიენტისათვის** შესაბამისი სადაზღვევო მომსახურების უზრუნველსაყოფად;

(ლ) საკურიერო კომპანიები **კლიენტისათვის** კორესპონდენციის ჩაბარების უზრუნველსაყოფად;

(მ) დაკავშირებული მესამე პირები, **ბანკის** შვილობილი კომპანიები, აფილირებული პირები და სხვა პარტნიორები;

(ნ) ის მესამე პირები, რომლებსაც შესაძლებელია **ბანკმა** მიყიდოს, გადასცეს ან გააერთიანოს ბიზნესის ან აქტივების ნაწილი;

(ო) საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, დაფინანსების მოსაპოვებლად;

(პ) სხვა ნებისმიერი პირები, რომელთათვისაც მონაცემთა გაზიარება ან/და მათგან გამოთხოვა ემსახურება ანგარიშგებასთან, **კანონმდებლობის** ან/და შესაბამის პირთან გაფორმებული ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან, ასევე აუდიტის/მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული **ბანკის** მოვალეობების შესრულებას და **ბანკის** ლეგიტიმური ინტერესების დაცვას;

12.9.6. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ წინამდებარე **პირობებში** მოცემული მესამე პირების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და დროდადრო **მესამე პირების** კატეგორიები შესაძლოა შეიცვალოს.

12.10. <u>*მონაცემების საერთაშორისო გადაცემა*</u>

12.10.1. **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის, თაღლითობისა და ფულის გათეთრების პრევენციის მიზნებისათვის, ასევე, **კლიენტისათვის** საბანკო მომსახურების გაწევის/ხელშეკრულების შესრულების, ან/და **ბანკის** ლეგიტიმური ინტერესების დაცვის მიზნით **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** წინასწარი ან/და დამატებითი თანხმობის გარეშე, გადასცეს **კლიენტის პერსონალური მონაცემები** საქართველოს ფარგლებს გარეთ, უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ ორგანიზაციას/**მესამე პირ(ებ)ს**.

12.10.2. კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე, **კლიენტის პერსონალური მონაცემები** შესაძლოა გადაეცეს ისეთ ქვეყანაში დაფუძნებულ/მოქმედ პირს რომელიც არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის/მისი უფლებამონაცვლის შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყანას.

12.10.3. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არმქონე ქვეყნებში მონაცემების გაზიარების შესაძლო საფრთხეები უკავშირდება მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს ადგილობრივი საზედამხედველო ორგანოს და ინდივიდუალურ მონაცემთა დაცვის და მონაცემთა სუბიექტის უფლებების არარსებობით (ან მხოლოდ შეზღუდული არსებობით). ზოგიერთ ასეთ ქვეყანაში კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის კანონები და წესები მონაცემებზე წვდომასთან დაკავშირებით, შესაძლოა განსხვავდებოდეს საქართველოს **კანონმდებლობისგან**; ამასთან, ასეთ შემთხვევაში, **ბანკი** უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა გადაცემის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას, რომლითაც **კანონმდებლობით** გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, განისაზღვრება მიმღები მხარის ვალდებულებები **კლიენტის პერსონალურ მონაცემების** დაცვის უზრუნველსაყოფად.

12.11. ***<u>პირდაპირი მარკეტინგი</u>***

12.11.1. **კლიენტი** ადასტურებს **ბანკის** უფლებამოსილებას დამოუკიდებლად, ასევე დამუშავებაზე უფლებამოსილი ან/და დაკავშირებული პირ(ებ)ის მეშვეობით, **კანონმდებლობისა** და **ბანკის** მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად, დაამუშავოს **კლიენტის** (მათ შორის, **კლიენტთან** დაკავშირებული ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ის) საიდენტიფიკაციო, საკონტაქტო, ფინანსური და სხვა **პერსონალურ მონაცემები** იმ მიზნით, რომ ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან/და, შეზღუდვის გარეშე, სხვა ხელმისაწვდომი სატელეკომუნიკაციო/ელექტრონული საშუალებ(ებ)ით განახორციელოს **კლიენტისათვის** საბანკო, მათ შორის საკრედიტო პროდუქტების, მომსახურების, აქციების და სხვ. პირდაპირი და უშუალო შეთავაზება/ინფორმაციის მიწოდება (**პირდაპირი მარკეტინგი**).

12.11.2. **პირდაპირი მარკეტინგის** მიზნით მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, ელექტრონული ფოსტით, ტელეფონით ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით შესაბამის ელექტრონულ საშუალებაში გათვალისწინებული უარის თქმის მექანიზმის გამოყენებით, იმავე ფორმის/არხის მეშვეობით, რომლითაც ხორციელდება **პირდაპირი მარკეტინგი**, ასევე **ბანკის** სერვისცენტრისადმი მიმართვის, **ბანკის** ცხელ ხაზზე (0 322 55 55 00) დაკავშირების გზით ან/და მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და **კანონდებლობით** დადგენილი სხვა ფორმით. ამასთან, **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **პირდაპირი მარკეტინგის** მიზნით მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის არარსებობის შემთხვევაში **ბანკი** მოკლებული იქნება შესაძლებლობას განახორციელოს **კლიენტზე** მორგებული მომსახურების/პროდუქტების შეთავაზება ზემოაღნიშნული პირობებით.

12.11.3. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **პირდაპირ მარკეტინგად** არ მიიჩნევა და **კლიენტი** არ იქნება უფლებამოსილი **ბანკს** მოსთხოვოს პროდუქტის, მომსახურების შესახებ და სხვ. ისეთი ინფორმაციის მიწოდების შეწყვეტა (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა), რომელიც ხორციელდება უშუალოდ **ბანკის** ან/და მისი წარმომადგენლის მიერ საბანკო საქმიანობის განხორციელების წერტილებში ან **ბანკის** კუთვნილ (**ბანკთან** ასოცირებულ) დისტანციურ არხებში (მათ შორის **ბანკომატი**, **ციფრული ბანკი** და სხვა).

12.11.4. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტისთვის** ისეთი საკრედიტო პროდუქტის/მომსახურების შეთავაზება/რეკლამირება, რომლის დაფარვის წყარო დაკავშირებულია სოციალურ დახმარებასთან/პენსიასთან, თუ აღნიშნულზე **კლიენტს** გაცხადებული აქვს თანხმობა. ამასთან, **კლიენტი** ინფორმირებულია რომ უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს განცხადება/თანხმობა **ბანკისადმი** მიმართვის გზით.

12.11.5. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **პირდაპირი მარკეტინგის** მიზნებისათვის **მონაცემთა დამუშავების** შეწყვეტის მოთხოვნის საფუძველზე შეწყდება მხოლოდ სარეკლამო ხასიათის ელექტრონული კომუნიკაციები. **კლიენტთან** დაკავშირება მის შესახებ **ბანკში** დაცული საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით გაგრძელდება **ბანკსა** და **კლიენტს** შორის ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ საკითხებთან/ვალდებულებებთან დაკავშირებით, მათ შორის, **კანონმდებლობის** მოთხოვნათა გათვალისწინებით, კრედიტის ვადაგადაცილებისა და სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების თაობაზე **კლიენტის** ინფორმირების მიზნით, მომსახურების/პროდუქტის პირობების ცვლილების, დეპოზიტების დაზღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდების, ასევე **კლიენტის** განცხადებებსა თუ მოთხოვნებზე რეაგირების უზრუნველსაყოფად და სხვა შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად.

12.12. ***<u>ვიდეო და აუდიო მონიტორინგი</u>***

12.12.1. დანაშაულის თავიდან აცილების, მისი გამოვლენის/მოკვლევის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, საიდუმლო (კონფიდენციალური) ინფორმაციის დაცვის და ბანკის ლეგიტიმური ინტერესების სფეროსათვის მიკუთვნებული სხვა მნიშვნელოვანი ამოცანების შესასრულებლად, (მათ შორის, ინციდენტების მართვა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, პროცესების მონიტორინგი, რისკების მართვა და სხვ.) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, **ბანკში** მიმდინარეობს შენობ(ებ)ის გარე და შიდა პერიმეტრის, მათ შორის, შეხვედრების ოთახების, მომსახურების სივრცეების და სამუშაო ადგილ(ებ)ის ვიდეო და აუდიო მონიტორინგი. მონიტორინგი ან/და ფოტოგადაღება ასევე ხორციელდება **ბანკში,** მის სერვისცენტრში ან/და **ბანკის** პარტნიორი ორგანიზაცი(ებ)ის კუთვნილ ობიექტ(ებ)ში **ბანკომატის** ან/და სხვა შესაბამისი ელექტრონული საშუალებით. **ბანკთან/ბანკის** წარმომადგენელთან სატელეფონო კომუნიკაციისას ზარების ჩანაწერების სისტემის (აუდიომონიტორინგი) მეშვეობით ხორციელდება **ბანკის** შემავალი და გამავალი ზარების ჩაწერა/დამუშავება მომსახურების სრულყოფისა და ჯეროვნად შესრულების, განცხადებების, პრეტენზიების განხილვისა და რეაგირების, ეთიკის კოდექსისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების დაცვის მონიტორინგის, ასევე **ბანკის** სხვა კანონიერი ინტერესების დაცვის (მათ შორის, იურიდიული ძალის მქონე მტკიცებულების შექმნა) მიზნებისათვის. **კლიენტი**, აცნობიერებს რა ვიდეო და აუდიო მონიტორინგის აუცილებლობას, ეთანხმება და ადასტურებს **ბანკის** უფლებამოსილებას აღნიშნული ფორმით მონაცემების დამუშავებაზე.

12.13. ***<u>კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული მესამე პირთა პერსონალური მონაცემების დაცვა.</u>***

12.13.1. **მხარეები** აცხადებენ, რომ წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული მომსახურების გაწევა (მათ შორის **ბარათით, დისტანციური საბანკო მომსახურების არხ(ებ)ით,** სახელფასო პროგრამით ან/და თანხის ინდივიდუალური ან ჯგუფური გადარიცხვების სერვისით სარგებლობა) შეიძლება გულისხმობდეს **კლიენტის** თანამშრომლების ან/და **კლიენტთან** დაკავშირებული სხვა პირ(ებ)ის **პერსონალური მონაცემების** შემცველი ინფორმაციის მოპოვებას/დამუშავებას და ამ ინფორმაციის **ბანკისთვის** მიწოდებას წინამდებარე **პირობებით** დადგენილი წესით.

12.13.2. **პერსონალური მონაცემების** დამუშავებისას **კლიენტი** ვალდებულია:

12.13.2.1. უზრუნველყოს **მომსახურების** შესრულებისათვის აუცილებელი, **კლიენტის** თანამშრომლების ან/და **კლიენტთან** დაკავშირებული სხვა პირების **პერსონალური მონაცემების ბანკისათვის** მიწოდება და აღნიშნული მონაცემების **ბანკის** მიერ დამუშავების თაობაზე მონაცემთა სუბიექტებისგან შესაბამისი თანხმობის მოპოვება და მათთვის **ბანკის** მონაცემთა დაცვის პოლიტიკის გაცნობის უზრუნველყოფა;

12.13.2.2. მიიღოს ყველა საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომა და განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება, რათა აცილებულ იქნას **მომსახურების** შესრულების ფარგლებში მიღებული კონფიდენციალური, მათ შორის **პერსონალური მონაცემების** შემცველი ინფორმაციის არაავტორიზებული ან უკანონო დამუშავება, მათი შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვა, განადგურება, დაზიანება, არაავტორიზებული წვდომა, **მესამე პირებ(ის)ისთვის** გამჟღავნება, ცვლილება ან გასაჯაროება, ნებისმიერი სხვა ფორმით უნებართვო ან უკანონო გამოყენება;

12.13.2.3. ითანამშრომლოს და აღმოუჩინოს დახმარება **ბანკს** წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული მომსახურების ფარგლებში მის მიერ დამუშავებულ და **პერსონალურ მონაცემთა** შემცველ ინფორმაციასთან დაკავშირებით საზედამხედველო და სხვა უფლებამოსილი ორგანო(ები)ს მომართვების განხილვის, ასევე მონაცემთა სუბიექტის მიერ წარდგენილი საჩივრების ან განცხადებების შესწავლისას, მათ შორის, გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნიდან 3 (სამი) საბანკო დღისა მიაწოდოს **ბანკს** სრული ინფორმაცია/დოკუმენტაცია მომართვაში, საჩივარში ან განცხადებაში დაფიქსირებულ დეტალებთან დაკავშირებით, მათ შორის მიაწოდოს მონაცემთა სუბიექტის შესახებ მის ხელთ არსებული მონაცემები;

12.13.3. **კლიენტი** პასუხისმგებელია ნებისმიერი ზიანის/ზარალის ანაზღაურებაზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს **ბანკს კლიენტის** მიერ, როგორც ამ **პირობებით**, ასევე **კანონმდებლობით** გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობით, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობით;
**ბანკი** არ არის პასუხისმგებელი, მის მიმართ არ შეიძლება წარდგენილი იქნას რაიმე მოთხოვნა **კლიენტის** თანამშრომლების ან/და **კლიენტთან** დაკავშირებული სხვა პირების **პერსონალური მონაცემების** მოპოვებასთან/დამუშავებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, ნებისმიერი პრეტენზია რომელიც წარმოიშვება **მონაცემთა დამუშავების** წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული წესის ან/და **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დარღვევით, წარედგინება უშუალოდ **კლიენტს.**

12.14. *მონაცემების განახლება, დამუშავების და შენახვის ვადა.*

12.14.1. **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში, ასევე მისი შეწყვეტის შემდგომ, **ბანკის** მიერ წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული ინფორმაციის, მათ შორის **პერსონალური მონაცემების**, ამავე **პირობებით** განსაზღვრული მიზნებით **დამუშავება** ხორციელდება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნების მისაღწევად, **ბანკის** ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, ან/და იმ ვადით, რომელიც მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით.**

12.14.2. ელექტრონული არხების საშუალებით (ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, **ციფრული ბანკი**, **ბანკის** მობილური აპლიკაციები ან/და მონაცემთა გადაცემის სხვა ტექნიკური საშუალებები) მონაცემების დამუშავება არ შეწყდება **კლიენტის** მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის ან/და **ბანკთან** საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტისას და აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე განხორციელდება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნების მისაღწევად, **ბანკის** ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად ან/და იმ ვადით, რომელიც მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით.**

12.14.3. **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი კანონმდებლობით** გათვალისწინებულ ფარგლებში, მიაწვდის **კლიენტს** მის **პერსონალურ მონაცემებთან** დაკავშირებით **ბანკში** არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე **ბანკი** უფლებამოსილია დააწესოს მომსახურების საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის უსასყიდლოდ მიწოდების ვალდებულება გათვალისწინებულია **კანონმდებლობით.**

12.14.4. თუ **კლიენტი** თვლის, რომ **კლიენტის** შესახებ **ბანკში** არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ. **ბანკი** არც ერთ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** მხრიდან ამგვარი შეუტყობინებლობით და მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული **მონაცემების დამუშავებით** გამოწვეულ ნებისმიერ შედეგებზე.

12.14.5. თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს **ბანკს** მის შესახებ **ბანკში** დაცული **პერსონალური მონაცემების** წაშლა.

12.15. **პერსონალურ მონაცემთა** დამუშავების დამატებითი პირობები განისაზღვრება **ბანკის** ვებ-გვერდზე www.libertybank.ge განთავსებული მონაცემთა დაცვის პოლიტიკ(ებ)ით.

## 13. პრეტენზიები და დავები

13.1. **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი და ყველა დავა (მათ შორის, ხელშეკრულების განმარტებასთან, ნამდვილობასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება **მხარეთა** შორის მოლაპარაკების გზით.

13.2. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** იურიდიული მისამართის მიხედვით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

13.3. **ბანკის** მიერ გაწეული მომსახურების მიმართ დაუთანხმებლობის ან უკმაყოფილების შემთხვევაში, **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკს** მიმართოს პრეტენზიით. პრეტენზიის მიღება ხდება შემდეგი ფორმებით: წერილობითი, ელექტრონული (შეზღუდვის გარეშე: ბანკის კორპორატიული ინტერნეტ გვერდი www.libertybank.ge ან/და ელ-ფოსტა - consumerprotection@lb.ge) ან/და ზეპირი სახით **ბანკის** ფილიალებსა და სერვის-ცენტრებში, ასევე **ბანკის** დისტანციური მომსახურების ცენტრის მეშვეობით. პრეტენზიის მიღების, განხილვისა და მომხმარებლისათვის პასუხის გაცემის მაქსიმალური ვადა განისაზღვრება **კანონმდებლობის** შესაბამისად.

13.4. **ბარათის** მფლობელი უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს** საჩივრით **ბარათით** განხორციელებულ ოპერაციასთან დაკავშირებით. საჩივრის განხილვის მიზნით **კლიენტი** ვალდებულია წარუდგინოს **ბანკს ბანკის** მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი დოკუმენტი, მათ შორის შეკვეთის დადასტურების/გაუქმების წერილ(ებ)ი, ოპერაციის ჩეკი, ინვოისი, მერჩანტთან კომუნიკაციის შედეგი ან/და ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია/დოკუმენტი **ბანკის** მოთხოვნის შესაბამისად. **ბანკი ბარათით** განხორციელებულ **ოპერაციასთან** დაკავშირებულ საჩივარს განიხილავს წარდგენიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა. ამასთან, თუ **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო აღნიშნულ ვადაში ვერ ხერხდება საჩივრის განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება, **ბანკი ბარათის** მფლობელს აცნობებს დაგვიანების დასაბუთებული მიზეზს, საჩივრის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების ვადას. საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებისა და **ბარათის** მფლობელისთვის გაცნობის მაქსიმალური ვადაა საჩივრის მიღებიდან 55 სამუშაო დღე.

## 14. ფორს-მაჟორი

14.1. **მხარე** არ არის პასუხისმგებელი მის მიერ **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან/და არაჯეროვან შესრულებაზე, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება განპირობებულია **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** მოქმედების შედეგად.

14.2. **მხარე**, რომელსაც წარმოეშვა **ფორს-მაჟორი**, მიუხედავად იმისა დასრულებულია თუ არა მისი მოქმედება, ვალდებულია: (ა) აღნიშნული გარემოებ(ებ)ის დადგომიდან 3 (სამი) **საბანკო დღის** ვადაში მიაწოდოს მეორე **მხარეს ფორს-მაჟორულ გარემოებ(ებ)თან** დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** აღწერას, მისი მოქმედების სავარაუდო ხანგრძლივობას, შეწყვეტის შემთხვევაში შეწყვეტის თარიღს/დროს და (ბ) მიიღოს აუცილებელი ზომები ამ გარემოებ(ებ)ით გამოწვეული/მოსალოდნელი შედეგების (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ზიანის/ზარალი) შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად.

14.3. **პირობების** 14.2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულება შესაბამის **მხარეზე** ვრცელდება **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** შეწყვეტის შემთხვევაშიც.

14.4. **ფორს-მაჟორის** მოქმედების განმავლობაში, **პირობებით** გათვალისწინებული ვალდებულებები და მათი შესრულების ვადები შეჩერდება და გადავადდება **ფორს-მაჟორის** ხანგრძლივობის შესაბამისად. აღნიშნული ვადების დინება ან/და ვალდებულებების შესრულების პირობა განახლდება **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის** აღმოფხვრისთანავე.

14.5. **კლიენტი** ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს **პირობებით** ნაკისრი სხვა ვალდებულებები თუ (ა) **ფორს-მაჟორის** მოქმედება არ ახდენს გავლენას მათ სრულ და ჯეროვან შესრულებაზე და (ბ) **ბანკს** აღნიშნული შესრულების მიმართ გააჩნია ინტერესი.

14.6. იმ შემთხვევაში თუ, **ფორს-მაჟორის** მოქმედებისას: (ა) **ფორს-მაჟორის** ვადის ხანგრძლივობა აღემატება 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს ან/და (ბ) **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მიმართ **ბანკს** აღარ გააჩნია ინტერესი - **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად მოითხოვოს **პირობების** სრულად ან/და ნაწილობრივ შეწყვეტა.

ნაწილი II

**15. საბანკო ოპერაციებით მომსახურება**

15.1. *ანგარიშის გახსნა და ანგარიშით სარგებლობა.*

15.1.1. წინამდებარე **პირობების** შესაბამისად **ბანკი კლიენტს** გაუხსნის **ანგარიშ(ებ)ს** და უზრუნველყოფს საბანკო **ოპერაციების** წარმოებას. **კლიენტს ანგარიში** გაეხსნება **კანონმდებლობის** შესაბამისად, **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესით, **ბანკისათვის განაცხადის** და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

15.1.2. **კლიენტი** უფლებამოსილია **დისტანციური საბანკო მომსახურების** საშუალებით მიმართოს **ბანკს** ანგარიშსწორების **ანგარიშის** (როგორც პირველადი, ასევე დამატებითი) გახსნის მოთხოვნით.

15.1.3. **ბანკი** იღებს ვალდებულებას დროულად და **კლიენტის** მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ზუსტი დაცვით აწარმოოს საბანკო **ოპერაციები** და მათი წარმოებისას დაიცვას **კანონმდებლობის** მოთხოვნები. საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის საბანკო მომსახურების გაწევა განხორციელდება შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.

15.1.4. **ბანკი** ვალდებულია **კლიენტის დავალებით** (**კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევაში, **კლიენტის დავალების** გარეშეც) ჩამოწეროს შესაბამისი თანხები **კლიენტის ანგარიშიდან** კრედიტორ(ებ)ის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე მათი ჩარიცხვის მიზნით, აგრეთვე **კანონმდებლობის** შესაბამისად განახორციელოს **ანგარიშზე** სხვა **ოპერაციები;**

15.1.5. **კლიენტი** პასუხისმგებელია **განაცხადის** შევსების სისწორეზე, შესაბამისად ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს** მის მიერ **ბანკისთვის** წარდგენილ დოკუმენტებსა და მიწოდებულ ინფორმაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ასევე წერილობით შეატყობინოს **ბანკს** იმ პირ(ებ)ის შეცვლის შესახებ, რომელ(ებ)იც უფლებამოსილია განკარგოს **ანგარიში**, ან მიიღოს ინფორმაცია **ანგარიშის** მდგომარეობის შესახებ და შეტყობინებას დაურთოს შესაბამისი დოკუმენტები. აღნიშნული შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება თავად **კლიენტს**.

15.1.6. შეცდომით ჩარიცული თანხების გამოყენების ან/და გადახარჯვის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია დაუბრუნოს **ბანკს** აღნიშნული თანხა. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** შეცდომის შესახებ ინფორმირებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში არ დაუბრუნებს **ბანკს** შეცდომით ჩარიცხულ თანხას, **ბანკი** უფლებამოსილია დააკისროს **კლიენტს** და **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა გამოყენებული თანხის 0,5%-ის ოდენობით მისი სარგებლობის ყოველ კალენდარულ დღეზე.

15.1.7. **კლიენტი** უფლებამოსილია მიიღოს **ამონაწერი ანგარიშზე** ნაშთისა და განხორციელებული **ოპერაციების** შესახებ. **ამონაწერის** მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში **კლიენტის** მხრიდან პრეტენზიის მიუღებლობის შემთხვევაში მასში არსებული ინფორმაციის სისწორე ითვლება დადასტურებულად.

15.2. *ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციები.*

15.2.1. **კლიენტის ანგარიშზე** ფულადი სახსრები შეიძლება ჩაირიცხოს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების წესით, **კანონმდებლობით** დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

15.2.2. **ბანკი** უზრუნველყოფს **კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე** შემოსული თანხების ჩარიცხვას და **კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან** თანხების გადარიცხვას **კანონმდებლობით** დადგენილ ვადებში.

15.2.3. **ბანკის** გადაწყვეტილებით, **ანგარიშზე** თანხის შეტანა შეიძლება დასაშვები იყოს **ბანკის** შესაბამისი ფუნქციონალით აღჭურვილი **ბანკომატის** მეშვეობით **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად.

15.2.4. **ბანკომატის** გამოყენებით ანგარიშზე თანხის შეტანის ოპერაციის განსახორციელებლად **ბარათის მფლობელმა** უნდა მიუთითოს სასურველი **ანგარიში**, დანიშნულება და **ბანკომატის** თანხის მიმღებში განათავსოს შესატანი თანხა.

15.2.5. იმ შემთხვევაში, თუ **ბარათის მფლობელის** მიერ **ბანკომატის** თანხის მიმღებში განთავსებული თანხა (დასაშვებ ვალუტაში) განსხვავდება საბარათე **ანგარიშის** ვალუტისაგან, **ბარათის მფლობელის** მიერ არჩეულ **ანგარიშზე** ჩაირიცხება **ანგარიშის** ვალუტაში კონვერტირებული თანხა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ვალუტის გაცვლის ოპერაციის ინიცირების/დადასტურების შემდეგ, ოპერაციის სრულად დასრულებამდე, შეიცვლება **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსი, ბანკი** უფლებამოსილია ვალუტის კონვერტაცია შეასრულოს **კლიენტის ანგარიშზე** თანხის ასახვის მომენტში არსებული **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსის** შესაბამისად, მიუხედავად **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსის** თაობაზე, **კლიენტისთვის** ოპერაციის ინიცირების/დადასტურების მომენტში მიწოდებული ინფორმაციისა.

15.2.6. **ბარათის მფლობელი** ვალდებულია ყურადღებით გაეცნოს **ბანკომატში** თანხის მიღებასთან და **ოპერაციის** შესრულებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირობას/შეზღუდვას/მითითებას და **ოპერაციის** განხორციელებისას მიყვეს **ბანკომატის** მიერ გაცემულ ინსტრუქციებს, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **ბარათის მფლობელის** ვალდებულებას **ბანკომატში** არ განათავსოს დაზიანებული, დასვრილი, დაკეცილი, შეკრული, ყალბი კუპიურები. აგრეთვე დაუშვებელია **ბანკომატის** თანხის მიმღებში მონეტების ან/და სხვადასხვა ვალუტის კუპიურების ერთდროულად განთავსება. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტში მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და **ბანკომატის** გამოყენებით **ანგარიშზე** თანხის შეტანის შეფერხება/შეუძლებლობა შესაძლებელია გამოწვეული იყოს სხვა გარემოებ(ებ)ით. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **ბარათის მფლობელის** მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და **ბარათის მფლობელის** დაუდევრობის გამო დამდგარ ნებისმიერ შედეგზე, მათ შორის და არა მხოლოდ **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ოპერაციის შესრულებისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შედეგად თანხის დაკავებით გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე.

15.2.7. **კლიენტი ბანკს** ანიჭებს უფლებამოსილებას, მიიღოს და იმოქმედოს მისი **დავალებების** შესაბამისად, რომელსაც **კლიენტი ბანკს** მიაწოდებს წერილობით, ტელეფონით, ელექტრონული საშუალებით ან **ბანკისთვის** მისაღები და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით.

15.2.8. **ბანკი** უფლებამოსილია არ შეასრულოს **კლიენტის დავალება** და **დავალების** შეუსრულებლობის შესახებ მისთვის მისაღები ფორმით შეატყობინოს **კლიენტს,** იმ შემთხვევაში თუ: (ა) ვერ ხერხდება **კლიენტის** იდენტიფიკაცია; (ბ) **დავალება** შედგენილი და წარმოდგენილია **ბანკში** დადგენილი წესის დარღვევით ან შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას; (გ) **დავალებაში** აღნიშნული თანხა აღემატება **ანგარიშზე** არსებულ ხელმისაწვდომ თანხას ან **ბანკის** მიერ დადგენილ ლიმიტებს.

15.2.9. **ბანკი** უფლებამოსილია შეაჩეროს ან/და არ განახორციელოს საბანკო **ოპერაცია,** თუ **ოპერაცია** მიზნად ისახავს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ან/და ტერორიზმსა და სხვა საერთაშორისო დანაშაულებში ბრალდებულ პირთა დაფინანსებას.

15.2.10. **კანონმდებლობით** დადგენილ შემთხვევებში, **ბანკის** მოთხოვნისთანავე, **კლიენტი** ვალდებულია მიაწოდოს **ბანკს** საბანკო **ოპერაციის** ეკონომიკურ დასაბუთებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტი.

15.2.11. **ბანკმა** პირადად უნდა შეასრულოს **მომსახურება**. პირად შესრულებას უთანაბრდება **მომსახურების** შესრულება **ბანკის** თანამშრომლ(ებ)ის, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის ან/და **აფილირებული პირ(ებ)ის** მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

15.2.12. **აფილირებულ პირ(ებ)თან** დადებული არცერთი ხელშეკრულება არ ათავისუფლებს **ბანკს** მის მიერ ამ **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებებისგან, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ნებისმიერი სახის ზიანის (ზარალის) ანაზღაურებისგან.

15.2.13. **კლიენტის** მიერ **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

15.2.13.1. **კლიენტის ბანკში** არსებული ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** დაბლოკოს და უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად **მომსახურების** საფასური, **კანონმდებლობით** განსაზღვრული გადასახადები/გადასახდელები, შეცდომით ჩარიცხული თანხები და სხვ.) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად; ან/და

15.2.13.2. თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტის ანგარიშიდან;**
15.2.13.3. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკთან** არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხეშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის (მათ შორის წინამდებარე **პირობების** მე-3 მუხლში მოცემული განცხადებებისა და გარანტიების) შესრულების უზრუნველსაყოფად ან აღნიშნული შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (მათ შორის, ასეთი საფრთხის არსებობისას), დაბლოკოს/დახუროს **კლიენტის** ანგარიში, დაბლოკოს/დაბრონოს/ჩამოწეროს თანხები **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიშიდან;
15.2.13.4. **ბანკის/ბანკის** სხვა კლიენტების ან/და მესამე პირების ინტერესების დასაცავად, დაბლოკოს/დახუროს **ბანკში** არსებული **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიში, დაბლოკოს/დაბრონოს/ჩამოწეროს თანხები, შეაჩეროს კონკრეტული ტრანზაქცია(ები) თუ **ბანკს** გააჩნია ეჭვი/**ბანკისთვის** ცნობილი გახდა, რომ:
15.2.13.4.1.**კლიენტი** არღვევს საქართველოს ან სხვა ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობას (მათ შორის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონის დანაწესებს);
15.2.13.4.2.**კლიენტის** ნებისმიერი ქმედება გამოიწვევს (ან შეიძლება გამოიწვიოს) **ბანკის** შიდა პროცედურებით ან/და პოლიტიკით განსაზღვრული წესების დარღვევას და შედეგად მატერიალური ან ნებისმიერი სახის ზიანის/ზარალის მიყენებას **ბანკისათვის;**
15.2.13.4.3.შესაძლოა აღნიშნული თანხები გახდეს სადავო **კლიენტსა** და მესამე პირებს შორის, რამაც შესაძლოა **ბანკისთვს** გამოიწვიოს ზიანის/ზარალის მიყენება.
15.2.13.4.4.**კლიენტი, კლიენტის** სახელით მოქმედი პირი, **კლიენტის** ბენეფიციარი მესაკუთრეები და ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსულების მქონე პირები ან/და **კლიენტთან** პირადი, ნათესაური, საქმიანი ან/და სხვაგვარად **ბანკის** შეხედულებისამებრ დაკავშირებული სხვა პირ(ებ)ი წარმოადგენ(ენ)ს **სანქციების დამდგენი ორგანოს** მიერ სანქცირებულ პირ(ებ)ს ან/და არსებობს სანქცირებულ პირთა სიაში მისი/მათი მოხვედრის საფრთხე;
15.2.13.4.5.**კლიენტი** ახორციელებს საქმიან ურთიერთობას ისეთ პირთან რომელიც (მათ შორის მის სადამფუძნებლო სტრუქტურაში შემავალი პირ(ებ)ი, აღმასრულებელი პირ(ებ)ი, ბენეფიციარი მესაკუთრე(ები), მისი სახელით მოქმედი პირ(ებ)ი ან/და სხვაგვარად დაკავშირებული პირ(ებ)ი) წარმოადგენ(ენ)ს **სანქციების დამდგენი ორგანოს** მიერ სანქცირებულ პირ(ებ)ს ან/და არსებობს სანქცირებულ პირთა სიაში მისი/მათი მოხვედრის საფრთხე;
15.2.13.5. იმოქმედოს **სანქციების დამდგენი ორგანოს** მიერ დაწესებული შესაბამისი სანქცი(ებ)ის მიხედვით (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც თუ **სანქციების დამდგენი ორგანოს** გადაწყვეტილება(ები)/მითითება(ები) სავალდებულოდ შესასრულებელი არ არის **ბანკისთვის**) და განახორციელოს **სანქციების დამდგენი ორგანოს** მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული/მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება(ები). წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ქმედების განხორციელება არ ჩაითვლება **ბანკის** მიერ **პირობებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევად და არ გამოიწვევს **ბანკის** პასუხისმგებლობას **კლიენტის** წინაშე;
15.2.13.6. საკუთარი შეხედულებისამებრ, შეაჩეროს/შეზღუდოს **კლიენტის** რომელიმე კონკრეტული ან ყველა **ტრანზაქცია,** იმ შემთხვევაში, თუ **ბანკის** შეფასებით არსებობს რისკი, რომ აღნიშნული **ტრანზაქციის** შესრულება გამოიწვევს **სანქციების დამდგენი ორგანოს** ნებისმიერი გადაწყვეტილებ(ებ)ის/მითითებ(ებ)ის/რეკომენდაცი(ებ)ის დარღვევას, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ ამგვარი გადაწყვეტილება/მითითება/რეკომენდაცია არ არის **ბანკისთვის** სავალდებულოდ შესასრულებელი;
15.2.13.7. საკუთარი შეხედულებისამებრ, მოითხოვოს **კლიენტთან** ან/და **კლიენტის** მიერ/სასარგებლოდ ინიცირებულ რომელიმე **ტრანზაქციასთან** დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, ხოლო ამ ინფორმაციის/დოკუმენტაციის **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში და ფორმით მიუღებლობის შემთხვევაში, შეაჩეროს/შეზღუდოს **ტრანზაქცი(ებ)ის** შესრულება ან/და დაბლოკოს/დახუროს **კლიენტის** ანგარიშ(ებ)ი;
15.2.13.8. საკუთარი შეხედულებისამებრ, ჩაატაროს გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები **კლიენტის, კლიენტის** სახელით მოქმედი პირ(ებ)ის ან/და **კლიენტთან** დაკავშირებული სხვა პირ(ებ)ის იდენტიფიკაციისა და სანდო და დამოუკიდებელ წყაროზე დაყრდნობით მისი/მათი ვერიფიკაციისთვის, ასევე, კონკრეტული **ტრანზაქცი(ებ)ის** მიზნისა და წარმომავლობის დასადგენად. აღნიშნული მიზნით **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტისგან** ან/და ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ისგან მიიღოს ან/და შესაბამის უფლებამოსილ პირ(ებ)ს (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ზედამხედველ/მაკონტროლებელ ორგანოებს) გადასცეს **კლიენტ(ებ)თან, კლიენტის** სახელით მოქმედ პირ(ებ)თან, **კლიენტთან** დაკავშირებული სხვა პირ(ებ)თან ან/და **კლიენტის** მიერ/სასარგებლოდ ინიცირებულ ტრანზაქცია(ებ)სთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
15.2.13.9. საკუთარი შეხედულებისამებრ, შეაჩეროს/შეზღუდოს კონკრეტული **ტრანზაქცი(ებ)ის** შესრულება ან/და დაბლოკოს/დახუროს **კლიენტის** ანგარიში, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული **ტრანზაქცი(ებ)ის** შესრულება ან/და **კლიენტისთვის** მომსახურების გაწევა **ბანკს** შეუქმნის საფრთხეს/დაბრკოლებას სხვა ფინანსურ ინსტიტუტ(ებ)თან, საგადახდო სისტემას(ებ)თან, საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)თან, მარეგულირებელ/მაკონტროლებელ ორგანოს(ებ)თან ან/და **ბანკის** სხვა პარტნიორ(ებ)თან/კონტრაქტორ(ებ)თან/ზედამხედველ(ებ)თან ურთიერთობაში;
15.2.13.10. საკუთარი შეხედულებისამებრ, შეაჩეროს/შეზღუდოს კონკრეტული **ტრანზაქცი(ებ)ის** შესრულება ან/და დაბლოკოს/დახუროს **კლიენტის** ანგარიში, იმ შემთხვევაში თუ **სანქციების დამდგენი ორგანოს** ნებისმიერი გადაწყვეტილების/მითითების/რეკომენდაციის (იმ შემთხვევაშიც, თუ ამგვარი გადაწყვეტილება/მითითება/რეკომენდაცია არ არის **ბანკისთვის** სავალდებულოდ შესასრულებელი) შედეგად **ბანკი** მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს/დაამუშაოს/შეასრულოს **კლიენტის** მიერ/სასარგებლოდ ინიცირებული ტრანზაქცი(ებ)ი ანდა გაუწიოს **კლიენტს** ნებისმიერი საბანკო მომსახურება.
15.2.13.11. შეამციროს **კლიენტის** ნებისმიერ ანგარიშზე ხელმისაწვდომი ნაშთი და ამგვარად დაბლოკოს, დაარეზერვოს შესაბამისი თანხები **კლიენტის ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულების შეუფერხებლად დაფარვის მიზნით, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება **კლიენტის** საკრედიტო ვალდებულებებით, მიმდინარე ან/და მომდევნო გადასახდელებით/დავალიანებებით, ასევე იმ ნებისმიერი ზიანის/ზარალის ანაზღაურების მიზნით რაც მიადგა/არსებობს ეჭვი რომ შესაძლოა სამომავლოდ მიადგეს **ბანკს კლიენტის** მიერ წინამდებარე **ხელშეკრულების** დარღვევის შედეგად;
15.3. ***ანგარიშის დახურვა.***
15.3.1. **ბანკი** უფლებამოსილია დახუროს **ანგარიში** შემდეგ შემთხვევებში: (ა) **კლიენტის** განცხადებით; (ბ) **ანგარიშზე** ანგარიშის მომსახურებისათვის და/ან დახურვისათვის **ბანკში** განსაზღვრული საკომისიოს ოდენობის ნაშთის და არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში **ოპერაციების** არარსებობისას; (გ) ლიკვიდატორის განცხადებით და/ან პირის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შემთხვევაში; (დ) დადგენილი წესით პირის გაკოტრებულად ცნობის შემთხვევაში; (ე) თუ **კლიენტი** უარს აცხადებს **ბანკისთვის** „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე ინფორმაციის მიწოდებაზე; (ვ) **პირობებით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
15.3.2. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** გააჩნია დავალიანება **ანგარიშის** მომსახურების საკომისიოს სახით, **ბანკი კლიენტის განცხადების** საფუძველზე **ანგარიშს** დახურავს მხოლოდ მას შემდეგ, რაც **კლიენტი** სრულად გადაიხდის აღნიშნულ დავალიანებას.
15.3.3. **ბანკი** უფლებამოსილია უარი განუცხადოს **კლიენტს ანგარიშის** დახურვაზე იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს ბანკის** მიმართ გააჩნია დავალიანება.
15.3.4. **პირობების** 15.3.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე **ბანკი** უფლებამოსილია **ანგარიში** დახუროს **კლიენტისათვის** წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე.
15.3.5. **კლიენტის** მხრიდან ახალი **ანგარიშის** გახსნის ან უკვე დახურული **ანგარიშის** ხელმეორედ გახსნის/გააქტიურების მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს **კლიენტს** თხოვნაზე ან შეასრულოს იგი მხოლოდ (ა) **კლიენტის** მხრიდან **ბანკისადმი** არსებული დავალიანების სრულად დაფარვის ან/და (ბ) ახალ გახსნილ **ანგარიშზე** ძველი **ანგარიშის** შეზღუდვების/ვალდებულებების გავრცელების პირობით.
15.3.6. თუ **ბანკი** თვლის, რომ კლიენტმა **ანგარიში** უნდა დახუროს, **კლიენტს ბანკის** მიერ განსაზღვრული კომუნიკაციის არხით გაეგზავნება წერილობითი თხოვნა, რომელშიც მითითებული იქნება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც **კლიენტს** მოეთხოვება **ანგარიშის** დახურვა. თუ აღნიშნული პერიოდის გასვლის

შემდეგ **კლიენტი** არ დახურავს **ანგარიშს, ბანკს** უფლება აქვს აღარ მიიღოს გადახდები **ანგარიშზე** (ისეთი გადახდების გარდა, რომლებიც აუცილებელია **ანგარიშზე** რიცხული დავალიანების დასაფარად) და დაუბრუნოს **კლიენტს ანგარიშზე** რიცხული ნაშთი.

15.4. ***ნომინალური მფლობელობის ანგარიშით სარგებლობის პირობები***

15.4.1. **ნომინალური მფლობელობის ანგარიში** შეიძლება გაეხსნას მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული აქვთ **ნომინალური ანგარიშის** ფლობის უფლებამოსილება.

15.4.2. **კლიენტის ნომინალური მფლობელობის ანგარიში** გაიხსნება მხოლოდ შესაბამის **განაცხადზე** თანხმობის გამოხატვისა და **ბანკის** მიერ განსაზღვრული დოკუმენტების სრულად წარმოდგენის შემდეგ.

15.4.3. **კლიენტი** პასუხისმგებელია **ბანკში** წარდგენილი დოკუმენტის (ანგარიშის გახსნის განაცხადი, დავალება და ა.შ.) შევსების სისწორეზე. დოკუმენტებში მითითებული ინფორმაციის ყველა ცვლილება უნდა ეცნობოს **ბანკს** წერილობით ცვლილებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული ცვლილების **ბანკისთვის** შეუტყობინებლობით გამოწვეული ნებისმიერი სახის შედეგზე პასუხისმგებლობა ეკისრება **კლიენტს.**

15.4.4. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევებში, **ნომინალური ანგარიშის** მფლობელი პირი ვალდებულია **ბანკს** წარუდგინოს ინფორმაცია მისი კლიენტ(ებ)ის, მონაწილ(ეებ)ის და/ან მათი ბენეფიციარი მფლობელების შესახებ.

15.4.5. **ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე** შეიძლება განთავსდეს და/ან ამ ანგარიშიდან გადაირიცხოს მხოლოდ ანგარიშის მფლობელის კლიენტების სახსრები, რომელსაც ეს ანგარიშის მფლობელი ფლობს და განკარგავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი საკუთარი სახსრებისაგან განცალკევებით.

15.4.6. **ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე** ფულადი სახსრები შეიძლება ჩაირიცხოს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო წესით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. ამასთან, **ნომინალური მფლობელობის ანგარიშიდან** ნაღდი ანგარიშსწორების გზით გადახდის ოპერაციის შესრულება დაუშვებელია.

15.4.7. **ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე** წარმოებული ოპერაციების შინაარსსა და დანიშნულებაზე სრულად პასუხისმგებელია **კლიენტი.**

15.4.8. აკრძალულია **ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე** არსებული თანხების განკარგვა უშუალოდ ანგარიშის მფლობელის კლიენტის/მონაწილის მიერ წარმოდგენილი **საგადახდო დავალების** საფუძველზე.

15.4.9. თუ წინამდებარე **მუხლით (ნომინალური მფლობელობის ანგარიშით სარგებლობის პირობები)** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ნომინალური მფლობელობის ანგარიშით** მომსახურებაზე ვრცელდება წინადებარე **პირობებით** საბანკო ოპერაციებით მომსახურებისთვის დადგენილი წესები.

**16. სახელფასო პროგრამით მომსახურება**

16.1. სახელფასო პროგრამით მომსახურება გულისხმობს **კლიენტის** თანამშრომლ(ებ)ისათვის ანგარიშ(ებ)ზე შრომის ანაზღაურებისათვის განკუთვნილი თანხების ჩარიცხვას **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** წარმოდგენილი განაცხადი-რეესტრის შესაბამისად.

16.2. სახელფასო პროგრამით სარგებლობის მიზნით **კლიენტი** ვალდებულია მიმართოს **ბანკს** შესაბამისი **განაცხადით** და მიაწოდოს სრულად და ჯეროვნად შევსებული განაცხადი-რეესტრი.

16.3. **კლიენტი** უფლებამოსილია შევსებული განაცხადი-რეესტრი მიაწოდოს **ბანკს** როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური/ზეჭდური სახით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს **კლიენტის** უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით და ბეჭდით. ამასთან, განაცხადი-რეესტრის ელექტრონული და დედანი (მატერიალური) ვერსიები უნდა იყოს სრულიად იდენტური. **ბანკისთვის** განაცხადი-რეესტრის ელექტრონული ვერსიის მიწოდება ხდება **ბანკის** ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

16.4. თანამშრომლებისთვის ბარათების დამზადების მიზნით, **კლიენტი** ვალდებულია **ბანკს** დამატებით მიაწოდოს განაცხადი-რეესტრში მითითებული ყველა თანამშრომლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები **ბანკის** მიერ მათი შემდგომი გამოყენების მიზნით. ამასთან, **კლიენტი** ვალდებულია დაიცვას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ **კანონმდებლობის** მოთხოვნები და თავად უზრუნველყოს, **სახელფასო პროგრამით** მომსახურების მიზნებისათვის, თანამშრომლ(ებ)ისგან მათი პერსონალური მონაცემების გადაცემასა და შემდგომ დამუშავებაზე შესაბამისი თანხმობ(ებ)ის მიღება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ **კანონმდებლობის** მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე/ზარალზე პასუხისმგებელია **კლიენტი.**

16.5. **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს **კლიენტისაგან**, ხოლო **კლიენტი ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია დააზუსტოს განაცხად-რეესტრში აღნიშნული ნებისმიერი თანამშრომლის მონაცემი ან/და დამატებით წარუდგინოს **ბანკს** შესაბამისი დოკუმენტაცია. **კლიენტი** ვალდებულია, მაქსიმალურად ხელი შეუწყოს **ბანკს** თანამშრომლის სწორ და სრულ იდენტიფიცირებაში.

16.6. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტისთვის** ან/და **კლიენტის** თანამშრომლებისთვის ბარათების ტრანსპორტირებაზე/მიწოდებაზე.

16.7. **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია მიაწოდოს **კლიენტს** დამზადებული ბარათები შეთანხმებულ მისამართზე, რისთვისაც **კლიენტი** იღებს პასუხისმგებლობას მოიპოვოს ყველა თანამშრომლის წერილობითი თანხმობა მათი ბარათების მიწოდება/ტრანსპორტირებაზე და **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამ) კალენდარულ დღეში წარუდგინოს ის **ბანკს.** ამ მუხლის მოთხოვნის დარღვევის შედეგად **ბანკისათვის** მიყენებულ ყველა სახის ზიანზე/ზარალზე პასუხისმგებელია **კლიენტი.**

16.8. **ბანკი** უფლებამოსილია არ განახორციელოს **კლიენტის** მომსახურება, თუ განაცხადი-რეესტრი არ არის წარმოდგენილი სრულად ან/და მასში მითითებული მონაცემები არ შეესაბამება სინამდვილეს.

16.9. ***შრომის ანაზღაურების გადახდა.***

16.9.1. **ბანკის** მიერ თანამშრომლებისთვის ბარათების დამზადების შემდეგ **კლიენტი** იღებს ვალდებულებას თანამშრომლების კუთვნილი შრომის ანაზღაურება ყოველთვიურად (ან სხვა პერიოდულობით, რაც დამოკიდებულია **კლიენტის** საქმიანობის სპეციფიკაზე) ჩარიცხოს **ბანკში** გახსნილ/არსებულ ანგარიშებზე.

16.9.2. **კლიენტი** უფლებამოსილია თანამშრომლებისათვის შრომის ანაზღაურების ჩარიცხვა **ბანკში** გახსნილ ანგარიშებზე აწარმოოს დამოუკიდებლად, **ბანკის** ფილიალში/სერვის ცენტრში ინდივიდუალური საგადახდო დავალებების წარდგენით ან/და **ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების** გამოყენებით.

16.9.3. თანამშრომლებისათვის შრომის ანაზღაურების **ბანკში** გახსნილ ანგარიშებზე ჩარიცხვის განხორციელების მიზნით, **კლიენტი** უფლებამოსილია ისარგებლოს **ბანკის** პაკეტური გადარიცხვების ხელშეწყობის მომსახურებით (შემდგომში - **პაკეტური გადარიცხვების სერვისი**), რომელიც გულისხმობს **ბანკის** მიერ **კლიენტის** საბანკო ანგარიშიდან **კლიენტის** თანამშრომლების ანგარიშებზე შრომის ანაზღაურების გადარიცხვას **კლიენტის** მიერ წარდგენილი საგადახდო დავალების და სახელფასე რეესტრის საფუძველზე.

16.9.4. **პაკეტური გადარიცხვების სერვისის** შესრულების დროს **კლიენტის** თანამშრომლების ანგარიშებზე შრომის ანაზღაურების ჩარიცხვისთვის **კლიენტი ბანკს** წარუდგენს ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, პაკეტური გადარიცხვების სერვისის გააქტიურებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, საგადახდო დავალებას თანამშრომელთა ანაზღაურების ჯამური თანხით და შევსებულ სახელფასე რეესტრს.

16.9.5. **კლიენტი** ვალდებულია ზუსტად შეავსოს საგადახდო დავალება და სახელფასე რეესტრი და მიაწოდოს **ბანკს** მისი როგორც ელექტრონული ვერსია, ასევე დედანი დამოწმებული **კლიენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის** ხელმოწერით და ბეჭდით (**სახელფასე რეესტრის** დედნის ასლს **კლიენტი ბანკს** უგზავნის ელექტრონულ ვერსიასთან ერთად ელექტრონული ფოსტის მისამართზე, ხოლო დედანს წარმოადგენს **ბანკში**). ამასთან, საგადახდო დავალების და სახელფასე რეესტრის ელექტრონული და დედანი ვერსიები უნდა იყოს სრულად იდენტური. **ბანკისთვის** საგადახდო დავალების და სახელფასე რეესტრის ელექტრონული ვერსიის მიწოდება ხდება, **კლიენტის ბანკში** დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან **ბანკის** ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

16.9.6. **ბანკი** უფლებამოსილია არ მოახდინოს **კლიენტის თანამშრომლების ანგარიშებზე** კუთვნილი შრომის ანაზღაურების გადარიცხვა, თუ **კლიენტის** მიერ ბანკის ელექტრონული ფოსტის მისამართზე მიწოდებული **სახელფასე რეესტრის** ელექტრონული და დედანი ვერსიები არ არის იდენტური. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **ბანკს** არ დაეკისრება პასუხისმგებლობა წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით მომსახურების შეუსრულებლობის გამო დამდგარი ნებისმიერი შედეგისთვის.

16.9.7. **კლიენტის** თანამშრომლებისთვის შრომის ანაზღაურების თანხის გადარიცხვას **ბანკი** უზრუნველყოფს მხოლოდ **კლიენტის ანგარიშზე** შესაბამისი ოდენობის თანხის არსებობის შემთხვევაში. **კლიენტის** ანგარიშზე შესაბამისი თანხის არ არსებობის შემთხვევაში **ბანკის** მიმართ არ შეიძლება წარდგენილი იქნას მოთხოვნა სახელფასო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურების გაწევის თაობაზე **კლიენტის** ან/და **კლიენტის** თანამშრომლების მიერ. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **ბანკს** არ დაეკისრება პასუხისმგებლობა წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით მომსახურების შეუსრულებლობის გამო დამდგარი ნებისმიერი შედეგისთვის.

16.9.8. **კლიენტი** ვალდებულია ყოველთვიურად შეამოწმოს და განაახლოს სახელფასე რეესტრი მასში **კლიენტთან** შრომითი ურთიერთობის არმქონე პირების მოხვედრის თავიდან აცილების და ახალი თანამშრომლების დამატების მიზნით.

16.9.9. **ბანკი** არ აგებს პასუხს **პაკეტური გადარიცხვების სერვისის** შესრულების დროს დაშვებულ შეცდომებზე, თუ ეს შეცდომები განპირობებული **კლიენტის** მიერ სახელფასე რეესტრში დაშვებული შეცდომით ან/და არასწორი მონაცემების მითითებით.

16.9.10. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს** თავისი თანამშრომლების მისამართის, ტელეფონის ან/და სხვა საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შესახებ.

16.9.11. **კლიენტი** ვალდებულია, **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე: (ა) არ დართოს ნება თანამშრომელს მიიღოს წინამდებარე მუხლით განსაზღვრული ანალოგიური მომსახურება სხვა **მესამე პირ(ებ)ისაგან**, (ბ) არ დაუშვას თანამშრომლისათვის კუთვნილი შრომის ანაზღაურების ნაღდი ფულის სახით, ჩეკით ან **ბანკის** გვერდის ავლით გაცემა, აგრეთვე (გ) არ განახორციელოს თანამშრომლის კუთვნილი შრომის ანაზღაურების **მესამე პირ(ებ)ის** მიმდინარე ანგარიშ(ებ)ზე ჩარიცხვა (ან ნაღდი ფულის სახით ან სხვა ალტერნატიული საშუალებით გაცემა).

16.9.12. **კლიენტი** ვალდებულია შეატყობინოს **ბანკს** თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების, ან ნებისმიერი სხვა მიზეზით სამსახურის დატოვების/შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ დაუყოვნებლივ, როგორც კი ასეთი ფაქტის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება თვით **კლიენტისთვის**. **ბანკისთვის** ამგვარი ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით, **კლიენტის** მომსახურე ფილიალში/სერვის ცენტრში შესაბამისი განცხადების ჩაბარებით ან ელექტრონულად **ბანკის** ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნით. აღნიშნული შეტყობინება უნდა მოიცავდეს თანამშრომლის გვარს, სახელს, დაბადების თარიღს და საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თარიღს.

16.9.13. **კლიენტი** ვალდებულია, თანამშრომელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დროს, თანამშრომელთან საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელებამდე მინიმუმ 5 (ხუთი) **საბანკო დღით** ადრე აცნობოს ამის შესახებ **ბანკის** მომსახურე ფილიალის/სერვის ცენტრის ხელმძღვანელს. გათავისუფლებული თანამშრომლისთვის საბოლოო ანგარიშწორების თანხის გადახდა უნდა მოხდეს უნაღდო ანგარიშსწორებით თანამშრომლის ანგარიშზე საბოლოო ანგარიშსწორების თანხის ჩარიცხვის გზით.

16.9.14. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** შეწყვეტს სახელფასო პროგრამით მომსახურებას, **კლიენტი** ვალდებულია გააგრძელოს **ბანკში** გახსნილ **ანგარიშებზე** იმ თანამშრომლების კუთვნილი შრომის ანაზღაურების ჩარიცხვა, რომლებსაც სახელფასო პროგრამით მომსახურების შეწყვეტის მომენტისათვის **ბანკის** წინაშე გააჩნიათ მიმდინარე საკრედიტო ვალდებულება ან/და საბანკო მომსახურებიდან წარმოშობილი ნებისმიერი სხვა ვალდებულება, ამ ვალდებულებ(ებ)ის სრულად დაფარვამდე.

16.10. ***<u>სხვა პირობები.</u>***

16.10.1. **კლიენტი** ვალდებულია თავისი შესაძლებლობის ფარგლებში და მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით უზრუნველყოს საკუთარი თანამშრომლების მხრიდან **ბარათით** სარგებლობის წესების დაცვა.

16.10.2. **კლიენტი,** ასევე, უზრუნველყოფს თანამშრომლ(ებ)ის ინფორმირებას იმის თაობაზე, რომ ისინი ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ **ბანკში** ანგარიშ(ებ)ის გასახსნელად საჭირო დოკუმენტაციის გასაფორმებლად.

16.10.3. თანამშრომლის საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები (ბარათის სარგებლობის წესები, დისტანციური არხებით მომსახურება და სხვა) დარეგულირდება, დამოუკიდებლად, **ბანკსა** და თანამშრომელს შორის გაფორმებული შესაბამისი საბანკო მომსახურების ხელშეკრულებით.

16.10.4. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **კლიენტი** ვალდებულია წერილობით შეატყობინოს **ბანკს** იმ შემთხვევაში თუ **ბანკის** სახელფასო პროგრამით სარგებლობის განმავლობაში ანალოგიურ მომსახურებას მიიღებს ნებისმიერი სხვა პირისგან, მათ შორის იმ პირებისაგან, რომლებიც კონკურენციას უწევენ **ბანკის** ან/და მისი აფილირებული/დაკავშირებული პირების საქმიანობას ან/და რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება **ბანკის** ან/და მისი აფილირებული/დაკავშირებული პირების ინტერესებს ამავე სფეროში.

16.10.5. თუ **კლიენტი** 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არცერთხელ არ ისარგებლებს მოთხოვნილი და გააქტიურებული **სახელფასო პროგრამით**, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეუწყვიტოს/შეუჩეროს **კლიენტს** სახელფასო პროგრამით მომსახურება და **კლიენტის** თანამშრომლები გადაიყვანოს სტანდარტულ საბანკო მომსახურების ტარიფებზე.

16.11. ***<u>პირგასამტეხლო</u>***

16.11.1. **კლიენტის** მიერ **პირობების** 16.9.11 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია დააკისროს მას (**კლიენტს**) ერთჯერადი პირგასამტეხლო:

16.11.1.1. 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, თუ სახელფასო პროგრამაში ჩართულია **კლიენტის** არაუმეტეს 50 თანამშრომლისა;

16.11.1.2. 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, თუ სახელფასო პროგრამაში ჩართულია 50-დან 100 თანამშრომლამდე;

16.11.1.3. 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, თუ სახელფასო პროგრამაში ჩართულია 100-დან 500 თანამშრომლამდე;

16.11.1.4. 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, თუ სახელფასო პროგრამაში ჩართულია 500 ან/და მეტი თანამშრომელი.

16.11.2. **კლიენტის** მიერ **პირობების** 16.9.14 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია დააკისროს მას (**კლიენტს**) პირგასამტეხლო თითოეული ასეთი თანამშრომლის მიერ **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანების ოდენობით.

## 17. ბარათი

17.1. ***<u>ბარათით სარგებლობის ზოგადი პირობები:</u>***

17.1.1. **პირობებში** მოცემული **ბარათით** სარგებლობასთან დაკავშირებული წესები სრულად ვრცელდება როგორც **კლიენტზე**, ასევე **ბარათის მფლობელ(ებ)ზე** წინამდებარე **პირობების** შესაბამისად გაცემული ნებისმიერი ტიპის **ბარათით** სარგებლობისას.

17.1.2. **ბარათის** გამოყენება რეგულირდება წინამდებარე **პირობებით**, **კანონმდებლობით** და **ბანკსა** და საერთაშორისო საგადამხდელო სისტემებს VISA Inc. და MasterCard Europe–ს შორის სალიცენზიო ხელშეკრულებების პირობებით.

17.1.3. **ბარათის** მისაღებად **კლიენტმა** და **ბარათის მფლობელმა ბანკს** უნდა წარუდგინონ სათანადოდ შევსებული და დამოწმებული **განაცხადი, ბანკის** მიერ განსაზღვრული ფორმით.

17.1.4. **ბარათ(ებ)ს ბანკი** ამზადებს **კლიენტისა** და **ბარათის მფლობელის** ერთობლივი **განაცხადის** საფუძველზე და მის შესაბამისად და გადასცემს **განაცხადით** განსაზღვრულ უფლებამოსილ მფლობელს სარგებლობაში (დალუქულ კონვერტში მოთავსებულ, ან/და **განაცხადში** დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ელექტრონული ფორმით გაგზავნილ **წვდომის კოდთან** (PIN-კოდი) ერთად) **ანგარიშ(ებ)იდან ოპერაციების** საწარმოებლად. **ბარათი** წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას.

17.1.5. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს,** რომ **ბარათის მფლობელ(ებ)ს** გადასცეს ინფორმაცია მისი კუთვნილი **ანგარიშ(ებ)ის** შესახებ. ეს ინფორმაცია მოიცავს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დეტალებს **ანგარიშ(ებ)ის** შესახებ, ინფორმაციას **ანგარიშ(ებ)ზე** არსებული ნაშთის, აგრეთვე **ანგარიშ(ებ)ზე** განხორციელებული ოპერაციების შესახებ;

17.1.6. **ანგარიშზე** რიცხული თანხების განკარგვა დასაშვებია **ბანკის** მიერ დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

17.1.7. საბარათე **ოპერაციის** და მისი **ანგარიშზე** ასახვის ვადები შესაძლოა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. განხორციელებული ოპერაციის ანგარიშზე ასახვის ვადა დამოკიდებულია საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ ოპერაციის დამუშავების ვადებზე.

17.1.8. თუ **ბარათის მფლობელი ბარათის** დამზადებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ მიაკითხავს **ბანკს ბარათის** მისაღებად ან სხვა ფორმით არ ჩაიბარებს **ბარათს**, **ბანკი** უფლებამოსილია გააუქმოს **ბარათი.** ასეთ შემთხვევაში, **კლიენტს ბარათის** დამზადების/მომსახურების საკომისიო არ უბრუნდება.

17.1.9. **ბარათით** ჩატარებული ოპერაციები ანგარიშზე აისახება შემდეგი პრინციპით:

17.1.9.1. ანგარიშის ვალუტაში შესრულებული ოპერაცია **კლიენტის** ანგარიშზე აისახება კონვერტაციის გარეშე.

17.1.9.2. ლარში, დოლარში, ევროში და გირვანქა სტერლინგში შესრულებული **ოპერაცია კლიენტის** ანგარიშზე აისახება ტრანზაქციის ვალუტისა და ანგარიშის ვალუტას შორის ოპერაციის დამუშავების დღეს არსებული **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსით**, ხოლო სხვა დანარჩენ ვალუტაში შესრულებული **ოპერაცია** ანაგარიშის ვალუტასა და შესაბამისი საგადამხდელო სისტემის ანგარიშსწორების ვალუტას შორის **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსით** კონვერტაციის გზით. VISA საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის **ბარათით** შესრულებული **ოპერაციების ანგარიშზე** ასახვა მოხდება **აშშ დოლარში,** ხოლო MasterCard საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის **ბარათით** შესრულებული ოპერაციების შემთხვევაში - **ევროში.** ტრანზაქციის ვალუტასა და შესაბამისი საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის ანგარიშსწორების ვალუტას შორის კონვერტაციის კურსი განისაზღვრება საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის მიერ ტრანზაქციის დამუშავების დღეს არსებული სისტემის კურსით, რომელიც ხელმისაწვდომია შესაბამისი საგადამხდელო სისტემის ვებ-გვერდზე: VISA - https://bit.ly/2J92TPb, ხოლო MasterCard - https://bit.ly/3ozFTJt; ამასთან, VISA ბარათით ლარი, დოლარი, ევრო, ფუნტისგან განსხვავებულ ვალუტაში შესრულებულ ოპერაციას დაემატება ტრანზაქციის თანხის 1%

17.1.10. **ბანკომატში** პინ-კოდის 3-ჯერ არასწორად აკრეფისას, **ბარათი** იბლოკება. ბლოკის მოხსნა განხორციელდება **კლიენტის** ან/და **ბარათის** მფლობელის მომართვის საფუძველზე ან **ბანკის** მიერ **ბარათის** დაბლოკვიდან 24 საათის გასვლის შემდეგ.

17.1.11. **ბარათის** მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში **ბარათი** გაუქმდება.

17.1.12. **ბარათის** მოქმედების ვადაზე ადრე გაუქმების შემთხვევაში, გადახდილი ბარათ(ებ)ის დამზადების საკომისიო (ასეთის არსებობისას) **კლიენტს** არ უბრუნდება.

17.1.13. **კლიენტს** უფლება აქვს:

17.1.13.1. მოითხოვოს და მიიღოს **ამონაწერი** საბანკო ანგარიშიდან;

17.1.13.2. გაასაჩივროს **ბარათით** განხორციელებული **ოპერაცია,** თუ თვლის, რომ ადგილი ჰქონდა არაავტორიზირებულ ან არასწორად განხორციელებულ **ოპერაციას**. ამასთან, **კლიენტის** მიერ რაიმე **ოპერაციის** გასაჩივრება არ აღნიშნავს **ბანკის** უპირობო ვალდებულებას აუნაზღაუროს **კლიენტს** აღნიშნული **ოპერაციების** ჩატარების შედეგად მიყენებული ზარალი. **კლიენტის** მიერ ოპერაციების გასაჩივრების თითოეული შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად VISA Inc., MasterCard Europe საგადამხდელო სისტემების მიერ დადგენილი წესების და მოქმედი **კანონმდებლობის** გათვალისწინებით;

17.1.13.3. წერილობით შეატყობინოს **ბანკს ბარათის** ვადის გასვლის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს ახალი **ბარათის** დამზადება;

17.1.14. **ბანკს** უფლება აქვს:

17.1.14.1. აუცილებლობის შემთხვევაში, **ბარათის** მოქმედების ვადის განმავლობაში შეცვალოს ის ახალი **ბარათით;**

17.1.14.2. გაუგზავნოს **ბარათის მფლობელს** შეტყობინება **ბანკისათვის ბარათის** დაბრუნების მოთხოვნით ან/და დაბლოკოს თუ ოპერაციების ჩატარებისას წარმოიშვა საფუძვლიანი ეჭვი, რომ **ბარათი** გამოიყენება უკანონო ქმედებებისათვის;

17.1.14.3. შეაჩეროს/შეწყვიტოს **ბარათის** მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ **ბარათის მფლობელი** აღარ წარმოადგენს **კლიენტის** წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს ისეთი **ბარათ(ებ)ისთვის,** რომელიც გაიცემა მხოლოდ **კლიენტის** წარმოამდგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის სახელზე;

17.1.14.4. **ბარათის** დაკარგვის შემთხვევაში **კლიენტს** ანგარიშიდან ჩამოაწეროს ან დაბლოკოს, **ბარათის** დაკარგვიდან **ბანკში** შესაბამისი წერილობითი ან ზეპირი შეტყობინების მოსვლამდე პერიოდში, **ბარათით** ჩატარებული **ოპერაციების** ეკვივალენტი სახსრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

17.1.14.5. **კლიენტის** ან/და **ბარათის მფლობელის** მიერ **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის, აგრეთვე **კლიენტის** გადახდისუუნარობის შემთხვევაში შეაჩეროს ან შეწყვიტოს **ბარათის** მოქმედება და მიიღოს აუცილებელი ზომები **ბანკისადმი კლიენტის** დავალიანების ამოსაღებად;

17.1.14.6. შეაჩეროს **ბარათის** მოქმედება არაკანონიერი ოპერაციების ჩატარების აღმოჩენის, აგრეთვე, VISA Inc., MasterCard Europe ან/და სხვა შესაბამისი საგადამხდელო სისტემების მიერ **ბარათის** არაკანონიერი გამოყენების დამადასტურებელი ინფორმაციის მოწოდებისთანავე;

17.1.14.7. საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს **კლიენტს ბარათ(ებ)ის** გაცემასა და/ან აღდგენაზე;

17.1.14.8. **კლიენტის** მიერ **პირობებით** ან/და **ბანკთან** არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების უზრუნველსაყოფად ან აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში დაბლოკოს ნებისმიერი **ბარათი**/ანგარიში;

17.1.14.9. **კლიენტის ბანკში** არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი/გადასახადი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის და ანგარიშის მომსახურებისათვის **ბანკში** დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, საქართველოს **კანონმდებლობით** განსაზღვრული გადასახადები/გადასახდელები, შეცდომით ჩარიცხული თანხები, ზიანის / ზარალის ანაზღაურების თანხები, ოვერლიმიტი/გადახარჯული თანხები) და მიმართოს ისინი **ბანკის** ან/და მესამე პირების წინაშე არსებული ვალდებულებების დასაფარად / შესამცირებლად.

17.1.14.10. ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტზე** გაცემული ყველა **ბარათით,** მათ შორის **ბიზნეს ბარათით** ჩატარებული, აგრეთვე საგადამხდელო სისტემა VISA Inc.-ის და MasterCard Europe-ის გავლით ბანკებისა და ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ოპერაციების ეკვივალენტი სახსრები **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად გათვალისწინებულ საკომისიო მოსაკრებლებთან ერთად.

17.1.15. **კლიენტი** იღებს ვალდებულებებს:

17.1.15.1. **განაცხადის** ხელმოწერიდან 1 (ერთი) **საბანკო დღის** ვადაში ანგარიშ(ებ)ზე ჩარიცხოს თანხები ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით **ბარათის** ტიპისათვის **ბანკში** დადგენილი აუცილებელი შენატანის ოდენობით (ასეთის არსებობისას);

17.1.15.2. შეინახოს **ბარათის** გამოყენებით წარმოებულ **ოპერაციებზე** არსებული ყველა დოკუმენტი და წარუდგინოს იგი **ბანკს** სადავო საკითხების წარმოშობისას;

17.1.15.3. ყოველი კალენდარული თვის ბოლოს გაეცნოს **ბარათის** მეშვეობით განხორციელებულ ყველა **ოპერაციას** და საჭიროების შემთხვევაში **კანონმდებლობით** დადგენილ ვადაში წერილობით გააპროტესტოს ამ **ოპერაციების** შესახებ ინფორმაცია. ამ ვადაში **ბანკისათვის** პრეტენზიის წერილობით განუცხადებლობის შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია ითვლება დადასტურებულად და შემდგომ გაპროტესტებას აღარ ექვემდებარება;

17.1.15.4. **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, **ანგარიშისა** და **ბარათ(ებ)ის** მომსახურებისათვის **ბანკში** დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი, საჭიროების შემთხვევაში აანაზღაუროს **ბარათ(ებ)ის** დაკარგვასთან დაკავშირებული დანახარჯები;

17.1.15.5. გააცნოს **ბარათის მფლობელს** წინამდებარე **პირობები** და უზრუნველყოს მის მიერ **პირობებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება**;**

17.1.16. **ბარათის** მფლობელი ვალდებულია:

17.1.16.1. შეამოწმოს PIN კონვერტის მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია PIN-კოდი/**წვდომის კოდი;**

17.1.16.2. რეგულარულად გაეცნოს და დაიცვას **ბანკის** მიერ შემუშავებული **საბანკო ბარათის** ზოგადი პირობები და უსაფრთხოების წესები, რომელიც ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე www.libertybank.ge, აგრეთვე მკაცრად დაიცვას **წვდომის კოდების** კონფიდენციალურობა, რაც გულისხმობს, მაგრამ ამ შემოიფარგლება **ბარათის მფლობელის** ვალდებულებით არ შეინახოს **წვდომის კოდები** ისეთი ფორმით ან ისეთ მატერიალურ ან ელექტრონულ მატარებლებზე, რომელიც იძლევა მათი დისკრედიტაციის და გამჟღავნების საშუალებას;

17.1.16.3. არ გადასცეს **წვდომის კოდები** მესამე პირებს ან/და არ განახორციელოს **წვდომის კოდების** რაიმე სხვა ფორმით გამჟღავნება.

17.1.16.4. დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს** ისეთი ელექტრონული მოწყობილობის დაკარგვის და/ან **მესამე პირზე** გადაცემის შემთხვევაში, სადაც შენახულია **კლიენტის** საბარათე მონაცემები ან/და ადგილი აქვს **კლიენტის** ავთენტიფიკაციის მონაცემების კომპრომეტირებას.

17.1.16.5. შეინახოს **ბარათის** გამოყენებით წარმოებულ **ოპერაციებზე** არსებული ყველა დოკუმენტი და წარუდგინოს იგი **ბანკს** სადავო საკითხების წარმოშობისას;

17.1.16.6. ყოველი კალენდარული თვის ბოლოს გაეცნოს **ბარათის** მეშვეობით განხორციელებულ ყველა **ოპერაციას** და საჭიროების შემთხვევაში **კანონმდებლობით** დადგენილ ვადაში წერილობით გააპროტესტოს ამ **ოპერაციების** შესახებ ინფორმაცია. ამ ვადაში **ბანკისათვის** პრეტენზიის წერილობით განუცხადებლობის შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია ითვლება დადასტურებულად და შემდგომ გაპროტესტებას აღარ ექვემდებარება;

17.1.16.7. **ბარათის** დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს.** საინფორმაციო ცენტრში ზეპირი **განაცხადის** საფუძველზე **ბარათი** იბლოკება საქართველოს მასშტაბით. დამატებით სტოპ სიაში **ბარათის** განთავსებაზე **ბარათის მფლობელმა** უნდა მიმართოს **ბანკს** წერილობითი განცხადებით, რომელიც უნდა დამოწმდეს **კლიენტის** ან მისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკი** პასუხს არ აგებს იმ ფინანსურ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს **კლიენტს;**

17.1.16.8. დაკარგული **ბარათის** აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ის **ბანკს;**

17.1.16.9. ჩაატაროს **ბარათით** ოპერაციები მოცემული **პირობების** შესაბამისად;

17.1.16.10. დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს** თუ შეიტყობს ან გაუჩნდება ეჭვი **ბარათის,** მათ შორის **ბარათის** მონაცემების არაავტორიზებული გამოყენების თაობაზე.

17.1.16.11. **ანგარიშზე** რიცხული თანხები განკარგოს მხოლოდ **კლიენტის** საქმიანობასთან დაკავშირებული მიზნების შესაბამისად.

17.1.16.12. სწორად მიუთითოს დანიშნულება **ბანკის** შესაბამისი ფუნქციონალით აღჭურვილი **ბანკომატის** მეშვეობით ანგარიშზე თანხის შეტანის სერვისით სარგებლობის შემთხვევაში.

17.1.16.13. არ გამოიყენოს **ბარათი** უკანონო მიზნისთვის, მათ შორის იმ საქონლისა და მომსახურების შესაძენად, რომელიც აკრძალულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

17.1.16.14. დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს ბანკში** დაფიქსირებული მობილურის ნომრის დაკარგვის, მფლობელობის გაუქმების, გასხვისების, მესამე პირ(ებ)ის მიერ წვდომის მოპოვების, ან/და მობილური ტელეფონის ნომერთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს **ბანკის** მხრიდან მომსახურების უსაფრთხო მიწოდებაზე, მათ შორის **საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისის** მიწოდებაზე.

17.1.16.15. დაუბრუნოს **ბარათი ბანკს:**

a) **ბანკის მოთხოვნის საფუძველზე;**

b) **ბარათის** მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში;

c) **ბარათის** დაზიანების შემთხვევაში;

d) **ანგარიშის** გაუქმების შემთხვევაში.

e) **პირობებით** განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში.

17.1.17. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი:

17.1.17.1. **ბარათის** დაკარგვის შესახებ წერილობითი **განაცხადის** მიღებამდე და საერთაშორისო სტოპ სიაში მოთავსების მიზნით **კლიენტის** მიერ საკომისიოს გადახდამდე **ბარათით** განხორციელებულ უკანონო **ოპერაციაზე**;

17.1.17.2. **ბარათით** განხორციელებულ ნებისმიერ უკანონო **ოპერაციაზე**;

17.1.17.3. **ბარათით** განხორციელებულ ოპერაციებზე იმ შემთხვევაში, თუ **ბარათის მფლობელს** შეუჩერდა/შეუწყდა **კლიენტის** წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და აღნიშნულის შესახებ **კლიენტმა** არ შეატყობინა **ბანკს**.

17.1.17.4. ცრუ შეტყობინების შედეგად **ბარათის** ბლოკირებაზე;

17.1.17.5. **ბარათის** მოქმედების შეჩერებაზე;

17.1.17.6. დაგვიანებულ, არასწორ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ ოპერაციებზე, რომლებიც გამოწვეულია საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის ან ტექნიკური მიზეზების გამო;

17.1.17.7. **ბარათის** მეშვეობით ჩატარებული **ოპერაციის** კანონიერებაზე;

17.1.17.8. **ბარათის** მეშვეობით ჩატარებული **ოპერაციის კლიენტის** ანგარიშზე ფაქტობრივად ასახვის ვადებზე, თუ აღნიშნული **ოპერაცია** ჩატარდა პოს ტერმინალზე, რომელიც არ ეკუთვნის **ბანკს**. ამასთან, **ბარათის** მეშვეობით **ბანკის** კუთვნილ **პოს ტერმინალზე** ჩატარებული **ოპერაცია** აისახება **კლიენტის** ანგარიშზე ამგვარი **ოპერაციის** ჩატარების მომენტიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში;

17.1.17.9. იმ შესაძლო ზარალზე, რომელიც შეიძლება მიადგეს **კლიენტს ბარათის** მეშვეობით ჩატარებული **ოპერაციის** თარიღსა და აღნიშნული **ოპერაციის კლიენტის** ანგარიშზე ასახვის თარიღს შორის სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად.

17.1.17.10. **ბანკი** არ განიხილავს მიღებულ პრეტენზიებს, თუ **ბარათის** დაკარგვისას **ბარათის მფლობელის** მხრიდან დარღვეული იქნება **პირობებით** განსაზღვრული **ბანკის** ინფორმირების წესები;

17.1.18. **კლიენტი** პასუხისმგებელია:

17.1.18.1. **ბარათის** მეშვეობით ჩატარებულ ყველა არაკანონიერ **ოპერაციაზე;**

17.1.18.2. **ბარათით** სარგებლობის შედეგად **ბანკის** წინაშე წარმოშობილი ვალდებულებებისათვის;

17.1.18.3. დამდგარი ზიანისათვის, თუ **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო **ანგარიში**, **წვდომის კოდი** ან სხვა ინფორმაცია პლასტიკური **ბარათ(ებ)ისა** და **ბარათის მფლობელ(ებ)ის** შესახებ ცნობილი გახდა მესამე პირ(ებ)ისათვის;

17.1.18.4. ყველა **ოპერაციაზე**, რომელიც განხორციელდა **ანგარიშზე** მის დახურვამდე ან დახურვის შემდეგ;

17.1.18.5. **ბარათის** ან/და **წვდომის კოდის** გამოყენებით ჩატარებულ ნებისმიერი ტიპის **ოპერაციაზე;**

17.1.18.6. **ბანკის** შესაბამისი ფუნქციონალით აღჭურვილი **ბანკომატის** მეშვეობით ანგარიშზე თანხის შეტანის სერვისით სარგებლობისას მითითებული დანიშნულების სისწორეზე;

17.1.19. **კლიენტი** ვალდებულია აუნაზღაუროს **ბანკს** ზიანი, რომელიც წარმოიქმნება **ბარათის მფლობელის** მიერ წინამდებარე **პირობების** დარღვევის გამო;

17.1.20. **ბანკი** ვალდებულია **კლიენტს** აუნაზღაუროს არაავტორიზებული გადახდის **ოპერაციის** თანხა თუ **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** მიმართვა განხორციელდა არაავტორიზებული **ოპერაციის** შესრულებიდან 40 (ორმოცი) კალენდარული დღის ვადაში და **კლიენტის** ან/და **ბარათის მფლობელის** მხრიდან ადგილი არ ჰქონია **კანონმდებლობით,** ან წინამდებარე **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტს.

17.1.21. თუ **კლიენტის** ან/და **ბარათის მფლობელის** მხრიდან ადგილი არ ჰქონია კანონმდებლობით, ან წინამდებარე პირობებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტს და **ბარათის** უკანონო მითვისებით ან უკანონო გამოყენების შედეგად ტრანზაქცია განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე, **კლიენტი** პასუხისმგებელია აღნიშნული არაავტორიზებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის არაუმეტეს 100 (ასი) ლარისა.

17.2. ***ბიზნეს ბარათი***

17.2.1. **ბიზნეს ბარათი** წარმოადგენს **ბანკის** მიერ ემიტირებულ საერთაშორისო ტიპის ბარათს, რომელიც მიბმულია **კლიენტის** საბარათე ანგარიშზე და რომლის მფლობელსაც შესაძლებლობა აქვს განკარგოს **კლიენტის** საბარათე ანგარიშ(ებ)ი.

17.2.2. **ბიზნეს ბარათი** შეიძლება გაიცეს **კლიენტის** მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ ფიზიკურ პირზე.

17.2.3. **ბიზნეს ბარათი** მიბმულია **კლიენტის** მონოვალუტურ საბარათე ანგარიშზე, რომელზეც აისახება **ბარათით** ან მისი რეკვიზიტების გამოყენებით ჩატარებული ოპერაციები.

17.2.4. **კლიენტი** უფლებამოსილია ფლობდეს რამდენიმე ბიზნეს ბარათს. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **კლიენტს** უფლება აქვს ერთ საბარათე ანგარიშზე მიაბას შეუზღუდავი რაოდენობის ბიზნეს ბარათი.

17.2.5. **კლიენტს** საშუალება აქვს **ბანკის** მიერ შეთავაზებული ბიზნეს ბარათის სახეობებიდან აირჩიოს მისთვის სასურველი სახეობა, ამასთან **ბანკი** უფლებამოსილია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განუცხადოს **კლიენტს** ბიზნეს ბარათის კონკრეტული სახეობით სარგებლობაზე ან/და დააწესოს სხვა ტიპის შეზღუდვები საკუთარი შეხედულებისამებრ.

17.2.6. **ბიზნეს ბარათზე** დასაშვები ოპერაციები და ლიმიტები განისაზღვრება **პირობების დანართი №1 – მომსახურების ტარიფები და პირობების** შესაბამისად.

17.2.7. **ბიზნეს ბარათზე თანხის არასანქცირებული გადახარჯვის** (ოვერლიმიტი) წარმოშობის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია **ანგარიშზე** განახორციელოს **თანხის არასანქცირებული გადახარჯვის** საჯარიმო პროცენტის დარიცხვა **ბანკის** მიერ განსაზღვრული ოდენობით. ანგარიშზე **თანხის არასანქცირებული გადახარჯვის** (ოვერლიმიტი) წარმოშობისას **ბანკი** უფლებამოსილია ავტომატურად დაბლოკოს ანგარიშზე მიბმული ყველა ბიზნეს ბარათი.

17.2.8. **ბიზნეს ბარათის** ანგარიში იხურება **კლიენტის** წერილობითი განაცხადის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული **ბიზნეს ბარათის** ანგარიშზე არ ირიცხება ბანკისადმი რაიმე სახის დავალიანება.

17.2.9. **ბიზნეს ბარათის** ანგარიში ჩაითვლება დახურულად და **კლიენტს** დაუბრუნდება თანხები, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება ბანკის მიმართ არსებული ყველა დავალიანების დაფარვა.

17.2.10. იმ შემთხვევაში, თუ ერთ საბარათე ანგარიშზე მიბმულია რამოდენიმე **ბიზნეს ბარათი, კლიენტი** უფლებამოსილია გააუქმოს ერთი ან რამოდენიმე (არა ყველა) **ბარათი** ისე, რომ არ დაიხუროს საბარათე ანგარიში და მასზე მიბმული სხვა **ბარათ(ებ)ი** დარჩეს აქტიურ(ებ)ი.

17.3. ***საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი***

17.3.1. **საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოება** წარმოადგენს **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** და **ბარათის მფლობელისთვის** შეთავაზებულ დაცვის დამატებით საშუალებას, რომლის მიზანია უზრუნველყოს VISA ან MasterCard საერთაშორისო საგადამხდელო სისტემაში ჩართული **ბარათით** ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების უსაფრთხოდ შესრულება Verified by Visa და MasterCard SecureCode სერვისის სახით.

17.3.2. **ბარათის 3D უსაფრთხოების** გააქტიურება შესაძლებელია განხორციელდეს **ბანკის** მიერ თავისი ინიციატივით წინამდებარე **პირობების** და **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია უსაფრთხოების შეხედულებებიდან გამომდინარე **3D უსაფრთხოების** ჩართვა განახორციელოს მათ შორის უშუალოდ ინტერნეტ-ტრანზაქციის განხორციელების დროს.

17.3.3. **ბარათით** ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებისას **3D უსაფრთხოების** ერთჯერადი სმს ვერიფიკაციის კოდი გაიგზავნება **ბანკში ბარათის მფლობელზე** დარეგისტირებულ ნომერზე.

17.3.4. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ იმ შემთხვევაში თუ **ბანკში** მითითებული საკონტაქტო მონაცემები არასრულია ან/და არასწორია,იგი ვერ შეძლებს **ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისით** სარგებლობას.

17.3.5. **3D უსაფრთხოების** გამოყენებით ინტერნეტით ტრანზაქციების (საქონლის ან/და მომსახურების შეძენა) განსახორციელებლად აუცილებელია **ბარათის მფლობელი** დარწმუნდეს მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) ვებ-გვერდის ნამდვილობაში, რა მიზნითაც აუცილებელია მინიმუმ შემდეგი პირობების არსებობა: (ა) მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) ვებ-გვერდზე განთავსებული უნდა იყოს ბანკის და „Verified by VISA" ან „MasterCard SecureCode"-ის ლოგო; (ბ) მომთხოვნ ვებ–გვერდს უნდა გააჩნდეს უსაფრთხოების სერტიფიკატები.

17.3.6. ტრანზაქციების განსახორციელებლად **ბარათის მფლობელის** მიერ გამოსაყენებელი ვერიფიკაციის ერთჯერადი სმს კოდი დინამიურია და იგზავნება მომენტალურად **საბანკო ბარათით** ინტერნეტით ტრანზაქციების (საქონლის ან/და მომსახურების შეძენა) განხორციელების დროს.

17.3.7. **ბარათის მფლობელი** პასუხისმგებელია ვერიფიკაციის ერთჯერადი სმს კოდის ან/და ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებისას გამოყენებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფაზე, შესაბამისად **ბანკი** ან/და VISA / MasterCard-ის საერთაშორისო საგადამხდელო სისტემები არ არიან პასუხისმგებელნი აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად წარმოშობილ ნებისმიერ ზიანზე ან/და ზარალზე.

17.3.8. **ბანკს** არ გააჩნია კონტროლის საშუალება მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) მიერ შეთავაზებულ მომსახურებაზე, აქედან გამომდინარე **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) მიერ განხორციელებული მომსახურების შედეგად წარმოშობილ უზუსტობებზე, **კლიენტისთვის, ბარათის მფლობელისთვის** ან/და მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე/ზარალზე, აგრეთვე მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის სისწორეზე, ცვლილებებზე ან/და მომსახურების შედეგად წარმოშობილ სხვა ხარვეზებზე.

17.3.9. **3D უსაფრთხოების სერვისით** სარგებლობისას **ბარათის მფლობელი** ან/და **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა დავალებაზე, რომელსაც იგი გასცემს **ბანკზე** სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ.

17.3.10. **ბანკი** ყველა ზომას მიმართავს იმისთვის, რომ **კლიენტი** და **ბარათის მფლობელი** უზრუნველყოს **3D უსაფრთხოების სერვისით,** მაგრამ **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა აღნიშნული მომსახურებით უზრუნველყოფა **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო (მათ შორის და არამარტო, ადგილი აქვს **ბანკის** სისტემის ან **3D უსაფრთხოების სერვისის** შეფერხებას სისტემის განახლების ან/და გაუმჯობესების მიზეზით, **3D უსაფრთხოების სერვისი** შესაძლებელია არ იყოს ხელმისაწვდომი უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი მერჩანტების ვებ-გვერდებზე).

17.3.11. **ბანკის** მხრიდან არ ჩაითვლება **ხელშეკრულების** დარღვევად და იგი არ იქნება ვალდებული დამდგარ შედეგზე, როდესაც:

17.3.11.1. **3D უსაფრთხოების სერვისით** (ან მისი ნაწილით) მომსახურება შეუძლებელია **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო;

17.3.11.2. ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებისას გაუმართავია სატელეკომუნიკაციო საშუალებები;

17.3.11.3. **ბარათის მფლობელის** ტექნიკურ საშუალებებს გააჩნია პროგრამული ვირუსი;

17.3.11.4. **კლიენტის** ან/და **ბარათის მფლობელის** უსაფრთხოების დეტალები (კერძოდ, ერთჯერადი სმს ვერიფიკაციის კოდი) არაავტორიზებულად იქნა გამოყენებული;

17.3.11.5. **ბანკს** არ მიუღია **ბარათის მფლობელის** მიერ გაგზავნილი დავალება(ები).

17.3.11.6. **ბარათის მფლობელმა** შეიცვალა **ბანკში** დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომერი და აღნიშნულის თაობაზე არ შეუტყობინებია ბანკისთვის.

## 18. დისტანციური საბანკო მომსახურება

18.1. ***ინტერნეტ ბანკი.***

18.1.1. **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში, **კლიენტი** უფლებამოსილია შესაბამისი **განაცხადით** მიმართოს **ბანკს** და **ბანკის** მიერ ავტორიზებისას**,** ისარგებლოს **ინტერნეტ ბანკით** მომსახურებით.

18.1.2. **კლიენტი** უფლებამოსილია განსაზღვროს ერთი ან მეტი **უფლებამოსილი პირი**, რომელთაც შესაძლოა დაურეგისტრირდეთ **ინტერნეტ ბანკის მომხმარებელი** შესაბამისი **განაცხადის** საფუძველზე. **უფლებამოსილი პირის** მიერ **ინტერნეტ ბანკის** გამოყენებით დავალების გაგზავნისას, იგულისხმება, რომ **ბანკისათვის** დავალება გაგზავნილია **კლიენტის** მიერ.

18.1.3. **კლიენტი ინტერნეტ ბანკით** მომსახურების საშუალებით უფლებამოსილია: (1) მისცეს **ბანკს** ელექტრონული **დავალება** შემდეგი **ოპერაციების** შესრულებაზე: (ა) **კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან** ფულადი სახსრების გადარიცხვა **ბანკის** მიერ დაწესებული ლიმიტის ფარგლებში; (ბ) იმ ინფორმაციის მიღება, რომელსაც **ბანკი** ჩვეულებრივი წესით გასცემს **კლიენტზე ანგარიშ(ებ)ის** შესახებ; (გ) ვალუტის **კონვერტაცია;** დ) კომუნალური გადახდების შესრულება; ე) **ინტერნეტ ბანკის მომხმარებლის** დამატება და უფლებამოსილებების განსაზღვრა ან/და (2) განახორციელოს **ბანკის** მიერ ამ არხისთვის ნებადართული სხვა ქმედება.

18.1.4. **ბანკი** უფლებამოსილია, დაამატოს **ინტერნეტ ბანკის მომხმარებელი**, **კლიენტის** მიერ **პირობებით** განსაზღვრული ან/და **მხარეთა** შორის შემდგომში შეთანხმებული კომუნიკაციის საშუალებით მოწოდებული დოკუმენტის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, თუ იგი (დოკუმენტი) აკმაყოფილებს **ბანკის** მიერ, მისი (ბანკის) შეხედულებისამებრ საჭირო სტანდარტებს და სრულად მოიცავს **ინტერნეტ ბანკის მომხმარებლის** დამატებისათვის საჭირო სრულ ინფორმაციას. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნული დებულება არ ავალდებულებს **ბანკს** განახორციელოს **ინტერნეტ ბანკის მომხმარებლის** დამატება აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე.

18.1.5. **ბანკი** უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ უარი განაცხადოს **ინტერნეტ ბანკის მომხმარებლის** რეგისტრაციაზე/დამატებაზე.

18.1.6. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ინტერნეტ ბანკის მომხმარებლის** დამატება უთანაბრდება მისთვის **კლიენტის** წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებას. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი მიზეზით შეიზღუდა/გაუქმდა **უფლებამოსილი პირის** წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები, **კლიენტი** ვალდებულია გააუქმოს **ინტერნეტ ბანკის მომხმარებელი** ან/და შეცვალოს შესაბამისი **როლი.** ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **უფლებამოსილ პირს** შესაძლებლობა ექნება **კლიენტის** სახელით განახორციელოს **ინტერნეტ ბანკის მომხმარებლის** შესაბამისი **როლისთვის** მინიჭებული უფლებამოსილებები, ვიდრე **კლიენტი, ბანკის** მიერ დადგენილი წესით, არ მიმართავს **ბანკს** **ინტერნეტ ბანკის მომხმარებლის** გაუქმების ან უფლებამოსილების ფარგლების ცვლილების მოთხოვნით.

18.1.7. **ბანკი** ასევე უფლებამოსილია **ინტერნეტ ბანკის** საშუალებით **კლიენტს** დროდადრო შესთავაზოს სხვა დამატებითი მომსახურებები, რომელთა **კლიენტის** მიერ გამოყენება ავტომატურად გულისხმობს აღნიშნული მომსახურებ(ებ)ით სარგებლობაზე თანხმობას.

18.1.8. **მხარეები** იცნობენ და ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ **ინტერნეტ ბანკის** საშუალებით შესრულებულ **ოპერაციებს** აქვთ ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული და ხელმოწერილი) ქაღალდზე დაბეჭდილი საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.

18.1.9. **ინტერნეტ ბანკით** მომსახურებით სარგებლობისთვის **კლიენტს განაცხადის** საფუძველზე გადაეცემა **ინტერნეტ ბანკით** სარგებლობისთვის საჭირო საიდენტიფიკაციო მონაცემები ან/და ელექტრონული საშუალებები ან/და მოწყობილობები, რომელთა გამოყენებითაც ხდება **კლიენტის/უფლებამოსილი პირის** იდენტიფიკაცია. **კლიენტი** ვალდებულია ასეთი მოწყობილობების თუ საშუალებების გამართულობა შეამოწმოს მათი მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში.

18.1.10. **განაცხადით**, რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების დანართს**, განისაზღვრება: (ა) **კლიენტის** ანგარიშ(ებ)ის ნომერი ან/და პროდუქტები, რომელზეც **კლიენტს** გააჩნია **ინტერნეტ ბანკით** სარგებლობის უფლება; (ბ) **კლიენტის** იმ უფლებამოსილი წარმომადგენლის საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომელსაც აღნიშნულ **ანგარიშ(ებ)ზე** გააჩნია **ინტერნეტ ბანკით** სარგებლობის უფლება; (გ) საკონტაქტო მონაცემები ან/და მოწყობილობა/ები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლოა განხორციელდეს **ინტერნეტ ბანკის** წვდომის **კოდების** მიწოდება, დ) **ინტერნეტ ბანკის** მომხმარებლის/**უფლებამოსილი პირის** ავტორიზაციის დონეები, როლები, ლიმიტები და **კლიენტის / როლის** უფლება-მოვალეობები ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა მახასიათებელი.

18.1.11. ნებისმიერი ტექნიკური საშუალება, რომელსაც **ბანკი** გადასცემს **კლიენტს** ან/და **უფლებამოსილ პირს,** წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას და **კლიენტის** მიერ გამოყენებული უნდა იქნას წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.

18.1.12. **ბანკი** უფლებამოსილია შექმნას დამატებითი მექანიზმები და წესები **კლიენტის** ან/და **უფლებამოსილი პირის** საიდენტიფიკაციოდ და მისი უსაფრთხოებისთვის, რა მიზნითაც შეუძლია **კლიენტის** აქტიურ **ოპერაციებზე** ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები.

18.1.13. მიმდინარე **საბანკო დღის** დამთავრების შემდეგ **კლიენტისგან ინტერნეტ ბანკით** გაგზავნილ **დავალებას ბანკი** შესასრულებლად მიიღებს მომდევნო **საბანკო დღეს** და შეასრულებს **ბანკში** დადგენილი წესით. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია, მაგრამ არ არის ვალდებული შეამოწმოს მიღებული **დავალების** ნამდვილობა.

18.1.14. **ბანკი** უფლებამოსილია არ შეასრულოს **კლიენტისაგან ინტერნეტ ბანკით** გაგზავნილი **დავალება** თუ **კლიენტის** ან/და **უფლებამოსილი პირის** მიერ არასრულად ან/და არასწორად არის შევსებული **დავალების** რეკვიზიტები/ველები. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნული პირობა არ ავალდებულებს **ბანკს** შეამოწმოს დავალების სისწორე;

18.1.15. **კლიენტის** მიერ **ინტერნეტ ბანკის** 6 (ექვსი) თვეზე მეტი ვადით გამოუყენებლობისას **ბანკი** უფლებამოსილია გააუქმოს **კლიენტს ავტორიზაცია** ან/და გააუქმოს **კლიენტის** შესაბამისი **ინტერნეტ ბანკის მომხმარებელი. კლიენტი** უფლებამოსილია შესაბამისი ტარიფის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის სანაცვლოდ მოითხოვოს აღნიშნული სერვისის გააქტიურება.

18.1.16. **ბანკის** თანხმობის არსებობის შემთხვევაში **კლიენტის** მიერ **პირობებით** განსაზღვრული ტარიფებისგან განსხვავებული კურსით ვალუტის კონვერტაციისას **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში დაადასტუროს **ოპერაცია.** აღნიშნულ ვადაში **ბანკის** მიერ დასტურის მიუღებლობის შემთხვევაში კონვერტაცია არ განხორციელდება.

18.2. ***SMS ბანკი და მობაილ ბანკი.***

18.2.1. **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში, **კლიენტი** უფლებამოსილია შესაბამისი **განაცხადით** მიმართოს **ბანკს** და **ბანკის** მიერ **ავტორიზებისას,** ისარგებლოს **SMS ბანკის** ან **მობაილ ბანკის მომსახურებით. კლიენტი** ასევე უფლებამოსილია ისარგებლოს **ბანკის** მიერ დადგენილი სხვა საბანკო პროდუქტებით.

18.2.2. **ბანკი კლიენტის** მიერ **განაცხადში** დაფიქსირებულ **მობილური ტელეფონის** ნომერზე **SMS** მეშვეობით აცნობებს **კლიენტს** ინფორმაციას მის მიერ განხორციელებული ოპერაციის შესახებ. აღნიშნული შეტყობინება განხორციელდება **ბანკში** დადგენილი ფორმით **ოპერაციის** შესრულებისთანავე;

18.2.3. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ **განაცხადში** დაფიქსირებული ნომრის შეცვლის, გასხვისების, **მობილური ტელეფონის** ან სიმ-ბარათის დაკარგვის, სხვისთვის გადაცემის და ნებისმიერი მსგავსი ვითარების შედეგად **კონფიდენციალური ინფორმაციის** გამჟღავნებით გამოწვეულ შედეგებზე.

18.3. ***სხვა დისტანციური არხები*. მხარეები** თანხმდებიან, რომ **პირობებით** განსაზღვრული დისტანციური არხების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და **კლიენტი**, **ბანკისათვის** წარდგენილი შესაბამისი **განაცხადის** საფუძველზე, უფლებამოსილია ისარგებლოს **ბანკის** მიერ შეთავაზებული სხვა დამატებითი პროდუქტებით (მომსახურებით).

18.4. ***უსაფრთხოების პირობები დისტანციური საბანკო მოსახურებისას***

18.4.1. **დისტანციური საბანკო მომსახურების** წვდომის პროცედურებს და წესებს ადგენს **ბანკი.**

18.4.2. **დისტანციური საბანკო მომსახურებით** სარგებლობისას **კლიენტის** იდენტიფიცირება არ ხდება ხელმოწერით ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. **დისტანციური საბანკო მომსახურებისას კლიენტის** იდენტიფიცირება ხდება მის მიერ აუთენტირების დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ, რომელიც **კლიენტს** საშუალებას აძლევს მისი (**კლიენტის**) ნამდვილობის დადგენის შემთხვევაში ისარგებლოს **დისტანციური საბანკო მომსახურებით.** ნებისმიერი ქმედება, რომელიც შესრულებულია მას შემდეგ, რაც მოხდა მომხმარებლის შესვლა/იდენტიფიცირება **ბანკის** მიერ

დადგენილი ნამდვილობის დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ, ითვლება სათანადოდ შესრულებულად **კლიენტის** მიერ და შესაბამისი სამართლებრივი ძალის მქონედ.

18.4.3. **ინტერნეტ ბანკით/მობაილ ბანკით** სარგებლობის უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით **კლიენტი** და **კლიენტის** შესაბამისი **უფლებამოსილი პირი** ვალდებულია:

18.4.3.1. უსაფრთხოდ შეინახოს **ინტერნეტ/მობაილ ბანკით** სარგებლობისთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია, მოწყობილობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და წვდომის **კოდები. კლიენტს** და შესაბამის **უფლებამოსილ პირს** ეკრძალება აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება ნებისმიერი **მესამე პირისათვის**. **კლიენტი** და შესაბამისი **უფლებამოსილი პირი** ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ **ბანკს** თუ შეიტყობენ ან ეჭვი გაუჩნდებათ **დისტანციური საბანკო მომსახურების** არაავტორიზებული გამოყენების შესახებ;

18.4.3.2. **ინტერნეტ/მობაილ ბანკში** პირველივე შესვლისას შეცვალოს წვდომის **კოდი** და შემდგომში პერიოდულად ცვალოს იგი უსაფრთხოების დაცვის მიზნით და დაიცვას მისი (წვდომის **კოდის**) კონფიდენციალურობა;

18.4.3.3. წვდომის **კოდის** და მოწყობილობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკარგვის ან/და გამჟღავნების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ **ბანკს,** რის საფუძველზეც **ბანკი** უფლებამოსილია მოახდინოს **კლიენტის ანგარიშზე ინტერნეტ/მობაილ ბანკის** მომსახურების შეჩერება;

18.4.3.4. **ინტერნეტ ბანკის** ვებ-გვერდზე შესვლისას არ დატოვოს ტერმინალი ან სხვა მოწყობილობა, რომლიდანაც იგი შევიდა მითითებულ ვებ-გვერდზე ჩართული და არ დაუშვას **მესამე პირის** მიერ აღნიშნული ვებ-გვერდით ან ტერმინალითა თუ შესაბამისი მოწყობილობით სარგებლობა, სანამ **კლიენტი** არ გავა ამ ვებ-გვერდიდან შესაბამისი უსაფრთხოების ზომების დაცვით. **კლიენტი** ვალდებულია დარწმუნდეს, რომ იგი გამოვიდა ხსენებული ვებ-გვერდიდან და **მესამე პირის** მიერ შეუძლებელია მისი გამოყენება;

18.4.3.5. დროულად შეატყობინოს **ბანკს** მისამართის შეცვლის შესახებ და/ან იმის შესახებ, თუ მისი აზრით ამონაწერში დაშვებულია შეცდომა ან განხორციელებულია არაავტორიზირებული **ოპერაცია. კლიენტი** ასევე ვალდებულია ყურადღებით შეამოწმოს **ოპერაციების** ჩანაწერები და **ანგარიშ(ებ)ის** ამონაწერები. იგი ვალდებულია რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს.**

18.4.4. **კლიენტის** მიერ **ინტერნეტ/მობაილ ბანკით** ან/და სხვა **დისტანციური საბანკო მომსახურებით** სარგებლობისას **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი:

18.4.4.1. ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გამოწვეულია ტექნიკური დეფექტით, ელექტრონული გადაცემის ხარვეზით, **ბანკის** ელექტრონულ სისტემებში, და სხვა ელექტრონულ საშუალებებში უკანონო შეღწევის გზით;

18.4.4.2. ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე, რომელიც გამოწვეული იქნა სერვისში შეფერხებით ან/და სერვისის გადატვირთვით, რომელიც გავლენას ახდენს ელექტრონული სისტემების ფუნქციონირებაზე;

18.4.4.3. შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია **კლიენტის** ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, **მობილური ტელეფონის**, ქსელის ან პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით, ასევე აღნიშნული საშუალებების გამოყენებით **მესამე პირის** მიერ **კონფიდენციალური ინფორმაციის** მიღებით ან განხორციელებული **ოპერაციებით;**

18.4.4.4. თუ: (ა) **ბანკს** არ მიუღია **კლიენტის** ან/და **უფლებამოსილი პირის** მიერ გაგზავნილი **დავალებ(ებ)ი;** (ბ) **კლიენტმა** ან/და **უფლებამოსილმა პირმა ბანკს** მიაწოდა არასწორი ან არასრული ინფორმაცია; (გ) **კლიენტსა** და **ბანკს** შორის ინტერნეტით კავშირში ჩაერთო **მესამე პირი**;

18.4.4.5. ზარალზე ან ზიანზე, რომელიც მიადგა **კლიენტის** ან/და **უფლებამოსილი პირის** მონაცემებს, პროგრამულ უზურნველყოფას, კომპიუტერს, ტელეკომუნიკაციებს ან სხვა მოწყობილობებს;

18.4.4.6. ნებისმიერი სახის ელექტრონულ ვირუსზე ან ვირუსებზე, რომელიც შეიძლება აღმოაჩნდეს **კლიენტის** ან/და **უფლებამოსილი პირის** მოწყობილობებს;

18.4.5. **კლიენტი** აცნობიერებს რისკს, რომ **ინტერნეტ/მობაილ ბანკით** სარგებლობა დაკავშირებულია ელექტრონული სახით ინფორმაციის გაცვლასთან და აქედან გამომდინარე პასუხისმგებელია ნებისმიერი **მესამე პირის** მიერ **ინტერნეტ/მობაილ ბანკში** უკანონო შეღწევით გამოწვეულ ზიანზე.

18.4.6. **ბანკი** არ აგებს პასუხს ნებისმიერ დანაკარგზე ან ზიანზე, რომელიც გამოწვეულია, **კლიენტის/უფლებამოსილი პირის განაცხადის** საფუძველზე (მათ შორის, **ინტერნეტ ბანკის** საშუალებით) რეგისტრირებული/დამატებული **ინტერნეტ ბანკის მომხმარებლის** გამოყენებით.

18.4.7. **ბანკი** არ აგებს პასუხს მობილურ სატელეფონო მომსახურებაზე და **კლიენტისთვის** ამგვარი მომსახურების მიწოდებაზე პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ მობილური სატელეფონო მომსახურების მომწოდებელი. ასევე **კლიენტსა** და აღნიშნულ მობილური სატელეფონო მომსახურების მომწოდებელს შორის წარმოშობილ სადაო სიტუაციაზე.

18.4.8. **ბანკი** იტოვებს უფლებას, პერიოდულად განახორციელოს ცვლილებები, გააუმჯობესოს ან/და შეცვალოს **დისტანციური საბანკო მომსახურება.**

18.4.9. **ბანკი** იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, **კლიენტის** ინტერესების დაცვის მიზნით, შეაჩეროს ან შეწყვიტოს **ინტერნეტ ბანკით** მომსახურება **კლიენტისათვის** წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე, თუ **ბანკს** აქვს ეჭვი რომ ირღვევა უსაფრთხოების ნორმები ან **ინტერნეტბანკით** მომსახურების შეჩერება/შეწყვეტა მიზანშეწონილია სხვა მიზეზების გამო.

## 19. სავალუტო გარიგებით მომსახურება

19.1. ***<u>სავალუტო გარიგების განხორციელების პირობები:</u>***

19.1.1. სავალუტო გარიგების განხორციელების მიზნებისთვის **ბანკი კლიენტთან** ურთიერთობაში შესაძლებელია მოქმედებდეს როგორც პრინციპალი მოვაჭრის ან აგენტი მოვაჭრის სტატუსით.

19.1.2. **კლიენტი** აცნობიერებს და ეთანხმება, რომ სავალუტო გარიგების დადების დროს **ბანკი** არ მოქმედებს როგორც **კლიენტის** ფიდუციარი ან მრჩეველი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი სახის ურთიერთობა წინასწარ არის შეთანხმებული **მხარეთა** შორის წერილობით.

19.1.3. **კლიენტს** უფლება აქვს სავაჭრო მოთხოვნა/დავალება განათავსოს **ბანკის** მიერ დადგენილი ფორმით და **ბანკის** მიერ განსაზღვრული დისტანციური და ფიზიკური არხების საშუალებით. **ბანკი** არ არის ვალდებული მიიღოს ან იმოქმედოს **კლიენტის** მიერ ნებისმიერი ფორმით (მათ შორის ელექტრონული ან/და ზეპირი) გაცემული დავალების შესაბამისად. **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, სრულად ან ნაწილობრივ უარი განაცხადოს კლიენტისგან მიღებული **დავალების** შესრულებაზე.

19.1.4. იმ შემთხვევაში, როდესაც **კლიენტის დავალების** მიღება ხორციელდება ელექტრონული საშუალების მეშვეობით, მათ შორის Bloomberg-ის ელექტრონული პლატფორმის საშუალებით, **ბანკი** იხელმძღვანელებს წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული ან/და **კლიენტთან** სხვა სახით შეთანხმებული პროცედურების გათვალისწინებით.

19.1.5. წინარე ჰეჯირების შემთხვევაში, **ბანკი** აღნიშნულის შესახებ შეატყობინებს **კლიენტს. ბანკი კლიენტს** აუხსნის ყველა იმ რისკს, რომელიც ამ ქმედებასთან არის დაკავშირებული. წინარე ჰეჯირება უნდა განხორციელდეს იმ განზრახვით, რომ არ გაუარესდეს **კლიენტის** მდგომარეობა. წინარე ჰეჯირებისას მიღებული ნებისმიერი მატერიალური სარგებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სრულად უნდა გაუმჟღავნდეს **კლიენტს. კლიენტი** აცნობიერებს, რომ წინარე ჰეჯირებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს იმ ფასზე რომელიც **ბანკს** შეუძლია რომ შესთავაზოს **კლიენტს** გარიგებისთვის, ასევე, მათ შორის, დავალების შესასრულებლად არსებულ ლიკვიდობაზე.

19.1.6. **კლიენტისგან** მიღებულ **დავალებებს, ბანკი** აღასრულებს სამართლიანად და გონივრულად, ბაზარზე მოქმედი გარემოებების გათვალისწინებით. **ბანკის** შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად, შესაძლებელია **ბანკმა** მიიღოს გადაწყვეტილება დავალების ნაწილობრივ შესრულებაზე.

19.1.7. იმ შემთხვევაში თუ განთავსებულია რამდენიმე იდენტური დავალება იმავე პროდუქტზე ან/და იმავე ვალუტის წყვილზე, **კლიენტის** პრიორიტეტიზირება განხორციელდება დავალების განთავსების დროის შესაბამისად (first come first served პრინციპის გათვალისწინებით).

19.1.8. თუ **კლიენტი** დაინტერესებულია სავალუტო გარიგების განხორციელებით:

19.1.8.1. არაუგვიანეს გარიგების დადების დღის 17:30 საათამდე, ვალდებულია წარუდგინოს **ბანკს დავალება** სავალუტო გარიგების განაცხადის სახით;

19.1.8.2. **ბანკი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **კლიენტს,** რა შემთხვევაშიც **კლიენტი** ვალდებულია, არაუგვიანეს გარიგების დადების წინა დღის 17:00 სთ-ისა **ბანკში** არსებულ **ანგარიშზე** განათავსოს სავალუტო გარიგების **დავალებაში** მითითებული ოდენობით შეძენისა და საკომისიო მოსაკრებლის გადახდისათვის საკმარისი ფულადი სახსრები (ნაშთი);

19.1.9. **ბანკი** უფლებამოსილია, გააუქმოს **კლიენტის დავალება/განაცხადი** იმ შემთხვევაში, თუ გარიგების დღის 11:00 სთ-მდე **კლიენტი** არ უზრუნველყოფს **დავალების/განაცხადის** შესასრულებელ და საკომისიო თანხის დაფარვისათვის საკმარისი ფულადი ნაშთის **ბანკში** არსებულ **ანგარიშზე** განთავსებას;

19.1.10. **კლიენტი** თავად არის ვალდებული უზრუნველყოს სავალუტო გარიგების **დავალების/განაცხადის** სწორად შევსება. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, მიუთითოს **კლიენტს დავალებაში/განაცხადში** არსებული ხარვეზების ან/და უზუსტობების შესახებ. ნებისმიერ ზიანზე ან ზარალზე პასუხისმგებლობა, რომელიც გამოწვეული იქნა არასრულყოფილი ან/და არაზუსტი **დავალების/განაცხადის** წარდგენის შედეგად, ეკისრება თავად **კლიენტს.**

19.1.11. **ბანკის** მიერ ჩამოჭრილი/დაბლოკილი თანხები იმ **დავალებებთან/განაცხადებთან** მიმართებაში, რომელიც არ შესრულდება, **კლიენტის ანგარიშზე** ჩაირიცხება არაუგვიანეს მომდევნო **საბანკო დღისა.**

19.1.12. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის ანგარიშიდან** განახორციელოს სავალუტო გარიგების დასადებად საკმარისი ფულადი სახსრების და **ბანკის** კუთვნილი საკომისიოს ბლოკირება, უაქცეპტო ჩამოჭრა, **ბანკის** შიდა ანგარიშზე გადატანა და შესაბამისი მიზნობრიობით გადარიცხვა და შესაბამისად სავალუტო გარიგების შედეგად შეძენილი თანხის **კლიენტის ანგარიშზე** ჩარიცხვა.

19.1.13. **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიცემული სავალუტო გარიგების **დავალების/განაცხადის** გაუქმება შესაძლებელია **ბანკის** მიერ განსაზღვრული დისტანციური და ფიზიკური არხების გამოყენებით. **დავალების/განაცხადის** გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დავალება არ არის ჯერ შესრულებული და მხოლოდ **ბანკის** მიერ თანხმობის შემთხვევაში.

19.1.14. აგენტის როლში **კლიენტთან** ურთიერთობისას, **დავალების/განაცხადის** მიცემის (order) ან გარიგების პირობების შეთავაზების (request for quote) მოთხოვნის გაგზავნის მომენტსა და იმ პერიოდს შორის, როდესაც მიღება დადასტურდება **ბანკის** მიერ, **კლიენტი** არის იმ რისკის წინაშე, რომ მისი შეკვეთის ან ვაჭრობის მოთხოვნა შესაძლოა მთლიანად არ შეივსოს (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც თუ ბაზარზე ცვლილება მოხდა კლიენტის სასარგებლოდ), ან შეიძლება შევსებული იყოს ნაკლებად ხელსაყრელ დონეზე, რადგან დროის ამ შუალედში შეიცვალა ბაზარზე არსებული მდგომარეობა.

19.2. *<u>ვაჭრობა ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის გამოყენებით</u>*

19.2.1. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** ჩართულია Bloomberg-ის ელექტრონულ სავაჭრო სისტემაში, მას (**კლიენტს**) შესაძლებლობა აქვს სავალუტო გარიგება დადოს ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის საშუალებით.

19.2.2. გარიგებების დადების მიზნით **კლიენტი** ვალდებულია სავაჭრო სისტემაში **ბანკს** მიანიჭოს კონტრაჰენტის სტატუსი.

19.2.3. სავაჭრო სისტემის მეშვეობით გარიგებების დადება შესაძლებელია ყოველ საბანკო დღეს და მათი დადების დრო არ იზღუდება.

19.2.4. გარიგების დადების დღეს სავაჭრო სისტემის მეშვეობით დადებული გარიგების პირობების ცვლილებას და/ან გაუქმებას **მხარეები** არეგისტრირებენ სავაჭრო სისტემაში.

19.2.5. **მხარეებს** შორის ანგარიშსწორება ხდება დადებული გარიგების პირობების შესაბამისად **ბანკში** გახსნილი **კლიენტის ანგარიშის** მეშვეობით. ამასთან, **კლიენტი** ვალდებულია ანგარიშსწორება განახორციელოს გარიგებაში მითითებულ ანგარიშსწორების დღეს, ხოლო **ბანკი** ანგარიშსწორებას ახორციელებს მხოლოდ **კლიენტის** მიერ ანგარიშსწორების განხორციელების შემდეგ.

19.2.6. ანგარიშსწორება ხდება მხოლოდ უნაღდო ფორმით.

19.2.7. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** ვერ უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას გარიგების ანგარიშსწორების დღეს, ანგარიშსწორება ხორციელდება მომდევნო საბანკო დღეს. ანგარიშსწორების მომდევნო საბანკო დღეს განუხორცილებლობის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია გააუქმოს გარიგება. ამასთან, **კლიენტი** ვალდებულია გარიგების გაუქმებისათვის **ბანკს** გადაუხადოს პირგასამტეხლო გარიგების თანხის 5%-ის ოდენობით.

19.2.8. გარიგების გაუქმების შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია სრულად დაუბრუნოს **ბანკს** გარიგების შესაბამისად გადახდილი თანხა არაუგვიანეს გარიგების გაუქმების დღისა. ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე **კლიენტს** ეკისრება პირგასამტეხლო ეროვნული ვალუტის თანხის შემთხვევაში მასზე დარიცხული TIBR-ის განაკვეთს დამატებული 5 პროცენტული პუნქტის შესაბამისი თანხა, ხოლო უცხოური ვალუტის თანხის შემთხვევაში, მასზე დარიცხული ბენჩმარკ (ურისკო) საპროცენტო განაკვეთს დამატებული 5 პროცენტული პუნქტის შესაბამისი თანხა, ხოლო თუ შესაბამის უცხოურ ვალუტაში არ დგინდება ბენჩმარკ (ურისკო) საპროცენტო განაკვეთი, მაშინ შესაბამისი ვალუტის ქვეყანაში დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5 პროცენტული პუნქტის შესაბამისი თანხა.

19.2.9. გარიგების ანგარიშსწორების ვადის დარღვევისათვის **კლიენტი** ვალდებულია დაგვიანებულ თანხაზე დამატებით გადაუხადოს **ბანკს** საჯარიმო პროცენტი ანგარისწორების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. წლიური საჯარიმო პროცენტი ეროვნული ვალუტის თანხის დაგვიანების შემთხვევაში არის ანგარიშსწორების დღის TIBR-ის განაკვეთს დამატებული 5 პროცენტული პუნქტი, ხოლო უცხოური ვალუტის თანხის დაგვიანების შემთხვევაში, შესაბამის ვალუტაში ოვერნაითის ბენჩმარკ (ურისკო) საპროცენტო განაკვეთს დამატებული 5 პროცენტული პუნქტი. ამასთან, თუ შესაბამის უცხოურ ვალუტაში არ დგინდება ბენჩმარკ (ურისკო) საპროცენტო განაკვეთი, მაშინ საჯარიმო პროცენტი არის შესაბამისი ვალუტის ქვეყანაში დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5 პროცენტული პუნქტი.

19.2.10. **ბანკი** უფლებამოსილია საჯარიმო პროცენტი და პირგასამტეხლოს თანხა უაქცეპტოდ ჩამოჭრას (მათ შორის კონვერტაციის გზით) **ბანკში** გახსნილი **კლიენტის ანგარიშიდან**. **ანგარიშზე** საკმარისი თანხის არ არსებობის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია გადაიხდოს საჯარიმო პროცენტი და პირგასამტეხლოს თანხა არაუგვიანეს გარიგების ანგარიშსწორების დღიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

19.2.11. სისტემის მონაწილის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს **ბანკს**.

19.2.12. დადებული გარიგებების შესრულება **კლიენტისთვის** სავალდებულოა სისტემის მონაწილის სტატუსის გაუქმების შემდეგაც.

19.3. *<u>სავალუტო გარიგების განხორციელება B-match პლატფორმაზე</u>*

19.3.1. **B-match** პლატფორმაზე ვაჭრობის წესები განსხვავდება Bloomberg-ის ერთიან სისტემაში მოქმედი ვაჭრობის წესებისგან. **B-match** პლატფორმა უზრუნველყოფს შემხვედრი გარიგებების ავტომატურ დაწყვილებას (matching) და აღსრულებას. გარიგების დადებამდე განაცხადის ავტორის ვინაობა ანონიმურია. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს რომ მასზე სრულად ვრცელდება **B-match** პლატფორმის წესები და პირობები.

19.3.2. **B-match-ის** გამოყენებით სავალუტო გარიგების განხორციელებისას, **ბანკი** მოქმედებს როგორც **კლიენტის** აგენტი მოვაჭრე, რაც გულისხმობს იმას, რომ **კლიენტის დავალების/განაცხადის** შესრულებისას, **ბანკი** სავალუტო გარიგებას ახორციელებს ბაზრის სხვა მონაწილესთან. ამასთან, **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმდება, რომ აღნიშნულ შემთხვევაში **ბანკი** არ იღებს სავალუტო რისკს და სავალუტო რისკი სრულად გადადის **კლიენტზე.**

19.3.3. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტს** განუსაზღვროს **B-match** პლატფორმაზე ვაჭრობის ლიმიტები ან მინიმალური მოთხოვნები.

19.3.4. **B-match** პლატფორმაზე **კლიენტის დავალება/განაცხადი ბანკის** მიერ მიღებულად/დადასტურებულად ითვლება, მხოლოდ მას შემდეგ რაც **ბანკი დავალებას/განაცხადს** განათავსებს **B-match** პლატფორმაზე და აღნიშნულის შესახებ აცნობებს **კლიენტს.**

19.3.5. დავალების მიცემისას, **კლიენტი** ვალდებულია მკაფიოდ მიუთითოს, რომ სურს მისი დავალება **B-match-ის** პლატფორმაზე განთავსდეს. ამასთან, **კლიენტი** ვალდებულია **დავალებაში/განაცხადში** ასევე მიუთითოს თანხა და მისთვის სასურველი გაცვლითი კურსი.

19.3.6. **B-match** პლატფორმაზე განთავსებული **დავალებები/განაცხადები** შესაძლოა შესრულდეს/დაწყვილდეს (matching) სრულად ან/და ნაწილობრივ. **დავალების/განაცხადის** ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, დარჩენილი თანხის ნაწილში შესაბამისი **დავალება/განაცხადი ბანკის** მიერ ჩაითვლება გაუქმებულად ან შესაძლებელია დარჩეს დამოუკიდებელი **დავალების/განაცხადის** სახით.

19.3.7. **B-match** პლატფორმაზე დადებული გარიგება საბოლოოა და ექვემდებარება სავალდებულო აღსრულებას. **კლიენტის** მიერ **ბანკთან** გარიგების დადების შემდეგ, შესაძლებელია ბაზარზე მოხდეს კურსის ცვლილება, რაც არ შეიძლება გახდეს გარიგების გაუქმების საფუძველი. გარიგების პირობების ცვლილება ან გარიგების გაუქმება შესაძლებელია ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში.

19.3.8. **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს განაცხადის წარდგენის ფიქსირებული და ანგარიშსწორების საკომისიოები წინამდებარე **პირობების დანართი №2 – სავალუტო გარიგების მომსახურების ტარიფებით** განსაზღვრული ოდენობით. **კლიენტის დავალების/განაცხადის** შესაბამისად **B-match** პლატფორმაზე შესრულებული თითოეული გარიგება ანგარიშსწორების საკომისიოს განსაზღვრის და კალკულაციის მიზნებისთვის ითვლება დამოუკიდებელ დავალებად/განაცხადად.

19.3.9. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის დავალება/განაცხადი B-match** პლატფორმაზე შესრულდება **ბანკის** გარდა ბაზრის სხვა მონაწილესთან, **ბანკი კლიენტს** თანხას ჩაურიცხავს მხოლოდ მას შემდეგ რაც განაცხადის შემსრულებელი ბაზრის მონაწილე **ბანკს** ჩაურიცხავს შესაბამისი გარიგების თანხას.

19.4. *ვაჭრობის დამატებითი პირობები*

19.4.1. **კლიენტი** აცნობიერებს და აცხადებს თანხმობას, რომ მისი **დავალების/განაცხადის** შესრულება განპირობებულია საბაზრო პირობებით, ადასტურებს, რომ **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი საბაზრო კონიუნქტურის გამო განაცხადების შეუსრულებლობაზე და თანახმაა გადაიხადოს **ბანკის** მიერ დადგენილი საკომისიო სარგებელი ბაზარზე წარდგენილი განაცხადების შესაბამისად, მიუხედავად საბაზრო კონიუნქტურის გამო მისი განაცხადის დაუკმაყოფილებლობისა.

19.4.2. **ბანკი** უფლებამოსილია არ მიიღოს **კლიენტისგან** არასწორად შევსებული ან არადროულად წარმოდგენილი დავალებები/განაცხადები.

19.4.3. **კლიენტის** მიერ **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

19.4.3.1. **კლიენტის ბანკში** არსებული ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** დაბლოკოს ან/და უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ნებისმიერი სახის მომსახურების საკომისიო), კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები/გადასახდელები, შეცდომით ჩარიცხული თანხები და სხვ.) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად; ან/და

19.4.3.2. თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტის** ანგარიშიდან.

19.4.3.3. **ბანკი** უფლებამოსილია, არ ჩაურიცხოს **კლიენტს** სავალუტო **დავალების/გარიგების** შედეგად მისაღები შესაბამისი ფულადი სახსრები, სანამ ამ ფულად სახსრებს არ მიიღებს **ბანკი;**

19.4.4. **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიცემული სავალუტო გარიგების **დავალების/განაცხადის** შესრულების უზრუნველსაყოფად, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** მოსთხოვოს და ასეთ შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია, განახორციელოს **ბანკის** მიერ მოთხოვნილი ოდენობით გარიგების წინასწარ უზრუნველყოფა გირავნობის (მათ შორის, ფულადი სახსრებით ფინანსური გირავნობის) სახით.

19.4.5. გარიგების უზრუნველსაყოფად მიღებული ფულადი სახსრები **კლიენტს** დაუბრუნდება მხოლოდ შესრულებული **დავალების/განაცხადის** შესაბამისად ანგარიშსწორების განხორციელების შემდეგ.

19.4.6. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტის** მიერ არ მოხდება შესრულებული **დავალების/განაცხადის** შესაბამისად ანგარიშსწორება ან **კლიენტის ანგარიშზე** არ არის ფულადი სახსრები **დავალებაში/განაცხადში** მითითებული ოდენობით, **ბანკი** უფლებამოსილია მისი ნებისმიერი და ყველა მოთხოვნა წინამდებარე **პირობებიდან** გამომდინარე, მათ შორის, **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** გადასახდელი ნებისმიერი და ყველა მოთხოვნა დაიკმაყოფილოს უზრუნველყოფის სახით მიღებული ფულადი სახსრებიდან.

19.5. *სავალუტო გარიგების მომსახურების საფასური*

19.5.1. სავალუტო გარიგებით მომსახურების საფასური/ტარიფები, რომელსაც **კლიენტი** იხდის მომსახურების სანაცვლოდ განსაზღვრულია **პირობების დანართი №2 – სავალუტო გარიგების მომსახურების ტარიფების** შესაბამისად. მომსახურების ტარიფები და საკომისიო, რომელიც წინამდებარე **პირობების** დანართით არ არის მოცემული, განისაზღვრება **მხარეთა** შეთანხმებით **კლიენტის** მიერ **დავალების**/განაცხადის **ბანკისთვის** წარდგენის დროს.

19.5.2. როგორც პრინციპალი მოვაჭრე, ფასდადებისას, **ბანკი** უფლებამოსილია გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, როგორიც არის ბაზარზე ტრანზაქციის ტიპის ლიკვიდობა, გარიგების მოცულობა ან/და სირთულე, საკრედიტო ხარჯები, ბალანსის უწყისი და კაპიტალი, რისკის ლიმიტი, ვაჭრობის საპროცესო ხარჯები, გაყიდვების მცდელობები და სხვა რელევანტური საკითხები. ვინაიდან ეს ფაქტორები შეიძლება განსხვავდებოდეს, **ბანკი** უფლებამოსილია შესთავაზოს **კლიენტს** განსხვავებული ტარიფები იმავე ან/და მსგავსი სავალუტო გარიგების დროს.

19.5.3. თუ **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული მომსახურების საფასური **ბანკის** მიერ უაქცეპტოდ ჩამოჭრილი იქნება **კლიენტის ანგარიშიდან.**

19.5.4. **კლიენტის** მიერ მომსახურების რომელიმე საფასურის გადაუხდელობა **ბანკს** ანიჭებს უფლებას შეუჩეროს ან/და შეუწყვიტოს **კლიენტს** სავალუტო გარიგებით მომსახურებით სარგებლობის უფლება.

19.5.5. **კლიენტი** ვალდებულია სავალუტო გარიგების **დავალების**/განაცხადის მიღების საკომისიო გადაუხადოს **ბანკს** მიუხედავად იმისა შესრულდება თუ არა აღნიშნული დავალება/განაცხადი.

19.5.6. **ბანკი** უფლებამოსილია, დააწესოს დამატებითი საკომისიო სავალუტო გარიგების დავალების/განაცხადის კლიენტის მიერ გაუქმებასთან დაკავშირებით.

19.5.7. **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** შეთავაზებულ გარკვეული სახის სავალუტო გარიგებებთან მიმართებაში, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტისგან** დავალება/განაცხადი მიიღოს გარკვეული ღირებულებით. აღნიშნულ შემთხვევაში, **ბანკის** მიერ მიღებული დავალების/განაცხადის ღირებულება შესაძლებელია მოიცავდეს **ბანკის** მარჟას (mark-up), რომელიც შესაძლებელია აღემატებოდეს შესრულებული ან/და შესასრულებელი გარიგების ღირებულებას. **ბანკის** მარჟის შესახებ ინფორმაციას, **ბანკი კლიენტს** მიაწვდის კონკრეტული სავალუტო გარიგების განხორციელებამდე დავალების/განაცხადის მიღების დროს.

19.5.8. B-match პლატფორმაზე ვაჭრობისთვის **კლიენტი** ვალდებულია მარჟის სახით **ბანკში** განათავსოს გარკვეული **მხარეთა** შორის წინასწარ შეთანხმებული თანხა, რომლის გამოყენებაც **ბანკის** მიერ განხორციელდება **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე იმ შემთხვევაში, თუ დავალების/განაცხადის შესრულების დროს არ იქნება საკმარისი ნაშთი **კლიენტის ანგარიშზე.**

19.5.9. **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ დავალიანების არსებობის შემთხვევაში პირველ რიგში ხდება **ბანკის** მიერ **კლიენტის ანგარიშიდან** თანხის ჩამოწერა დავალიანების დასაფარად. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს **კლიენტს** უფლება განკარგოს დარჩენილი თანხა საკუთარი შეხედულებისამებრ.

19.5.10. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანების დაფარვის თანმიმდევრობა.

**20. დასკვნითი დებულებები**

20.1. **მხარეები** ადასტურებენ, რომ **პირობებზე** თანხმობის გამოხატვისას ისინი მოქმედებდნენ გონივრული განსჯის შედეგად, წინასწარ გაეცნენ **პირობებს**, სრულად ესმით **პირობების** შინაარსი და ისინი სათანადოდ იქნა შესწავლილი **მხარეთა** მიერ.

20.2. **ბანკს** გააჩნია საავტორო უფლება **ბანკის** ნებისმიერ **ინტელექტუალურ პროდუქტზე** (მათ შორის, **ბანკის** ვებ-გვერდზე, მობილურ აპლიკაციებზე, ბიზნეს მეთოდოლოგიაზე და სხვ.), რომლის მეშვეობითაც **კლიენტი** სარგებლობს წინამდებარე **პირობების** მოქმედების ფარგლებში.

20.3. თუ **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ბანკის** მოთხოვნა **კლიენტის** მიერ უნდა შესრულდეს მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო ასეთის არარსებობისას, **ბანკის** მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

20.4. **პირობების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის **კანონმდებლობის** საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო ბათილი/ძალადაკარგული მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის, ქვეპუნქტ(ებ)ის ნაცვლად მოქმედებს ის მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი, რომლ(ებ)ითაც ყველაზე ადვილად მიიღწევა **პირობების** მიზანი.

20.5. ერთ-ერთი **მხარის** მიერ **პირობებიდან** ან/და **კანონმდებლობიდან** გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მეორე **მხარის** მიერ უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს. ამასთან, აღნიშნული **მხარის** მიერ ამგვარი უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს შემდგომში **პირობების** ან/და **კანონმდებლობის** დარღვევის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.

20.6. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება **მხარეს** მეორე **მხარის** მიერ **პირობებით** ან/და **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება **პირობებით** ან/და **კანონმდებლობით** მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

20.7. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირ(ებ)ს** სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, **ბანკი** მიუხედავად აღნიშნული პირობისა უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ **მესამე პირებისაგან** მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

20.8. **პირობების** მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე**, მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული საბანკო მომსახურების მიღების მიზნით **კლიენტის** სახელით მოქმედ პირ(ებ)ზე, (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება **ბარათის მფლობელ(ებ)ით** და **უფლებამოსილი პირ(ებ)ით**), სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

20.9. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით, მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიიჩნევა **ბანკის** იურიდიული მისამართი.

20.10. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის **ხელშეკრულების** დადებასთან, დამოწმებასთან, რეგისტრაციასთან, შესრულებასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული ან/და კლიენტის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შედეგად **ბანკის** მიერ გაწეული ყველა და ნებისმიერი ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება **კლიენტს**.

20.11. **ხელშეკრულებაში** არსებული მუხლ(ებ)ი/პუნქტ(ებ)ი/ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილი და დასათაურებულია, ხოლო გამუქებული სიტყვები მოცემულია **ხელშეკრულების** შინაარსის მოხერხებულად აღქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას **ხელშეკრულების** პირობ(ებ)ის ინტერპრეტაციაზე.

20.12. თუ **მხარეთა** შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, წინამდებარე **პირობებზე** თანხმობის გამოხატვამდე **მხარეთა** შორის **პირობებით** განსაზღვრულ მომსახურებ(ებ)ის/პროდუქტ(ებ)ის მიწოდებასთან დაკავშირებით არსებული სიტყვიერი ან/და წერილობითი შეთანხმება(ები) ჩაითვლება ძალადაკარგულად და **კლიენტისთვის** მომსახურების გაწევა/პროდუქტის მიწოდება განხორციელდება წინამდებარე **პირობებით** დადგენილი წესების შესაბამისად.

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2024 წლის პირველი იანვრიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 30,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge

სს „ლიბერთი ბანკი“ წარმოადგენს ლიზენცირებულ ფინანსურ ინსტიტუტს და მოქმედებს 2010 წლის 31 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული #0110247 ლიცენზიის საფუძველზე;

სს „ლიბერთი ბანკის“ სათავო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. #74-ში 0162. დეტალური ინფორმაცია სს „ლიბერთი ბანკის“ მომსახურების პირობების და მომსახურების ობიექტების შესახებ ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე http://libertybank.ge;

სს „ლიბერთი ბანკის“ საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ გვერდზე - http://nbg.gov.ge;

საქართველოს ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.

**დანართი №1 – მომსახურების ტარიფები და პირობები**

| **მომსახურების დასახელება:** | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ანგარიშის გახსნა და წარმოება** | | | | |
| მიმდინარე ანგარიშის გახსნა | უფასო | | | |
| ანგარიშის ამონაწერი | უფასო | | | |
| საფულე ჩეკის წიგნაკი (25 ფურცელი) | 10 ლარი | | | |
| **ანგარიშის მომსახურების პირობები** | **GEL** | **USD** | **EUR** | **GBP** |
| ანგარიშიდან ნაღდი ფულის გატანა | 0.2% მინ 0.50 | 0.4% მინ. 0.50 | 0.4% მინ. 0.50 | 0.4% მინ. 0.50 |
| **თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის გარეთ** | | | | |
| ეროვნულ ვალუტაში[2] | იურიდიული პირებისთვის<br><br>500 ლარამდე - 1 ლარი<br>500 ლარიდან - 2000 ლარამდე - 2 ლარი<br>2 000 ლარიდან - 10 000 ლარამდე - 5 ლარი<br>10 000 ლარიდან - 100 000 ლარამდე - 10 ლარი<br>100 000 ლარიდან - 100 ლარი<br>სწრაფი გადარიცხვა - 10 000 ლარამდე - 1 ლარი;<br>10 000 ლარი და მეტი - უფასო | | ინდივიდუალური მეწარმეებისთვის<br><br>100 ლარამდე - 1 ლარი<br>100 ლარიდან - 10 000 ლარამდე - 2 ლარი<br>10 000 ლარიდან - 100 000 ლარამდე - 5 ლარი<br>100 000 ლარიდან - 50 ლარი<br>სწრაფი გადარიცხვა - 10 000 ლარამდე - 1 ლარი;<br>10 000 ლარი და მეტი - უფასო | |
| სხვა ვალუტაში | USD | EUR | GBP | |
| | 0.2% მინ.15, მაქს 150 | 0.2% მინ.15, მაქს 150 | 0.2% მინ.15, მაქს 150 | |
| თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის გარეთ (გარანტირებული) | 25 აშშ დოლარი დამატებით | 30 ევრო დამატებით | | |
| ვალუტის კონვერტაცია | 50 000 ლარამდე ბანკის კომერციული კურსით, 50 000 ლარს ზევით - სპეც კურსით | | | |
| **ბიზნეს ბარათის მომსახურების პირობები** | **GEL** | **USD** | **EUR** | **GBP** |
| ბარათის დამზადება/განახლება | 120/100 | 60/50 | 60/40 | 50/40 |
| თანხის განაღდება ლიბერთის ბანკომატებში | 0.50% | 0.50% | 0.50% | 0.50% |
| თანხის განაღდება ლიბერთის ფილიალებში და ს/ც-ში | 0.50% | 0.50% | 0.50% | 0.50% |
| თანხის განაღდება სხვა ბანკების ბანკომატებში | 2% მინ GEL 6 | 2% მინ USD 3 | 2% მინ EUR 2 | 2% მინ GBP 2.5 |
| თანხის განაღდება სხვა ბანკების ფილიალებში და ს/ც-ში | 2% მინ GEL 7 | 2% მინ USD 3.5 | 2% მინ EUR 2.5 | 2% მინ GBP 3 |
| ანგარიშსწორება სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში | უფასო | უფასო | უფასო | უფასო |
| დღიური განაღდების ლიმიტი ლიბერთის ATM და ფილიალებში | GEL 20 000 | GEL 20 000 ეკვივალენტი | GEL 20 000 ეკვივალენტი | GEL 20 000 ეკვივალენტი |

[2] ლიბერთი ბანკის გარეთ ეროვნულ ვალუტაში თანხის გადარიცხვისთვის წინამდებარე **პირობებით** დადგენილი ტარიფები ამოქმედდება 2023 წლის 01 მაისიდან. აღნიშნულ თარიღამდე მოქმედებს იურიდიული პირის საბანკო მომსახურების პირობების 2023 წლის 01 მარტის რედაქციით დადგენილი ტარიფები.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დღიური განაღდების სხვა ბანკის ATM და ფილიალებში | GEL 20 000 | GEL 20 000 ეკვივალენტი | GEL 20 000 ეკვივალენტი | GEL 20 000 ეკვივალენტი |
| **ინტერნეტ ბანკი** | | | | |
| მომსახურების საკომისიო | უფასო | | | |
| **SMS ბანკი** | | | | |
| მომსახურების საკომისიო | | | | |
| ერთ ანგარიშზე ერთი ტელეფონის ნომრიდან | 1.00 ლარი | | | |
| ყოველ დამატებით ანგარიშზე/ტელეფონის ნომერზე | 1.00 ლარი | | | |
| **ინკასაცია** | | | | |
| რეგიონების ფარგლებში | შეთანხმებით | | | |
| **დამატებითი მომსახურება** | | | | |
| არქივიდან ინფორმაციის გაცემა (1 თვის ვადის ოპერაციებზე) | უფასო | | | |
| არქივიდან ინფორმაციის გაცემა (1 თვეზე მეტი ვადის ოპერაციებზე) | GEL 10 - ერთი საოპერაციო დღის საბუთებზე | | | |
| ცნობის გაცემა | GEL 10 | | | |

**დანართი №2 – სავალუტო გარიგების მომსახურების ტარიფები**

B-match პლატფორმაზე ვაჭრობის მომსახურების ტარიფები

| **მომსახურების საკომისიოები:** | |
|---|---|
| განაცხადის მიღების საკომისიო | 50 ლარი |
| განაცხადის ცვლილების საკომისო | 50 ლარი |
| განაცხადის გაუქმების საკომისიო | 50 ლარი |
| ანგარიშსწორების საკომისიო | ლარი - 0.07%, მაქსიმუმ 500 ლარი თითოეულ ტრანზაქციაზე;<br><br>აშშ დოლარი - 0.2%, მაქსიმუმ 500 აშშ დოლარი თითოეულ ტრანზაქციაზე |
| **მომსახურების ლიმიტები:** | |
| განაცხადის მინიმალური მოცულობა | 100 000 აშშ დოლარი |

**დანართი №3 საგადახდო დავალების მიღების და შესრულების ვადები**

- ქვემოთმოცემულ ცხრილში ასახულია დროის მონაკვეთები, როდესაც შესაძლებელია **ბანკში** საგადახდო **დავალების** მიღება, როგორც უშუალოდ **დავალების ბანკში** წარდგენით, ასევე **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხების მეშვეობით, აგრეთვე წარდგენილი საგადახდო **დავალების ბანკის** მიერ შესრულებისთვის განსაზღვრული მაქსიმალური დრო:
- წინამდებარე დანართის მიზნებისთვის, სამუშაო დღედ ითვლება კვირის დღეები, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გარდა საქართველოს **კანონმდებლობით** დადგენილი უქმე დღეებისა.
- არასამუშაო დღეებში ან/და წინამდებარე ცხრილით განსაზღვრული საათებისგან განსხვავებულ დროის შუალედში **ბანკისთვის** წარდგენილი დავალება, **ბანკის** მიერ მიღებულად ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღეს.

| საგადახდო დავალების ბანკისათვის მიწოდების ფორმა | საოპერაციო საათები, როდესაც ბანკის მომსახურების წერტილები ან/და დისტანციური არხები ფუნქციონირებს და ხელმისაწვდომია კლიენტისთვის | დროის შუალედი, როდესაც ბანკისთვის წარდგენილი საგადახდო დავალება ჩაითვლება ბანკის მიერ მიღებულად | ბანკის მიერ დავალების მიღებიდან მის შესრულებამდე საჭირო მაქსიმალური დრო საქართველოს ტერიტორიაზე |
|---|---|---|---|
| **ბანკის** მომსახურების წერტილებში (მათ შორის და არამარტო ფილიალი, სერვის-ცენტრი, წარმომადგენლობა) **კლიენტის** მიერ **დავალების** უშუალოდ წარდგენა (გარდა იმ მომსახურების წერტილებისა, სადაც **ბანკის** მიერ დაწესებულია 24 საათიანი სამუშაო გრაფიკი ან მომსახურების წერტილი მდებარეობს სპეციალურ ობიექტში (საბაჟო პუნქტი, აეროპორტი, იუსტიციის სახლი და სხვა)): | • ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე;<br>• შაბათ დღეს - 10.00 სთ-დან 14.30 სთ-მდე;<br><br>მომსახურების ცალკეულ წერტილებში შესაძლოა დადგენილი იყოს განსხვავებული სამუშაო დღეები და საათები, რის შესახებაც **კლიენტი** ინფორმირებული იქნება ინფორმაციის საჯაროდ გამოკვრის საშუალებით. | • ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე;<br><br>მომსახურების ცალკეულ წერტილებში შესაძლოა დადგენილი იყოს **დავალების** მიღებისთვის განსხვავებული სამუშაო დღეები და საათები, რის შესახებაც **კლიენტი** ინფორმირებული იქნება ინფორმაციის საჯაროდ გამოკვრის საშუალებით. | • თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღების დღეს.<br>• თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა პროვაიდერი ემსახურება, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;<br>• თუ გადახდის **ოპერაციის** განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, **ბანკი** ვალდებულია გადასცეს აღნიშნულ სისტემებს **დავალება** შესასრულებლად **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. |
| **ბანკის** 24 საათიან სერვის ცენტრ(ებ)ში **კლიენტის** მიერ **დავალების** უშუალოდ წარდგენა: | ყოველდღე, უწყვეტად 24 საათიანი რეჟიმში | ყოველდღე - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე; | • თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღების დღეს.<br>• თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა პროვაიდერი ემსახურება, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;<br>• თუ გადახდის **ოპერაციის** განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, **ბანკი** ვალდებულია გადასცეს აღნიშნულ სისტემებს **დავალება** შესასრულებლად **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| **დისტანციური საბანკო მომსახურების არხების (ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი, LB PAY აპარატი**, USSD მენიუ, **ბანკომატით** განხორციელებული დავალებები, მათ შორის VISA Direct ან MasterCard MoneySend და სხვა) მეშვეობით წარდგენილი **დავალება**: | ყოველდღე, უწყვეტად 24 საათიანი რეჟიმში | ყოველდღე - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე; | • თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღების დღეს.<br>• თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა პროვაიდერი ემსახურება, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;<br>• თუ გადახდის **ოპერაციის** განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, **ბანკი** ვალდებულია გადასცეს აღნიშნულ სისტემებს **დავალება** შესასრულებლად **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. |